

# სენსაციური ინფორმაცია – შეიძლება რამდენიმე დღეში მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობიდან გადადგეს!


# საერთო გაზეთი

№32 (216) ● 18-24.VII.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი


# patara gorma `qarTul ocnebas~ didi guli aCvena





## სინოდი ორად არის გაყოფილი — სააკაშვილისა და ივანიშვილის მომხრეებად



## Tu saakaSvili zRvargadasul ukanonobebs gaagrZelebs, xalxi mas Tavad gamoagdebs avlabris rezidenciidan

ბიძინა ივანიშვილი არა იმდენად პოლიტიკური ფიგურაა, რამდენადაც საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გარანტი

## Zalian seriozuli samoqalaqo dapirispirebis safrTxis winaSe vdgavarT

ტატიშვილების დიდი ოჯახი და როიალი, რომელზეც გენიალური ბარათაშვილი უკრავდა...

## დრო მოვა, სააკაშვილს მოსკოვში მის სიმაღლე ძეგლს დაუდგამენ წარწერით: „ჩვენს მიშას — მადლიერი რუსეთისგან“




ISSN 2233-3983

## biZina ivaniSvilis interesebs barak obamas yofili mrCeveli daicavs



კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას ყოფილი მრჩეველი გრეგორი გრეგი დაიცავს.

ბიძინა ივანიშვილი საერთაშორისო იურიდიული კომპანია **Skadden**-ის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას **Skadden**-ის ლონდონის ოფისის ხელმძღვანელი დევიდ ჰერლიხი და ვაშინგტონის ოფისის ხელმძღვანელი გრეგორი ბესტორ გრეგი ესწრებოდნენ.

ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილის ოფიციალურ "ფეისბუკის" გვერდზეა აღნიშნული.

გრეგორი გრეგი ცნობილია, როგორც ადვოკატი და იურისტი, ასევე როგორც პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე. ის გახლდათ თეთრი სახლის იურისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი 1998 წელს. 2009-2010 წლებში კი იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას პირადი მრჩეველი.

რაც შეეხება **Skadden**-ს, ეს არის ცნობილი საერთაშორისო იურიდიული კომპანია, რომელიც დასახელდა 2012 წლის საუკეთესო იურიდიულ კომპანიად ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასევე 2012 წელს მოიპოვა **IFLR** (გამოცემა: საერთაშორისო ფინანსური სამართლის მიმოხილვა) ევროპისა და ამერიკის ჯილდო. **Chambers Global**-ის მიერ დასახელდა წლის საუკეთესო კომპანიად. აღნიშნულ ჯგუფში მოღვაწე 126 იურისტი შეყვანილია მსოფლიოს საუკეთესო იურისტთა სიაში.

სწორედ ეს იურიდიული კომპანია დაიცავს ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს, რომლის უფლებებიც დაირღვა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. უახლოეს მომავალში დაიწყება საქართველოს ხელისუფლებასთან დავა მსოფლიო ბანკთან არსებულ საინვესტიციო დავათა განხილვის საერთაშორისო ცენტრში.

## biZina ivaniSvilma dRes maJoritarobis kidev 12 kandidati waradgina



კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს გამართული ბრიფინგის შემდეგ მაჟორიტარობის კიდევ 12 კანდიდატი წარადგინა.

"ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები არიან: გურჯაანში მსახიობ გივი ბერიკაშვილის ქალიშვილი მანანა ბერიკაშვილი, თელავში - ეკონომისტი გელა სამხარაული, ქობულეთში - ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის და ფატი ხალვაში, შუახევში - მწერალი შოთა ზოიძე, სენაკში - მწერალი გურამ ოდიშარია, ფოთში - იურისტი ეკა ბესელია, ლენტეხში - ბიზნესმენი გია გაზდელიანი, ბათუმში - მურმან დუმბაძე, ხულოში - გია საგინაძე, ქედაში - იურისტი დავით ანანიძე, ხელვაჩაურში - აგრონომი როსტომ ხალვაში, აბაშაში - ირაკლი საბულუა.

## 5 agvistos baTumSi `qarTuli ocnebis~ morigi aqcia gaimarTeba



5 აგვისტოს ბათუმში კოალიცია "ქართული ოცნების" მორიგი აქცია გაიმართება.

ამის შესახებ "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

"დროის ამხელა შუალედი "ქართული ოცნების" შუალედურ პროექტებს უკავშირდება. ამ პროექტებს კოალიცია 5 აგვისტომდე განახორციელებს. გარდა ამისა, ზაფხულია და ამასაც ვითვალისწინებთ," - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

კოალიცია "ქართული ოცნების" აქციები უკვე გაიმართა 27 მაისს თბილისში, 10 ივნისს ქუთაისში, 17 ივნისს ოზურგეთში, 1 ივლისს მცხეთასა და 15 ივლისს გორში.

რეზო ამაშუკელი

# ვერ დამამუნჯებ, ვერ წამშლი

*„ვარ ვინმე მესხი, მელექსე...“*
*გალაკტიონი*



გზას
შორით თვალი მოვკარი,
არ დამენახა,
მერჩია!...
— ოცნება რომ ვერ მოვკალი,
სწორედ ამიტომ მერჩიან!
ვხედავ მოყოლილს დელგმაში,
დარჩენილთ
უწყლოდ, უპუროდ!
— ღმერთი მომასწრებს, ბეგაშვილს
ბორკილდადებულს ვუყურო!...
ეს კიდევ დაატრიალებს
შვიდ ნოემბერზე უარესს!...
— გახსოვთ
ნიღბებმა, ღრიალით,
თბილისს ვით გადაუარეს?!
ჯერ ამათ დამაწიოკეს,
მერე
მომხდურმა, მთლიანად!...
თავს ტყუილებით იოკებს —
—„ბიჭი“ ვერ არი ჭკვიანად!...
ვითომ გაიგო ხალხის ხმა,
— ისემც იყოს და იხაროს!
მე მაგის ფლიდი „ქარიზმა“,
რა თავში უნდა ვიხალო?...
ვინღა ვართ? —
— ერი ხიზანთა,
დროშებს რა რიხით ვარხევდით!...
ვიცოდი
რასაც გვიზამდა,
ეს მატყუარა თავხედი!...
თავზე ლეჩაქი დაგვხურა
იმდენი იავყიავა!
ბოლომდე გაგვანადგურა,
პირწმინდად გაგვანიავა!...
უსამშობლოო,
ურწმუნო,
ხან ტირის, ხანაც მყრალია...
— არავინ დაიწუწუნოს,
რაც არის,
ჩვენი ბრალია!...
— პუტკუნა, ქოსა ყმაწვილის,
ხმა ისმის
ცნობილ არხიდან!
ვისკით ნებივრობს ნაწილი,
ნაწილი
ტყვრება არყითაც!
გადაივსება „შარდენი“
ბოზებითა და
ჯიპებით,
„რევოლუციურ ვარდებით“,
გადმოშიშვლებულ ჭიპებით!...
ამ აქოთებულ „ბომონდის“
ზიზღი თან მსდევდა
ნიადაგ!
— ახლა ისეთი დრო მოდის
ენით ალოკავთ იატაკს!
სიკვდილის შიში, ბებრული,
ცრემლში თუ გამომესხივა,
მე,
შენგან ხელ-ფეხ შეკრული,
— მესხი ვარ,
მაინც მესხი ვარ!...
ოქრო და ვერცხლით მაძღრებო,
დღე და ღამ
მისთვის ვარჯიშობთ,
რომ უცო თესლის მოძღვრებით
ქართველი გადააჯიშოთ!...
თქვენ რას დამაკლებთ, გონჯებო!
განბანილს, იორდანეში?!
გასისხლული გაქვთ ღოჯები,
ნაგაზებივით დაგეშილთ!...
უდრეკი ვიყავ მაშინაც,
გებრძოდით მუცლით დაძრვამდე!...
გინდათ, მთლად გადამაშენოთ,
რომ ვერ მივიდე ტაძრამდე!...
... მუნ ყორანივით ჩხაოდა,
ჯუჯა,
ტყის გადამრუჯველი...
— გადმოხვეწილი ტაოდან,
კლარჯი ვარ, არტანუჯელი!...
მესმის ანგელოსთ ჩურჩული,
მიდგას მირონით ჭურჭელი...
— ვერ დამამუნჯებ,
ვერ წამშლი!
კლარჯი ვარ, არტანუჯელი!...

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.



# an saakaSvili ia putinis kaci, an Tavad putinia saakaSvilis kaci...

## დრო მოვა, სააკაშვილს მოსკოვში მის სიმაღლე ძეგლს დაუდგამენ წარწერით: „ჩვენს მიშას — მადლიერი რუსეთისგან“

**ძალიან ურცხვი და უტიფარი უნდა იყო,** ხელისუფლებაში გრიშა ვაშაძე და კახა ბენდუქიძე გყავდეს და რუსეთის კაცს ბიძინა ივანიშვილს ეძახდე.

**ძალიან ურცხვი და უტიფარი უნდა იყო,** ქართული ეკონომიკის ყველაზე სტრატეგიული დარგები შენს მიერვე ოკუპანტად მონათლულ რუსებს გადააბარო და რუსეთის კაცს მაინც ბიძინა ივანიშვილს ეძახდე.

**ძალიან ურცხვი და უტიფარი უნდა იყო,** კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვა, სამაჩაბლოს და ქვემო ქართლს სამხრეთ ოსეთი და ასე, იურიდიულად გაფორმებული და „ნოტარიალურად დამოწმებული“ რუსეთს მიართვა, მერე კი რუსეთის კაცი ბიძინა ივანიშვილს ეძახო.

**ძალიან ურცხვი და უტიფარი უნდა იყო,** ჯერ ის თქვა, აფხაზეთი საქართველოსი არასოდეს ყოფილაო, მერე კი ბიძინა ივანიშვილსკენ გაიშვირო ხელი და რუსეთის კაცი უწოდო.

**ძალიან ურცხვი და უტიფარი უნდა იყო,** ჯერ მოსკოვიდან იძლეოდე დირექტივებს, ასე და ასე მოიქეცითო, მერე რევოლუციას აწყობდე, მერე გამარჯვების ნიშნად ხელს რუსი ივანოვი გიწევდეს მაღლა, შენ კი რუსეთის კაცობა ბიძინა ივანიშვილს დააბრალო.

**ძალიან ურცხვი და უტიფარი უნდა იყო,** წაგებული ომი გამარჯვებად გამოაცხადო, ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთს დაუთმო და რუსეთის კაცს ბიძინა ივანიშვილს ეძახდე.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ბოლო რვა წელიწადს თუ დააკვირდები, ადვილად მიხვალ შემდეგ დასკვნამდე: ან სააკაშვილია პუტინის კაცი, ან თავად პუტინია სააკაშვილის კაცი, ისეთ „სატოპკეებს“ უწევენ ერთმანეთს კრიზისულ მომენტებში და ისეთ მოულოდნელ სვლებს აკეთებენ ერთმანეთის სასარგებლოდ.

ამ მხრივ განსაკუთრებით პუტინი გამოირჩევა, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის გასაგონად წამდაუწუმ უდასტურებს სააკაშვილს, რომ მისი მოსისხლე მტერია და სააკაშვილის ყოფნას ხელისუფლების სათავეში ვერასოდეს შეეგუება, თუმცა მიუხედავად ასეთი „შეუგუებლობისა“, უკვე მეცხრე წელია სააკაშვილი მაინც ინარჩუნებს ძალაუფლებას.

სააკაშვილმა იმდენი სიკეთე გაუკეთა რუსეთს, წესით და რიგით, სადმე მოსკოვის ცენტრში მის სიმაღლე ერთ ქანდაკებას ნამდვილად იმსახურებს.



დრო გავა, დაუდგამენ კიდევაც და ზედ ასეთ წარწერას გაუკეთებენ. „ჩვენს მიშას – მადლიერი რუსეთისგან“.

ყოველივე ამის შემდეგ სააკაშვილს რუსეთის მტერი უწოდო და ივანიშვილს რუსეთის მოყვარე, მართლაც დიდი ურცხვობა და უტიფრობა არ არის?

# dawinaureba `nacionalurad~



— ქველმოქმედ ბიძინა ივანიშვილს ვიცნობ, მაგრამ პოლიტიკოსი ბიძინა ივანიშვილი რაღაც არ მეცნობაო, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

უი, ეს რა დაგმართიათ, ბატონო ვანო — პოლიტიკოსი ივანიშვილი ის არის, ასიათასობით ადამიანი რომ ამოიყენა გვერდით და თქვენი და თქვენი გუნდის რვაწლიან დიქტატურას წყალი რომ შეუყენა.

პოლიტიკოსი ივანიშვილი ის არის, ვისი წყალობითაც თქვენ დაგაწინაურეს და პრემიერი გაგხადეს.

მეტსაც გეტყვით, სინამდვილეში პოლიტიკოსი ივანიშვილია ავტორი „ნაცმოძრაობის“ იმ ახალი სამოქმედო გეგმისა, თქვენ რომ თქვენად ასაღებთ და ხალხს ენის ბორძიკით რომ უკითხავთ ახალ ბიბლიასავით.

პოლიტიკოს ივანიშვილს არ იცნობთ, მაგრამ პოლიტიკოს აკოს, პოლიტიკოს კაკოს, პოლიტიკოს პეტკას, პოლიტიკოს ბოცოს ხომ იცნობთ, ბატონო ვანო — თქვენი პოლიტიკური გუნდის სახეებს, თქვენს მთავარ იდეოლოგებს?

მათთან შედარებით ივანიშვილის პოლიტიკოსობა, აბა, რას მოსატანია?

ჟურნალისტის კითხვაზე, თქვენი შსს მინისტრობის დროს ბევრი ცუდი ამბავი მოხდა და რას იტყვი ამაზეო, პოლიტიკოსმა ვანომ მკვირცხლად უპასუხა: ბევრი კი არა, უამრავი შეცდომა იქნა დაშვებული და პასუხისმგებლობას ყველაფერზე მე ვიღებო.

გასაკვირია პირდაპირ, რა უცნაურად ესმით ამ „ნაციონალებს“ პასუხისმგებლობის საკითხი?

რაც უფრო მეტს გააფუჭებს და რაც უფრო მეტ დანაშაულს ჩაიდენს ესა თუ ის ხელმძღვანელი ამხანაგი ამა თუ იმ პოსტზე, მით უფრო მაღალ თანამდებობაზე აწინაურებენ, როგორც ეს ბატონი ვანოს შემთხვევაში მოხდა.

აი, ამას ჰქვია დაწინაურება „ნაციონალურად“, ტიპიური, ნორმად და წესად დამკვიდრებული დაწინაურება.

რაც მეტს დააშავებ, მით უფრო წინ წახვალო...

მერაბიშვილიც მიდის და მიდის წინ და თუ ამ ტემპით იარა, პრემიერი კი არა, შეიძლება, პრეზიდენტიც გახდეს.



თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

## რედაქტორის სვეტი

ვახტანგ ხარჩილავა

# qvas r o l iebi

დანარჩენ მსოფლიოში 21-ე საუკუნეა, საქართველოში — ქვის ხანაა.

ქვის ხანაში ვცხოვრობთ და ქვებს ვისვრით.

ჯუნგლებიდან სულ ახლახან გამოსულმა ველურმა ტომებმაც კი შეწყვიტეს ქვის სროლა, ჩვენ უძველესი ცივილიზაციიდან მოვდივართ და მაინც ქვებს ვისვრით.

აგერ სულ ახლახან, კარალეთში, ქვების ისეთი ზუზუნ-ჭახანი ისმოდა, გეგონებოდა, ერთი 30 საუკუნით დავიხიეთ უკან.

„მომხვდურები“ ამბობდნენ, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთხელ მაინც ჩავატაროთ სამართლიანი, დემოკრატიული არჩევნები და ცივილიზებულად, წყნარად და მშვიდობიანად ავირჩიოთ ხელისუფლებაო, რასაც „დამხვდურები“ ქვების სროლით და საბრძოლო ყიჟინით შეხვდნენ.

რა ხდება? ამ ერთ ქვეყანაში ორი საქართველოა? — ერთი საქართველო დემოკრატიას და არჩევნებს მოითხოვს, მეორე კი პრობლემის გადაწყვეტას ქვებით, კეტებით, მუშტით და, ღმერთმა ნუ ქნას, ტყვიით აპირებს?



ცხადია და ნათელია, ქვასროლიები ქვის ხანაში გვიპირებენ დაბრუნებას და იმ გამოქვაბულში შერეკვას, სადაც სრული სიბნელე და წყვდიადია.

**მინაწერი:** ერთმანეთს ტალახს ნუ ესვრითო, — მოგვიწოდა პატრიარქმა.

ქვასროლიებმა, ეტყობა, პატრიარქის თხოვნა გაითვალისწინეს და „მოწინააღმდეგეებს“ ტალახს არ ესვრიან, — ქვებით უხეთქავენ თავებს.

ეკლესიური ხალხია ეს ქვასროლიები, რა უცებ იღეს ყურად ეკლესიის მეთაურის შეგონება?

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



შეიძლება, ამ გადაწყვეტილებას უკავშირდებოდეს ქუთაისში პარლამენტის გადატანა. პოლიტიკურად შფოთიანი და მეამბოხე თბილისის შემდეგ სააკაშვილს წყნარი და მშვიდი ცხოვრება მოენატრა, საპარლამენტო მოღვაწეობის ქუთაისში გაგრძელება კი ამის მეტ საშუალებას იძლევა.

სააკაშვილმა შესანიშნავად იცის, რომ მისი, როგორც პოლიტიკოსის ყოფნა-არყოფნის საკითხი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში წყდება. მან ან უნდა მოიგოს ეს არჩევნები, ან შიშით და განგაშით სავსე მომავლის შესახვედრად უნდა ემზადოს.

# სენსაციური ინფორმაცია

## შეიძლება რამდენიმე დღეში მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობიდან გადადგეს!

— სულ მალე მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობიდან გადადგება და „ნაცმოძრაობის“ საარჩევნო სიას ჩაუდგება სათავეში — ასეთი სენსაციური ინფორმაცია მოგვაწოდა სახელისუფლო წრეებთან დაახლოებულმა პირმა.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილს ეს გადაწყვეტილება ახლა არ მიუღია. ეს გეგმა კარგა ხანია არსებობს და კონსტიტუციაში შეტანილი ფუნდამენტური ცვლილებები სწორედ ამ გეგმის ეფექტურად განხორციელბის ამოცანას ემსახურება.

**ჩვენს პოლიტიკურ ელიტას რატომღაც მიავიწყდა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება — ავთანდილ დემეტრაშვილის კომისიის მიერ შემუშავებული საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით საქართველო, ფაქტობრივად, საპარლამენტო რესპუბლიკაა, სადაც პრეზიდენტს შეკვეცილი უფლებებიღა რჩება, ხოლო პრემიერ-მინისტრს პარლამენტი ირჩევს.**

კონსტიტუციის ახალი რედაქციით, პრემიერ-მინისტრს გაცილებით მეტი ძალაუფლება აქვს მინიჭებული, ვიდრე მას აქამდე ჰქონდა.

სწორედ ამან წარმოშვა ეჭვი, რომ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ თავისთვის იმზადებდა ამ პოსტს და ამ მიზნით აძლიერებდა პრემიერის პოლიტიკურ ფიგურას.

ეჭვს გაცხოველებული დებატები და დისკუსია მოჰყვა, რომელიც საქართველოს ფარგლებს გასცდა და თვით ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ყურადღების ცენტრშიც კი მოექცა, რასაც ხელისუფლების ოფიციალურად გადაბარების შესახებ სააკაშვილის მისამართით ბარაკ ობამას გაფრთხილება მოჰყვა.

დისკუსია მაინც არ ჩამხცრალა და პოლიტიკურ წრეებში გაცხოველებით კამათობდნენ და კამათობენ იმის შესახებ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს „დემოკრატიის შუქურად“ წოდებული მიხეილ სააკაშვილი — პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ მშვიდად და უხმაუროდ წავა თუ პუტინის გზას აირჩევს?

ამ კითხვაზე სააკაშვილს ჯერჯერობით პასუხი არ გაუცია, ეს თემა კვლავ რჩება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მთავარ ინტრიგად.

**პრაგმატულად თუ მივუდგებით საკითხს, სააკაშვილს უნდა ერჩივნოს კიდევ ერთხელ გარისკოს, კიდევ ერთხელ გადადგეს პრეზიდენტობიდან, ჩაუდგეს სათავეში ნაცმოძრაობას, შეეცადოს მიაღწიოს გამარჯვებას და ამით ყველა ის საშიშროება მოხსნას, რომელიც მას ემუქრება.**

ახალი კონსტიტუციით, პარლამენტის თავმჯდომარე, ფაქტობრივად, ქვეყნის პირველი პირია, რომლის ხელშიც ძალაუფლების ყველა სადავე იყრის თავს...

ასეთი მაღალი სტატუსის თანამდებობას „ბედი მდევრისგან“



45 წლის სააკაშვილისთვის პენსიაზე გასვლა ჯერ ძალზე ნაადრევია, მაგრამ პუტინის გზაც რომ არ არის დიდად სახარბიელო, ესეც ცხადია.

თუმცა სააკაშვილს, ეტყობა, არც პუტინზე უფიქრია და არც მის გზაზე, მან პოლიტიკური აქტიურობისა და ძალაუფლების შენარჩუნების სხვა ვარიანტი, კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარეობა აირჩია.

ოტებული სააკაშვილი სხვას როგორ ჩაუგდებს ხელში, მით უმეტეს, რომ თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, „თერძ“ დემეტრაშვილს და „თერძის თანაშემწე“ შარმანაშვილს სპიკერის ნაირნაირი უფლებებით მოქარგული მანტია სწორედ რომ თავისთვის შეაკერინა და ქუთაისში პარლამენტის შენობაც სწორედ რომ თავისთვის აიშენა.

**დავით ქავთარია**

# biZina ivaniSvilis

## gamosvlis teqsti 15 ivlisis aqciaze, gorSi



**გამარჯობა, გორელებო!
გამარჯობა, ქართლო!**

ყველას მოგესალმებით. დიდ მადლობას გიხდით იმისთვის, რომ დღეს აქ ერთად ვართ.

საქართველოს ყოველ კუთხეს თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს. ქართლი კი ყოველი კუთხის გამაერთიანებელი, ერთიან საქართველოდ შემკრები და შემკვრელია. სიტყვა საქართველოც ხომ ქართლიდან მოდის.

მარტო უფლისციხე, სამთავისი, ყინწვისი და ატენის სიონიც იკმარებდა იმის დასტურად, რომ აქ, ქართლში, იქმნებოდა საქართველოს ისტორია.

ჩვენ დღეს გორში შევიკრიბეთ, დიდი დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებულ ქალაქში. ამ ქალაქს ბევრი განსაცდელი უნახავს და ბევრი გასაჭირი გადაუტანია, მაგრამ დღემდე მტკიცედ დგას, როგორც საქართველოს ერთიანობის, ჩვენი სამშობლოს გაუტეხლობისა და სიმტკიცის სიმბოლო.

ქედს ვიხრი თქვენ წინაშე. აქ ლამაზი სიტყვების არც ადგილია და არც დრო. ქართლის გულში ვდგავართ, საქართველოს გულში და ეს გულია ახლა ნაიარევი. უკვე ოთხი წელი გადის, ეს იარა კი ვეღარ შუშდება.

ამ ჭრილობას სულის შებერვით ვერ მოაშუშებ. მას არც ტკივილის გაყუჩება უშველის. ამ ჭრილობას სასწრაფოდ უნდა ვუმკურნალოთ, რათა პირი შეიკრას და შეხორცდეს. უკვალოდ მის გაქრობას ვერავინ დაგვპირდება. დაღუპულებს ვერავინ გაგვიცოცხლებს, დაღუპულებს ვერავინ დაგვიბრუნებს.

წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას...

გულით თუ გვინდა, რომ ამ ჭრილობამ, ბოლოს და ბოლოს, პირი შეიკრას, ჯერ ჩვენ შევკრათ პირი - დღეს და აქ.

ჩვენ ერთად მოვნახავთ ძალას და შევძლებთ პატიებას. ჩვენ შევძლებთ არა მარტო პატიებას, ჩვენ ჩვენი ბრალის აღიარების და მონანიების ძალაც შეგვწევს. ჩვენ ქართველ დედებს კიდევ ერთხელ მოვუხდით ბოდიშს. ჩვენ „ვეფხისა და მოყმის" შემქმნელი ხალხი ვართ - ჩვენ სამძიმარს ვეტყვით ოს დედებს, დავეხმარებით მათ უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილების მოძებნაში, ჩავატარებთ სამართლიან გამოძიებას, გამოვასწორებთ, რისი გამოსწორებაც ჯერ კიდევ შესაძლებელია.

მომავალშიც ჩვენ მხოლოდ გზას დავულოცავთ ქართულ-ოსურ ოჯახს, რომელიც ყოველთვის ბუნებრივი და ჩვეულებრივი ამბავი იყო აქ, ამ მხარეში. ჩვენ, ქართველებმა და ოსებმა, ერთად უნდა შევძლოთ ურთიერთობების აღდგენა, რადგან ამდენი რამ გვაკავშირებს და გვაახლოებს ერთმანეთთან. ჩვენ გამოვნახავთ მისადგომს ჩვენს ძმებთან და დებთან - ოსებთან, ჩვენ აუცილებლად აღვადგენთ მათთან ურთიერთობას.

დღევანდელი ვითარება შეუძლებელია დიდხანს გაგრძელდეს. არ შეიძლება ქართველი იმას შეეგუოს, რომ თავისუფლად ვეღარ ნახავს ქართული ხუროთმოძღვრების შედევრს - იკორთის ტაძარს, სადაც დაკრძალული არიან ქართველი გმირები - ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

და ეს მდგომარეობა, ასეთი ვითარება აგვისტოს ომის შედეგია.

მე არ მიმაჩნია, რომ ომი საქართველომ დაიწყო. ჩვენ არ გადავსულვართ რუსეთის ტერიტორიაზე, მაგრამ ვერსად გავექცევით იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ქართული სოფლების დაბომბვის საპასუხოდ წამოიწყო სამხედრო მოქმედებები ისე, რომ ვერ გათვალა შესაძლო შედეგები.

ეს არ შეიძლება ვინმეს ახარებდეს. ხელისუფლების მოქმედებები იმ ტრაგიკულ დღეებში ვერ უძლებდა ვერანაირ კრიტიკას. მაღალი თანამდებობის პირები, რომლებსაც სახელმწიფოსა და ხალხის ბედი აბარიათ, სრულიად სამარცხვინოდ იქცეოდნენ.

პატივი და დიდება ყველა იმ ჯარისკაცსა და ოფიცერს, ვინც გმირულად იბრძოლა და საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდა სამშობლოს!

მაგრამ უზნეობაა, ლამის გამარჯვებად გამოაცხადო ომი, რომელსაც ასზე მეტი სოფლის ოკუპაცია მოჰყვა.

ჩვენ, ყველამ ერთად, რაც არ უნდა მწარე იყოს, სიმართლე უნდა ვთქვათ. და როცა სიმართლეს არ გავექცევით, იმასაც ადვილად დავინახავთ, რა გზებით შეიძლება სასიკეთო ცვლილებების მიღწევა.

ჩვენ უნდა შევძლოთ და მოვიპოვოთ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების - ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ქვეყნების, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების უფრო ქმედითი მხარდაჭერა. ასეთ მხარდაჭერას კი, მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როცა საქართველო რეალურად დაადგება დემოკრატიის მშენებლობის გზას.

დემოკრატიას ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ჩვენ ამას აუცილებლად დავამკვიდრებთ.

ჩვენ აუცილებლად დავიწყებთ პირდაპირ დიალოგს ჩვენს ოს ძმებთან, გამოვიყენებთ სახალხო დიპლომატიას, გამოვნახავთ საერთო ინტერესებს და ამას დაეფუძნება ჩვენი სამომავლო ურთიერთობები.

ყველამ კარგად იცის, როგორ კავშირებს ადამიანებს ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობები და საერთო ინტერესები. ამის მაგალითად ერგნეთის ბაზრობაც საკმარისია. ამ ბაზრობის წყალობით წლების წინ ქართველებმა და ოსებმა შეძლეს ურთიერთობის აღდგენა, და ეს ურთიერთობა ბუნებრივ კალაპოტს უბრუნდებოდა.

ამ ადგილზე ისინი არა მარტო ხვდებოდნენ ერთმანეთს, არამედ საერთო ბიზნესშიც ჩაებნენ და საქმესაც ერთად უძღვებოდნენ. მაშინ მათ, ქართველებმა და ოსებმა, თავიდან აღმოაჩინეს, რომ, თურმე, ერთმანეთი ძალიან სჭირდებოდათ.

კონფლიქტის მშვიდობიან, ვიმეორებ, მშვიდობიან მოგვარებაზე ოდნავ მაინც რომ ეზრუნა, ხელისუფლება ასე დაუფიქრებლად, ასე ხელაღებით არ დახურავდა ერგნეთის ბაზრობას.

ერგნეთის ბაზრობის დახურვა ჩვენი ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის შედეგია, რადგან იქ, სადაც რვა წლის განმავლობაში ქართველებისა და ოსების საერთო სავაჭრო დახლები იდგა და სავალუტო ჯიხურები მუშაობდა, ახლა რუსული სამხედრო პოსტია.

ამ შეცდომის გამოსწორება მარტო ჩვენ შეგვიძლია. ჩვენ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კანონის ფარგლებში, ლეგალურად აღვადგენთ ერგნეთის ბაზრობას. ჩვენ ყველაფერს გულდასმით გავითვლით და ყველა რისკს გავითვალისწინებთ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ბაზრობის აღდგენით გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებ ადამიანებს შორის ნდობის აღდგენაც დაიწყება და ურთიერთობებიც ერთხელ და საბოლოოდ დალაგდება.

ჩვენ არა ერთხელ ვთქვით და აქაც ხმამაღლა განვაცხადებ: საქართველოს დასავლური ორიენტაცია, ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში არის ჩვენი სტრატეგიული არჩევანი, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს! მაგრამ ჩვენ ვერ ავირჩევთ მეზობლებს.

ჩვენ, მიუხედავად ყველაფრისა, მოგვიწევს რუსეთთან ურთიერთობის შედარებით ნორმალიზება. ვფიქრობ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ჩვენ შევძლებთ ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნებას.

რუსეთის მიმართ ჩვენი პოზიცია იქნება კორექტული, მაგრამ პრინციპული. განსახვავებით ამ ხელისუფლებისაგან, რომელიც უპრინციპოა და არაკორექტული.

ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საერთო ენას აფხაზებთან და ოსებთან. ჩვენ გვაქვს ამის რესურსი, და ეს იცის ხელისუფლებამ. ამ მხრივ, ჩვენი მიზნები და ამოცანები მთლიანად ემთხვევა საერთაშორისო თანამეგობრობის მიდგომებს.

სწორედ ესაა, რომ აღიზიანებს ხელისუფლებას და აქედან იღებს სათავეს ჩვენი კოალიციისა და პირადად ჩემკენ მომართული ცილისწამების ნიაღვარი.

ამ დროს, ხელისუფლება არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ოდნავ მაინც გაუმჯობესდეს ხალხის მდგომარეობა.



უმძიმესი მდგომარეობაა ადმინისტრაციული საზღვრის პირას, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში. იქ ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ შეუძლებელი ხდება ცხოვრება, რის გამოც კატასტროფული სისწრაფით იცლება სოფლები.

ბევრია ისეთი სოფელი, რომელიც მესაქონლეობით ირჩენდა თავს. ომის შემდეგ ამ სოფლების საძოვრები გამყოფი ხაზის გადაღმა აღმოჩნდა და სოფელი მთლიანად საძოვრების გარეშე დარჩა. გამყოფი ხაზის გადაღმა აღმოჩნდა ყანები, ვენახები და ტყეც, საიდანაც ომამდე სოფლის მოსახლეობა შეშას ეზიდებოდა.

ახლა სოფლებში აღარც გაზია და აღარც სარწყავი წყალი, ბევრგან უკვე სასმელი წყალიც კი სანატრელი გაუხდათ. აი, ასეთი განსაცდელის პირისპირ დატოვა ხელისუფლებამ თავისი ხალხი. უკიდურესი გაჭირვება, დაუცველობა და უიმედობა - აი, ამისთვის არის განწირული დღეს ეს სოფლები.

მე და ჩემი გუნდი ამ ხალხს ვპირდებით, რომ ეს უსულგულობა მალე დამთავრდება! ამ ხელისუფლების პირობებში კონფლიქტის მოგვარებას პირი არ უჩანს. კარგად გვესმის, რომ ამ პრობლემას ერთი ხელის მოსმით ვერც ჩვენ გადავწყვეტთ.

მაგრამ იმას ნამდვილად გპირდებით, რომ გამოვნახავთ საერთო ენას ოსურ მხარესთან და სოფლებში სარწყავ წყალს დავაბრუნებთ, ჩვენ ამ გაუსაძლის ყოფას შევიმსუბუქებთ, უყურადღებოდ არ დარჩება არც ერთი სოფელი, არც ერთი ოჯახი, ყველას სატკივარს გავიზიარებთ და ყველა საკითხს შეძლებისდაგვარად მოვაგვარებთ.

ომის უმძიმესი შედეგია ის, რომ საქართველოს ათასობით მოქალაქე საკუთარი სახლიდან აიყარა და თავისსავე სამშობლოში დევნილად იქცა. ერთი შეხედვით, თითქოს ხელისუფლებამ იზრუნა მათზე, ამისათვის სპეციალური კოტეჯებიც კი დაუდგა, მაგრამ რა პირობებში უწევთ ჩვენს თანამემამულეებს ცხოვრება, ყველამ კარგად ვიცით.

უფრო მეტიც - რაც ყველაზე მეტად აღმაშფოთებელია - დევნილთათვის კოტეჯების ან ფულადი დახმარებების გამოყოფამ თავიდანვე პოლიტიკური კორუფციის სახე მიიღო - ხელისუფლება განაწილებისას ხელმძღვანელობს მხოლოდ პოლიტიკური ლოიალურობის ნიშნით!

ხშირად დევნილებს იძულებით ასახლებენ სოფლებში, სადაც არ არის ცხოვრებისა და საქმიანობის მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობები, ათასობით დევნილი კუთვნილი სტატუსის მინიჭებას დღემდე ელოდება, კონფლიქტის ზონებსა და მის მიმდებარე სასაზღვრო ველში ბევრმა დაკარგა სოციალური შეღავათები.

ერთმა დევნილმა „ქართული ოცნების" ბარათში ჩაწერა: ჩემი ოცნებაა, იმდენი ქულა დავაგროვო, რომ სიღარიბის შემწეობა მივიღოო.

აი, ესაა ჩვენი მწარე სიმართლე, და ჩვენ მას თვალს გავუსწორებთ, ამას გპირდებით! ეს უნდა დამთავრდეს, ხალხო! ჩვენი ხალხის ასეთი უღირსებო ყოფა უნდა დამთავრდეს და მე ყველაფერს გავაკეთებ ამისათვის!

სიტყვას ვაძლევ ჩვენს დევნილებს, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ყველას დაუკანონდება ის ფართობები, რომლებშიც ახლა ცხოვრობენ, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ, დაგეგმონ საკუთარი ცხოვრება და მომავალი, ვიდრე დროებით დაკარგულ სახლ–კარს დაუბრუნდებიან.

ჩვენ ყველა პირობას შევუქმნით მათ, რომ ღირსეულად შეძლონ ცხოვრება, აღარ იყვნენ ხელისუფლების შემწეობასა და მოწყალებაზე დამოკიდებული.

6 gv.

5 gv.

ველარასოდეს ვერავინ გაბედავს, რომ მათ გარეშე მათი ბედი გადაწყვიტოს! ველარავინ გაბედავს დამცირებით, შეურაცხყოფით და ცემა-ტყეპით მათ დაწიოკებას და ღამის სათევად ღია ცის ქვეშ გაყრას, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა. ჩვენ ამას არ დავუშვებთ! ამის სიტყვას მე გაძლევთ!



ხალხის მიმართ გულგრილობა, ცინიზმი და დაუნდობლობა ამ ხელისუფლების ხელწერად იქცა. ყველას გვახსოვს, როგორ დაამცირა და აბუჩად აიგდო ხელისუფლებამ ჩვენი ვეტერანები - ის ხალხი, რომლებმაც, როცა სამშობლოს უჭირდა, მის დასაცავად თავი გადადეს.

როცა ვეტერანებმა უკიდურესი გაჭირვება და სახელმწიფოს მხრიდან სრული უყურადღებობა ქუჩაში გააპროტესტეს, ხელისუფლებამ, თითქოს საგანგებოდ, სამაგალითოდ, ყველას თვალწინ, ისინი შეურაცხყო და დაამცირა.

აი, ასეთ მაგალითს აძლევს ეს ხელისფულება ახალგაზრდა თაობას. მაშინ როცა, ღირსების მქონე სახელმწიფო განსაკუთრებული პატივისცემით ექცევა თავის ვეტერანებს, ამავე სულისკვეთებით ზრდის ის თავის მომავალ თაობას და ამით უჩენს სამშობლოსადმი ერთგულებისა და თავდადების განცდას.

მე და ჩემი გუნდი გპირდებით, რომ სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩენს ვეტერანების მიმართ, იქნება ის მეორე მსოფლიო ომის, აფხაზეთის თუ აგვისტოს ომის მონაწილე, მათი ღვაწლი დაფასდება, დაწესდება სოციალური შეღავათები და მათ ღირსეულად ცხოვრების საშუალება მიეცემათ.

ვეტერანთა გარდა, გპირდებით, ჩვენ უყურადღებოდ არ დავტოვებთ სხვა სპეციფიკურ ჯგუფებსაც, რომლებიც დღეს ხელისუფლებისგან მიტოვებული არიან: I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მარჩენალდაკარგულებს, პოლიტრეპრესირებულებს და ჩერნობილის დაზარებულებს.

ჩვენ არ დავუშვებთ 2005 წელს ძალოვანი უწყებებიდან დათხოვნილი მოსამსახურეების დისკრიმინაციას, მათი პენსიები გადაანგარიშდება დღეს მოქმედი ნორმატივების მიხედვით.

მე თქვენ გპირდებით, რომ ველარავინ გამოიყენებს ჩვენი ხალხის დამსჯელად პოლიციას, რომელიც ამავე ხალხის სისხლი და ხორცია. სწორედ ამიტომ, აქვე უნდა მივმართო ჩვენს პოლიციელებს: მე ბევრჯერ აღვნიშნე, რომ ჩვენი პოლიციელების უმრავლესობა წესიერი ადამიანია, რომლებიც უანგაროდ და პატიოსნად ემსახურებიან თავის სამშობლოს და ხალხს.

როგორც ჩანს, სააკაშვილი შეაშფოთა ჩემმა სიტყვებმა და რამდენიმე დღის წინ პოლიციელების მინისტრად დაუნიშნა სისასტიკით ცნობილი ახალაია და ასე ცდილობს დათრგუნოს და დააშინოს არა მარტო მოსახლეობა, არამედ პოლიციელებიც.

დააკვირდით, ხალხო, და ნახავთ, რომ სააკაშვილის ეს ნაბიჯი შეშინებული კაცის გადაწყვეტილებაა. როგორც ჩანს, მას კიდევ უფრო მკაცრი ხელი სჭირდება თავისი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მას არჩევნებისთვის სჭირდება ზონდერბრიგადები, რომელთა მართვითაც ახალაია არის განთქმული.

მოგმართავთ თქვენ, ჩვენო საამაყო პოლიციელებო! ნურაფრის შეგეშინდებათ! ეს ყველაფერი მალე წარსულს ჩაბარდება, ცოტაც უნდა გავუძლოთ, ყველამ ერთად! ჩვენ ვერ გვაჯობებენ!

თუ თქვენ არ შეასრულებთ უკანონო ბრძანებებს, კანონი თქვენ მხარეს იქნება, და არა მარტო კანონი, სამართლიანობა იქნება თქვენკენ. და მაშინ გახსოვდეთ, ასე ვერავინ დაგჯაბნით, თქვენ ვერ მოგერევათ ვერც ერთი კრიმინალი თანამდებობის პირი.

იდექით ხალხის სამსახურში, დაიცავით იგი, თქვენ ხომ სიცოცხლესაც არ დაიშურებთ მისთვის! თქვენ ამას აუცილებლად დაგიფასებთ ჩვენი ხალხი! ჩვენ გვახსოვს და გვემახსოვრება ის თავგანწირვა, რომელიც 23 წლის წინ, 9 აპრილს გამოიჩინა მაშინდელმა პოლიციამ, როცა ხალხს გადაეფარა, რათა ჯალათებისგან დაეცვა იგი.

სწორედ ამის ეშინია სააკაშვილს ცეცხლივით, ეშინია იმის, რომ, თუ საქმე საქმეზე მიდგება, პოლიცია კვლავ ხალხს დაიცავს. რატომღაც მერაბიშვილსაც კი არ ენდო სააკაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩამოაშორა და პრემიერად გადაიყვანა.

თუმცა, არც მერაბიშვილს დაუხევია უკან სააკაშვილის არა ერთი უკანონო ბრძანების შესრულებაზე. მის სახელს უკავშირდება ის განსაკუთრებული სისასტიკე, რომელიც გამოიჩინეს ძალოვანმა სტრუქტურებმა 7 ნოემბერსა და 26 მაისს, მერაბიშვილი ვერც ქუჩაში დახვრეტილი ბიჭების საქმეებს ჩამოირეცხავს.

ახალმა პრემიერ-მინისტრმა ზარზეიმით წარმოგვიდგინა მთავრობის პროგრამა. ეს პროგრამა სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური პლაგიატი - ჩვენი პროგრამების მითვისების მცდელობა.

ჩვენს შორის ერთი სერიოზული განსხვავებაა. ჩვენ დაპირებებს ტყუილად არ ვიძლევით, კარგად გათვლილი და გაანგარიშებული გვაქვს ყველაფერი.

მერაბიშვილის ციფრები კი მხოლოდ ამომრჩველთა ყურისთვის არის განკუთვნილი და მათი გულის მოსაგებად არის ნათქვამი. თუმცა, ისინი ტყუილებშიც თავის სიძუნწეს ვერ ერევიან! ჯერ რიხით აცხადებენ 1000-ლარიან დახმარებას და შემდეგ სასხვათაშორისოდ დაამატებენ, რომ ეს 4 წელზე გათვალილი თანხაა ერთი ოჯახისთვის. და რა გამოდის? რას ჰპირდებიან სინამდვილეში ხალხს – ერთ ოჯახს წელიწადში 250 ლარს, ანუ თვეში 20 ლარს.

ხალხის მოსატყუებლად ისიც კი იკადრეს, რომ დასაქმების სამინისტრო შექმნეს. სამინისტროს შექმნით რომ სამუშაო ადგილები არ იქმნება, ეს მათ ზუსტად იციან. სამუშაო ადგილებს ბიზნესი ქმნის, ჯანსაღი ბიზნესგარემო, არადა, სწორედ ეს მოსპო სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ, რამაც ხალხის გაღატაკება გამოიწვია.

ყველას გვახსოვს ხელისუფლებისეული დასაქმების კამპანიები. ვითომ უმუშევრობის საკომპენსაციოდ დარიგებული ფული, ტელეკამერების წინ სხვადასხვა საწარმოში ვითომ დასაქმებისთვის პრეზიდენტის მიერ მიყვანილი უმუშევრები, გვახსოვს ლენტების გაუთავებელი ჭრა ჯერარარსებული საწარმოებისა და დაუმთავრებელი საავადმყოფოების ფონზე.

შედეგად მივიღეთ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ ოფიციალურად დარეგისტრირებული მილიონამდე მოქალაქე და თითქმის ამდენივე ადამიანი, რომელიც ღატაკისათვის განსაზღვრულ შემწეობას ელოდება.

ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, სადამდე მიიყვანა ქვეყანა და ხალხი, და იმის მაგივრად, რომ რეალურად რამე შეცვალოს, ისევ ხალისთვის თვალში ნაცრის შეყრა გადაწყვიტა.

ქართველი ხალხი დიდხანს ატყუეს, გაალატაკეს და ახლა, რა შთამბეჭდავი ციფრებიც არ უნდა დაასახელონ, ჩვენი ხალხი აღარ მოტყუვდება. ესენი ჩვენს ხალხს არ იცნობენ! ჩვენმა ხალხმა ბევრი მოითმინა, ბევრიც აპატია, მაგრამ მოთმენა და პატიება ამ ხელისუფლებამ მას სიბრიყვედ ჩაუთვალა და ახლაც ფიქრობს, რომ ადვილად დაიმორჩილებს.

ხალხის გაბრიყვება აღარ გამოუვათ! ეს დამთავრდება, და ამას ჩვენ აუცილებლად დავამთავრებთ!

ახლა ცალკეულ გასაჭირს როგორ მოევლება, იმას გეტყვით პატიოსნად. თქვენ, პირველ რიგში, პატიოსნებას იმსახურებთ. ქართლელებო, თქვენ ხომ მხოლოდ ბრძოლისთვის არ გაჩენილხართ, თქვენ შრომისა და საქმიანობისთვის, ძმობისა და მეგობრობისთვის უნდა გეცხოვრათ, და იცხოვრებთ კიდეც, გპირდებით!

ჩვენ ყველაფერი ზედმიწევნით დათვლილი და დაანგარიშებული გვაქვს.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ძლიერი სოფელი ძლიერი ქვეყნის საფუძველია. ,,ქართულ ოცნებას“ დაგეგმილი აქვს, ააღორძინოს ქართული სოფელი და ამისათვის შექმნას ერთმილიარდიანი ფონდი. ამ ფონდის დახმარებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეები შეძლებენ გრძელვადიანი, ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სესხების აღებას და ამ ფულით სარგებლობას.

ქართლში მეხილეობის აღორძინებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თუმცა, მეხილეობის აღორძინება წარმოუდგენელია გასაღების ბაზრების გარეშე. ჩვენი ხელისუფლების უგუნურობამ გლეხი ტრადიციული ბაზრების გარეშე დატოვა და, სამწუხაროდ, ვერც ახალი ბაზრების გამონახვა მოხერხდა.

ჩვენ აუცილებლად ვიზრუნებთ და გამოვნახავთ ბაზარს და გლეხს გაუსაღებელი მოსავალი აღარ დარჩება. საქართველოში წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა ხილი და ბოსტნეული დიდ შემოსავალს მოუტანს გლეხს, ფერმერს და მთელ ქვეყანას. ჩვენ ამას გპირდებით!

სოფლის მეურნეობის აღორძინება ვერ მოხდება კვების მრეწველობისა და გადამმუშავებელი საწარმოების გარეშე. ჩვენ ხელს შევუწყობთ მცირე და საშუალო საწარმოების შექმნას. ჩვენ აღარ ვიქნებით დამოკიდებული უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქტზე.

ბაზარში კვლავ დაბრუნდება იაფი და ამავე დროს ხარისხიანი ადგილობრივი ბოსტნეული, ხილი, ხორცი. საბოლოოდ, კი სოფლის განვითარება საქართველოს კეთილდღეობას ჩაუყრის საფუძველს.

მე, ბიძინა ივანიშვილი, სიტყვას გაძლევთ, რომ ყველა სოფელს და თითოეულ ოჯახს კეთილდღეობის გზაზე დავაყენებ.

ჩვენი გეგმა თავიდანვე ითვალისწინებს იმას, რომ უნდა შეიქმნას რეალური სამუშაო ადგილები, ასეთი სამუშაო ადგილების რაოდენობა ათეულობით ათასი იქნება.

მე გპირდებით, რომ გაუქმდება მონოპოლიური ბიზნესი, ბიზნესისათვის დაწესდება შეღვათები, უსაფრთხო გარემო ექნებათ უცხოელ ინვესტორებს, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას.

ამავე დროს, რაც განსაკუთებით მნიშვნელოვანია, ჩვენ დავადგენთ საარსებო მინიმუმის ახალ, რეალურ ზღვარს. ცხადია, ეს ზღვარი აღარ იქნება დამამცირებელი. პენსია არ იქნება იმაზე ნაკლები, ვიდრე საარსებო მინიმუმია.

აღარც ერთ ოჯახს აღარ გაუჭირდება შვილებისთვის სახელმძღვანელოების შეძენა, და აღარც ბავშვებს დასჭირდებათ სხვა სოფლის სკოლაში მისასვლელად ყოველდღიური მომქანცველი გზის გავლა. ყოველ სოფელს თავისი სკოლა ექნება.

მასწავლებელი იამაყებს თავისი პროფესიით, რადგან მატერიალურადაც სათანადოდ იქნება მისი შრომა დაფასებული და რეალური პროფესიული გადამზადებაც მისთვის თავისუფლად ხელმისაწვდომი გახდება.

გორელებო, ქართლელებო, განათლების აი, ასეთ რეფორმას გპირდებათ ,,ქართული ოცნება“!

მაგრამ, არც ეს კმარა, რათა მშვიდად იცხოვროთ. თქვენი ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა მთავარია ჩვენთვის, ჩვენი ,,ქართული ოცნებისთვის“. ჯანდაცვის საქმე რომ 20 წელზე მეტია, სამწუხაროდ, სულ უკან-უკან მიდის, ყველამ კარგად იცით. ამ ხელისუფლებამ ვითომ ახალი საავადმყოფოები ააშენა, მაგრამ იქ მისვლა და მკურნალობა ისე ძვირი ღირს, პატიოსან კაცს სახლ-კარის ფასად უჯდება.

ოპერაცია და წამლებიც ისე გაძვირდა, რომ ჩვეულებრივი ადამიანისთვის მიუწვდომელია. ამიტომ ავადმყოფობა ჩვენი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი პენსიონერებისა და გაჭირვებული ადამიანებისთვის, ხშირად, სასიკვდილო განაჩენია. ეს უნდა შეწყდეს!

,,ქართული ოცნება“ ბოლოს მოუღებს ამ უსულგულობას! ყველას ექნება – ყოველ თქვენგანს – სამედიცინო დაზღვევა, გპირდებით ამას!

ჩვენ ჯანსაღი, განათლებული, მშრომელი, ღირსებით სავსე და ამაყი ხალხის ხელისუფლება უნდა ვიყოთ. ჩვენ მივაღწევთ ამას, ჩვენ - ყველანი ერთად!

ჩვენს ხელისუფლებას ეცოდინება და არასდროს დაავიწყდება ადამიანის ფასი, ეცოდინება, რომ ყოველ თქვენგანს, ყოველ ადამიანს თვალის ჩინივით უნდა გაუფრხილდეს!

ჩვენ ყველა დაპირებას შევასრულებთ, ამის სიტყვას მე გაძლევთ!

ეს ხელისუფლება რომ დამთავრდება, მის ძალაუფლებას რომ ბოლო ელება, ამას უკვე თავად სააკაშვილიც კარგად ხედავს და გრძნობს, რადგან მისი ბოლოდროინდელი მოქმედებები ჩემი და ჩემი გუნდის წინააღმდეგ, მხოლოდ გონებაარეული კაცის ნაფიქრალი შეიძლება იყოს. სახელმწიფოს მეთაურები ასე არ იქცევიან!

ის სანქციები, რომლებსაც სააკაშვილი ჩემ წინააღმდეგ ახორციელებს, ყაჩაღობაა, ხალხო! მას არ ენაღვლება არც კანონი, არც სამართალი, არც საზოგადოების განწყობა, და, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია, აღარც დასავლელი პარტნიორების აზრი აინტერესებს, რასაც ამდენ ხანს მეტ-ნაკლებად მაინც უწევდა ანგარიშს.

,,ქართუ ჯგუფის“ დაყადაღებით და ქონების გაყიდვით სააკაშვილმა მთელს საერთაშორისო საზოგადოებას დაანახა, როგორ ებრძვის პოლიტიკურ ოპონენტს.



ამ ბანკის ჩამორთმევა ვერაფერს ავნებს ჩემს კაპიტალს. ,,ბანკი ქართუ“ ინვესტიციაა, ეს ის პროექტია, რომელიც მე ჩემი სამშობლოსა და ხალხის ხელშეწყობისათვის განვახორციელე. ეს ბანკი მე ჩემი მოგებისთვის არ გამიხსნია!

დღეს სხვადასხვა ბანკის სესხის გამო ასობით ათას ჩვენს თანამემამულეს სიღატაკე და სახლებიდან გამოყრა ემუქრება. ჩვენ ვსწავლობთ ამ პრობლემას და აუცილებლად გამოვნახავთ ისეთ გამოსავალს, რომ ამ ხალხს დავეხმაროთ და არც საბანკო სისტემა დავაზიანოთ.

ამ მეთოდებით ჩემი დამარცხება შეუძლებელია, ჩვენი დამარცხება შეუძლებელია, რადგან ჩვენს მხარეს არის კანონი და სამართალი, რომელსაც მთელი ცივილიზებული სამყარო აღიარებს.

სააკაშვილს ყველა თავისნაირი ჰგონია, სწორედ ამიტომ ფიქრობს, რომ პოლიტიკოსის მთავარი კაპიტალი ფულია. ჩემი კაპიტალი, რომელიც დღითი დღე სულ უფრო იზრდება, თქვენი ნდობაა, რომელიც მე ჩემმა ხალხმა გამომიცხადა, ჩემი ოცნების ხალხმა, ანუ თქვენ.

სწორედ ამ ბრძოლაში აუცილებლად დამარცხდება სააკაშვილი. ჩვენ გავიმარჯვებთ და სამართლიანობა აღდგება. არ გამოუვათ არაფერი, ვერაფერს დაგვაკლებენ!

ჩემთან ბრძოლისთვის, ჩვენთან ბრძოლისთვის, საკუთარ ხალხთან

ბრძოლისთვის უკან აღარაფერზე იხევენ. სააკაშვილმა დაჰყო ქართული საზოგადოება, მას ჰყავს თავისი ჟურნალისტები, თავისი მსახიობები, რეჟისორები, მასწავლებლები. საზოგადოება დაყო ასაკის მიხედვით, ენის ცოდნის მიხედვით და ისეთ სფეროშიც კი შეიჭრა და იქაც კი გახლიჩა ადამიანები, როგორიცაა სპორტი, სადაც გუნდურობა წარმატების საწინდარია.

მან საქართველოში სპორტის პოლიტიზება შეძლო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში, წესით, საამაყო და სანიმუშო სპორტსმენს მთავრობა არა სპორტული მიღწევების, არამედ ხელისუფლებისადმი ყურმოჭრილი მორჩილების მიხედვით აფასებს. ეს სპორტსმენის გადაგვარებას ნიშნავს.

ცნობილია, რომ პოლიტიკური ოპონენტებისა და ხელისუფლებით უკმაყოფილო მოქალაქეების დასაშინებლად, დასაჩაგრავად და დასასჯელად სწორედ ჯან-ღონით გამორჩეული სპორტსმენებისგან ქმნიან სამარცხვინო რაზმებს.

თანაც, ისიც ცნობილია, რომ ეს რაზმები დაუნდობლად სწორედ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ სპორტსმენებს უსწორდებიან.

რასაც არ უნდა ჰპირდებოდეს თავის მორჩილ სპორტსმენებს ეს ხელისუფლება, ჩვენ მათ მხოლოდ სამართლიან კანონს ვპირდებით, და არავითარ შემთხვევაში - შურისძიებას!

ჩემო ძმებო, ჩემო შვილებო! ნუ ჩაიდენთ უპატიებელ დანაშაულს. სამარცხვინოა, რომ 21-ე საუკუნეში საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა ჯგუფები, რომლებსაც ხალხმა ფაშისტური სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის სახელი - „ზონდერბრიგადები“ შეარქვა. კიდევ უფრო სამარცხვინოა ის, რომ მათი ხელმძღვანელი საქართველოს პარლამენტის წევრია.

ჩვენ გავათავისუფლებთ ამ ქვეყანას ამ სამარცხვინო სენისაგან, ჩვენ მოვსპობთ დაპირისპირებას საზოგადოებაში, არავის მოეთხოვება ხელისუფლების ერთგულება, ყველანი ჩვენი სამშობლოს, საქართველოს ერთგული უნდა ვიყოთ! ეს იქნება ჩვენი ქვეყნის განვითარების გზა, ეს არის გზა ცივილიზაციისაკენ!

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ დავამთავრებთ დაპირისპირებას, ქვეყანა აღარ იქნება დაყოფილი ხელისუფლების უტეხ მომხრეებად და შეუპოვარ მოწინააღმდეგეებად.

ჩვენ საერთო ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ცხარედ, მაგრამ ცივილიზებულად ვიკამათებთ ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხებზე, მაგრამ აღარასოდეს, აღარასოდეს დავუპირისპირდებით ერთმანეთს ძალით, აღარასოდეს გავახარებთ საქართველოს დანაწევრებისა და შინააშლილობის მოსურნეს!

შემოდგომაზე არჩევნებზე გელოდებით, პატიოსანი არჩევანი გავაკეთოთ და ჩვენც დავრწმუნდეთ და მთელ მსოფლიოსაც ვაჩვენოთ, რომ ცივილიზებული სამყაროს ღირსეული წევრი ვართ!

ჩვენ გავიმარჯვებთ, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენი ხალხი, ჩვენი ქართული ოცნება გაიმარჯვებს!

მე გპირდებით, რომ თქვენთან ერთად ვიბრძოლებ და არჩევნებით შევცვლით ამ ხელისუფლებას!

ამ ბრძოლაში ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით! მხოლოდ ერთად დგომით მოვიგებთ ამ ბრძოლას!

ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!

# patara gorma `qarTul ocnebas~ didi guli uCvena



15 ივლისს, გორში ბიძინა ივანიშვილის შიდა ქართლის მოსახლეობასთან შეხვედრამ მშვიდობიანად, ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე ჩაიარა. ასე რომ, ჩემი გორელი ნაცნობების ნათქვამი, ის კონფლიქტები, რომელიც მერეთში, ნიქოზსა და კარალეთში მოხდა, ხელისუფლების მიერ იყო ინსპირირებული, შიდა ქართლის მოსახლეობა ძალზე დადებითად არის განწყობილი ბიძინა ივანიშვილისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართო, სიმართლე აღმოჩნდა. გორში ნაშუადღევს ჩავდივარ, „კომბინატის დასახლებაში“, კლუბის წინ ხალხი ნაკლებად მხვდება, თუმცა ჩემი გორელი მასპინძელი, „ქართული ოცნების“ წევრი მედეა მახარაშვილი მამშვიდებს, რომ მიუხედავად დაშინებისა, ხალხი აუცილებლად გამოვა. აქციის დაწყებისას მოედანი მთლიანად შეივსო, მაგრამ ხალხის მატება არ შეწყვეტილა.

**მედეა მახარაშვილი:** „ბიძინა ივანიშვილს შიდა ქართლში და მათ შორის გორის რაიონშიც, უამრავი მხარდამჭერი ჰყავს, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როცა მან ქვეყნის პრიორიტეტები ჩამოთვალა, პირველ რიგში სოფლის მეურნეობის აღორძინება ახსენა. ქართული სოფელი ქვეყნის ხერხემალია და ის თუ წელგამართულია, ქვეყანაც ძლიერია. შეიძლება სოფლებში ბატონ ბიძინასთან შესახვედრად ბევრი ხალხი ვერ გამოვიდა, მაგრამ ეს ინფორმაციული ვაკუუმის, ხალხის დაშინებისა და ფსიქოლოგიური ტერორის ბრალია.



21-ე საუკუნეში, დემოკრატიულობაზე პრეტენზიის მქონე ქვეყანაში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. კახი კალაძეს როგორც მოექცნენ, სამარცხვინოა. ჩემთვის საშინელება იყო სამთავრობო ტელეარხებზე იმის მოსმენა, რომ თითქოს კახი კალაძის ზონდერჯგუფს კარალეთის მოსახლეობის დაწიოკება უნდოდა, ამისთანა სიცრუეს როგორ კადრულობენ. მთელი გორი იმას ლაპარაკობს, რომ „ქართული ოცნების“ წევრებს იქ ბადრი ბასიშვილის ზონდერები დახვდნენ. იქ კარალეთელები არ ყოფილან, არ გამოვრიცხავ, რომ ისინი დევნილთა ჩასახლებაში მცხოვრები ხელისუფლების მომხრეებისგან დაგეშილი ხალხი იყო. ქალების აქტიურობა გამოიკვეთა, თვალში საცემია მაღალჩინოსნების, რამდენად შეეფერებიან ისინი თავიანთი ნიჭითა და ინტელექტით ამ პოსტებს სხვა საკითხია, ოჯახისა თუ კლანის წევრი მანდილოსნების აქტიურობა. ეს ზონდერსიდედრები, ცოლები თუ ცოლისდები გაშმაგებული ძუ ლომებივით იწევენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებზე.

**- ხელისუფლება ისეთ სურათს ხატავს თითქოს რეგიონის მოსახლეობა და დევნილები მხოლოდ „ნაცმოძრაობას“ უჭერენ მხარს. რით დაიმსახურეს მათ ასეთი პატივი?**

- რომელ მხარდაჭერაზე მელაპარაკებით. ხალხს ომის წინ კრედიტები ჰქონდა გამოტანილი, ვეღარ იხდიან, მაგრამ მათზე არანაირი შეღავათი არ გავრცელდა, ამიტომ უამრავ ოჯახს ემუქრება ღია ცის ქვეშ დარჩენა. რუსეთის ბაზრის დაკეტვის მერე ხილი და ბოსტნეულის რეალიზება ვერ ხერხდება, ხალხს მოსავალი ულპება, არადა მათ ატმისა და ვაშლის ბაღების მოვლა ცეცხლის ფასი უჯდებათ. გლეხები ტირიან და ამის შემდეგ როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა იფიქროს, ისინი ხელისუფლების მომხრეები არიანო. ბიძინა ივანიშვილს სოფლის მეურნეობაში მილიარდიანი თანხის ჩადება რომ უნდოდა, ამ ხელისუფლებამ უარი უთხრა, ახლა გახდა მათთვის ეს დარგი პრიორიტეტული? რაც შეეხებათ დევნილებს, ჩემს სახლთან ახლოს მათი კომპაქტური ჩასახლებაა, ორი თვის წინ მეხუთე სართულიდან გადმოხტა დევნილი ქალბატონი, გვარად ბერუაშვილი და გარდაიცვალა. მას გაუსაძლისმა პირობებმა უბიძგა ამ ტრაგიკული ნაბიჯისკენ, თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიზეზი ასე ახსნეს, ძმის გარდაცვალების გამო მძიმე სულიერი სტრესი მიიღო და იმიტომ გადმოხტაო. ნაჩქარევად აშენებულ კოტეჯებში ჭერიდან წყალი ჩამოდის, კედლები და იატაკი ისე დალპა, რომ ქვეწარმავლები თავისუფლად ამოდიან.

ბედნიერი ვიყავი, როცა სოფელ ფერმაში გახსნილ ქართულ ბაგა-ბაღს (ამ სოფლის მცხოვრებთა 90% აზერბაიჯანელია) იაკობ გოგებაშვილის სახელი უწოდეს. ამ ბაგა-ბაღის ბაზაზე ქართული სკოლაც უნდა დაფუძნებულიყო. ახლა სადაც საპატრულო პოლიციის შუშის შენობაა, კომუნისტების დროს ლენინის ძეგლი იდგა. მისი აღების შემდეგ, მრავალი წელი იდო წარწერიანი ქვა, აქ აღიმართება იაკობ გოგებაშვილის ძეგლიო, მაგრამ, როგორც მიხეილ სააკაშვილი იტყოდა, ნურას უკაცრავად, გასულ წელს უცებ წამოჭიმეს პატრულის შენობა, დედა ენის შემქმნელი არავის გახსენებია. პოლიციის შენობაც აუცილებელია, მაგრამ მაინცდამაინც აქ უნდა დაედგათ? ამ შენობის მოპირდაპირედ მაცხოვრის აღდგომის ტაძარი უნდა აშენებულიყო, თუმცა მხოლოდ საძირკველი და ლითონის რაღაც კონსტრუქციებია, ვანოს „გამჭვირვალე“ პოლიციას კი, რომლებსაც პატიმრები ჯურღმულებს უწოდებენ, უცებ აშენებენ. იმედი მაქვს, რომ ღვთის წყალობით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ ტაძარი მალე აშენდება“

*შავ ტანსაცმელში ჩაცმულ ახალგაზრდა ქალთან მივდივარ. ის გორელი მარინა ქარელია, რომელსაც აგვისტოს ომის დროს 14 წლის ვაჟი დაეღუპა.*

**მარინა ქარელი:** „ომის დროს ჩემ სახლს ბომბი დაეცა და ჩემი უფროსი ვაჟი შეიწირა. ჩემს გოგონას სახე აქვს დამწვარი, ის სახლის ნანგრევებში მოყვა, ძლივს ამოიყვანეს. მას მკურნალობა სჭირდება, მაგრამ სად მაქვს ამის ფული, ჩემ ოჯახს ძალზე უჭირს. მე თვითონ პატიმარი ვიყავი, 2006 წელს ჯართის მოგროვების გამო დამიჭირეს და ოთხი წელი მომისაჯეს, თუმცა 2008-ში გამათავისუფლეს. სახლი ვითომ აღმიდგინეს, მაგრამ საცხოვრებლად არ ვარგა, კედლები სულ დაბზარულია. ჩემი ქმარი ცხინვალიდან, უფრო ზუსტად მამისაანთ უბნიდანაა, მიუხედავად იმისა, რომ დევნილია, კოტეჯი მაინც არ მისცეს. მთავრობას ბოლომდე ვერ გავლანძღავ, რადგან ჩემს შვილს თვეში 200 ლარს ურიცხავენ, თუმცა ეს თანხა ჩვენს ოჯახს არ ყოფნის. როგორ ვიქნები ამ ხელისუფლების მხარდამჭერი, რა გააკეთეს ქვეყნისთვის, ან დღევანდელი ცხოვრებით როგორ უნდა ვიყო კმაყოფილი, როცა ასე გვიჭირს. ჩემი მეორე ვაჟი 14 წლისაა, ისიც ჯართზე მუშაობს, რომ ავადმყოფ დას წამლის და საჭმლის ფული მოუტანოს. ხვალ შეიძლება ისიც დაიჭირონ. იმხელა ტრაგედია გადავიტანე, სახლიდან თითქმის არ გამოვდივარ“.



*ლალი ფარეხელაშვილი გორის რაიონის სოფელ სათემოდანაა. აბსურდული მიზეზით 2008 წელს ისიც დაიჭირა სააკაშვილის პოლიციამ, თუმცა ბოლოს ეტყობა მიხვდნენ თავიანთი საქციელის უაზრობას და იმავე წლის ბოლოს ამნისტიით გაათავისუფლეს.*

**ლალი ფარეხელაშვილი:** „ჩვენ სოფელშიც იყვნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ნინელი ჭანკვეტაძე, თემო ხუბულური, ასევე ოცნების ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩამოსული. მიუხედავად იმისა, რომ გვაშინებდნენ, მაინც მივედით მათთან შესახვედრად. როგორც კი ხმა გავრცელდა მათი ჩამოსვლის შესახებ, ნაციონალებმა თავიანთ დამპალ კოორდინატორებს ფული დაურიგეს და რამდენიმე ოჯახი მოისყიდეს, სერიოზული თანხები დაურიგეს ეს შეხვედრა რომ ჩაეშალათ. ჩემი მეზობელი მურად ფარეხელაშვილი და მისი უზნეო ცოლიც მოისყიდეს. სწორედ ამ ოჯახმა დამაჭერინა, თვითონ მცემეს და მერე აქეთ მიჩივლეს. მურადი ომის დროს რუსებისგანაც ილებდა საჩუქრებს, ეგონა რუსები გაიმარჯვებდნენ, მაგრამ, როგორც კი რუსები წავიდნენ, ისევ ნაციონალებთან გადაბარგდა. მისმა ცოლმა, მარინა არჩუაძემ თავისი ზნეობის დაქალები შემოიკრიბა, ძალიან უნდოდათ აქციის ჩაშლა, მაგრამ წესიერი ხალხი მედგრად დავდექით და ყველაფერმა კარგად ჩაიარა. სტუმრებმა ნახეს დანგრეული გზები და საბავშვო ბაღი, განადგურებული ხალხი, მოუვლელი ბაღები, რადგან წამალს ვერ ვყიდულობთ. მოსავალი სარდაფებში გვილპება, რადგან რეალიზაციას ვერ ვახდენთ. ეს ყველაფერი ვუთხარით ამ ხალხს.



რომ ამბობენ ბიძინა ივანიშვილი რუსების კაცია, მათი შემოყვანა და ჩვენი აოხრება უნდაო, არავის გვჯერა. პირიქით, ბატონი ბიძინა პატრიოტია, ჩვენი გადარჩენა უნდა. სააკაშვილი და მისი ბანდა, ეს ყაჩაღები და ვირთხები ანადგურებენ ქართველ ერს, გენოციდს გვიწყობენ. ორი თვის წინ ჩემმა თანასოფლელმა ქალმა, ხუთი შვილის დედამ, რომელიც ფეხმძიმედ იყო, მუცელი მოიშალა. ეს ქალბატონი 5 თვის ფეხმძიმე იყო, მაგრამ საარსებო წყარო რომ არ გააჩნდა, დანგრეულ სახლში ცხოვრობენ და არავინ ეხმარება, იმიტომ მოიქცა ასე. სიკვდილს სასწაულად გადაურჩა. ყველა ნორმალური ადამია-

8 gv.

7 gv.

# patara gorma `qarTul ocnebas~ didi guli uCvena



ნი, თუ ის მოსყიდული არ არის, მხარს უჭერს ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას", მას ვუყურებთ იმედით, რადგან ის თუ გადაარჩენს საქართველოსა და ქართველ ერს".

**გიორგი აბაზაშვილი (გორი):** „მშვიდობა და სიწყნარე მინდა. დარწმუნებული ვარ, კარალეთში რაც მოხდა, ეს ხელისუფლების მოწყობილი იყო. ბიძინა ივანიშვილის ოცნება, ჩემი და ჩემი ოჯახის ოცნებაცაა, იმიტომაც მოვედი აქ, ეს ხალხიც იმიტომ გამოვიდა. რომ ამბობენ ომის დროს სად იყო ბიძინა ივანიშვილიო, იმას რატომ არ კითხულობენ ეს ხელისუფლება და თვითონ სად იყვნენ. გამოჩნდა ადამიანი, რომელიც მართლა მოგვიტანს სიკეთეს, ამიტომაც ბოლომდე დავდგებით მის გვერდით. ერთიც მინდა ვთქვა ამ მთავრობის გასაგონად, რუსეთთან ურთიერთობის მოსურნეობა სალანძღავი ნუ ჰგონიათ, რადგან რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის და კეთილმეზობლობის მსურველები ვართ ყველა".



*ხალხში ცნობილ ადვოკატ მამუკა ნოზაძეს ვამჩნევ. მამუკა გორელია, ცხადია, ყველას კარგად იცნობს, რამდენიმე ნასვამ მამაკაცზე მანიშნებს, ესენი ხელისუფლებასთან დაახლოებულები არიან და არ არის გამორიცხული, პროვოკაციის მოსაწყობად ყავდეთ შემოგზავნილიო.*



**მამუკა ნოზაძე:** „ამ შეხვედრების დროს ზონდერბრიგადის წევრებს სპეციალურად ათრობენ, ჩხუბი და აყალმაყალი რომ გამოიწვიონ. უამრავია აქ ასეთი, რომლებიც ახლა დაძრწიან და ქმედებაზე ეტყობათ პროვოკაციისთვის ემზადებიან. რაც შეეხება აქციაზე მოსულ ხალხს, გორელებიც არიან, მაგრამ იმდენი არა, რამდენიც უნდა იყვნენ. მეც ვიყავი „ქართული ოცნების" წევრი, მართალია ახლა აღარ ვარ, მაგრამ ჩემი პროტესტის დასაფიქსირებლად მოვედი, იმასთან დაკავშირებით, რაც დევნილების დასახლებაში მოხდა. რატომღაც ამბობენ კარალეთში მოხდაო, ეს არ არ იყო კარალეთი, გორის შესასვლელში მდებარე დევნილების დასახლებაა და რატომ ხდება საზოგადოების ასეთი არასწორი ინფორმირება, ჩემთვის გაურკვეველია. ყოვლად მიუღებელია, რაც იქ მოხდა. სხვათა შორის პატრიარქმაც ბრძანა თავის ქადაგებაში, რომ არავინ უნდა გაბედოს ქვების სროლა, ყველას უნდა ჰქონდეს თავისი პოზიციის დაფიქსირების საშუალება, ვინც უნდათ ის კანდიდატი აირჩიონ, ოღონდ ღირსეული და არა ვიღაცის სახელს ამოფარებული. ვაპროტესტებ იმ ძალადობას და უკანონობას, რასაც ხელისუფლების მომხრე, დეგრადირებული, ფულზე გაყიდული ადამიანები აკეთებენ. 21-ე საუკუნეში ასეთი ძალადობა არ უნდა ხდებოდეს, თუ არ უნდათ მოსმენა, ვისაც უნდათ იმას მისცენ ხმა, არავინ არაფერს აძალებს. ასე რომ, იმ ძალადობის, უმსგავსობის, უკანონობის და დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ პროტესტის დასაფიქსირებლად მოვედი, რაც წინასაარჩევნო პერიოდში ხდება საქართველოში. ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი აქ უნდა იყოს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი გორელების აქ ყოფნაა, რადგან ამ პროტესტის დაფიქსირება, გორის მხრიდანაც უნდა იყოს.

**მამუკა ერაძე, „ქართული ოცნების" წევრი:** „ჩვენმა ე.წ. პრეზიდენტმა ჩვენი თაობაც "ჩაგვრეცხა" და მიწასთან გაგვასწორა. მე ყოფილი პოლიციელი ვარ, 1992 წლიდან არც ომი დაგვკლებია, არც ტერაქტები და სხვა უბედურება, სააკაშვილმა კი ვითომც არაფერი, მოსვლისთანავე ყველა ქუჩაში მოგვისროლა. ბატონი ბიძინა კი გვეუბნება, ეს დღესაც გაიმეორა, რომ ჩვენს ქვეყანას კიდევ გამოადგებითო. მე იმასთან მივალ, ვინც თვლის რომ გამოვადგები. აპოლიტიკური პიროვნება ვარ, მაგრამ ბიძინა ივანიშვილში ვხედავ სიკეთის მკეთებელ კაცს. ბატონი ბიძინას ყველა გამონათქვამს ჩასაფრებულის პოზიციიდან რომ იკვლევენ, ამ ხელისუფლებას გივი თარგამაძის გამონათქვამი რატომ არ ახსოვს, რომელიც პროტესტის გამომხატველ ქართველებს, სულის ამოხდით გვემუქრებოდა და ნაძირლებს გვეძახდა. აი, ეს არის ნაცმოძრაობის ნამდვილი სახე. ესენი თუ კიდევ დარჩნენ ხელისუფლებაში, მართლა ამოხდიან სულს მთელ საქართველოს. თვითონ თუ დაავიწყდათ ჩვენ კარგად გვახსოვს მათი წინასაარჩევნო დაპირებები, რომელი შეასრულეს? მათი დაპირებები ჰაერში გასროლილი სიტყვებია. ბიძინა ივანიშვილი დაპირებების გარეშე ეწეოდა ამხელა ქველმოქმედებას, სიტყვის კაცია, რომელსაც სიკეთე უნდა საქართველოსთვის და იმიტომაც გვჯერა მისი. ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, როგორ შეიძლება სამების ამშენებელი კაცი, ქვეყნისთვის ცუდს ფიქრობდეს.



ის პოლიცია და თავდაცვის უწყება, რომლის იმედიც აქვს სააკაშვილს, ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებული არ არის? მათ ასეთი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა რომ აქვთ, ვისი დამსახურებაა? თუმცა ამან საქმეს ვერ უშველა, დღევანდელ პოლიციაში პროფესიონალები ძალზე ნაკლებად არიან. ჩვენ რომ ასეთი უზრუნველყოფა გვქონოდა, დამიჯერეთ, ჩვენი მოსახლეობა დღევანდელზე გაცილებით უკეთ იქნებოდა დაცული. დღევანდელი პოლიცია არის შეიარაღებული პოლიტიკური ძალა, რომელიც მხოლოდ „ნაცმოძრაობას" იცავს. პოლიცია დღეს ე.წ. გარე პერიმეტზე იდგა, მხოლოდ ძირითად მოძრაობას არეგულირებდნენ, ესეც რაღაცას ნიშნავს, რადგან მცხეთაში, გურიასა და ქუთაისში საერთოდ არ დამინახავს. პოლიციის, კერძოდ კი საპატრულო პოლიციის, უშუალო მოვალეობაა ასეთი მიტინგების დროს მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა, აქ კი ხომ ხედავთ, თავად აქციის ორგანიზატორები იცავენ ამ უსაფრთხოებას. ესეც მოწმობს, რომ დღევანდელი პოლიცია ვიღაც პოლიტიკოსის ამბიციების შემსრულებელი ძალაა. სხვათა შორის, ესეც კანონდარღვევაა, ჩვეულებრივი მოქალაქე რომ არეგულირებს მოძრაობას, მაგრამ რა ქნან ამ ხალხმა, იძულებულნი არიან თვითონ დაიცვან აქციის მონაწილეები ავტომანქანების ნაკადისგან. ამ პოლიციამ ან არ იცის რა უნდა გააკეთოს, ანუ არაპროფესიონალები არიან, ან იციან, მაგრამ შეგნებულად არ აკეთებენ, რადგან ასეთი პოლიტიკური დაკვეთა აქვთ. ხელისუფლებისთვის მთავარია, ხალხი ერთმანეთს დააჯახოს და როგორმე დაუპირისპიროს „ქართულ ოცნებას".

*„საერთო გაზეთი" აქციის სხვა მონაწილეებსაც გაესაუბრა. ცნობილი საოპერო მომღერალ ლელიკო ჯაფარიძის თქმით, ოთხი დღე იყო ხაშურში, ეკა ბესელიასა და მერაბ თავაძესთან ერთად ბევრი სოფელი შემოიარა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ხალხი მართლაც გაუსაძლის პირობებშია.*



**ლელიკო ჯაფარიძე:** „ვიცოდი, რომ სოფლებში ცუდი მდგომარეობა იყო, მაგრამ არ მეგონა ამისთანა უბედურებას თუ წავაწყდებოდი, არა გაზი, არა წყალი, არა სინათლე, მასობრივი უმუშევრობა, ხალხი ტიროდა. გამგებელს ვკითხე, სოფლებისთვის გამოყოფილი ფული სად წაიღეს, მაგრამ პასუხის მაგიერ, აქეთ შემომიტია. პოლიციის იმედად არიან, მათ გარეშე არც გადიან ხალხთან, ისე ეშინიათ. ამ აქციაზე რაც მოვისმინე, ეს იყო შვება. ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა მაშინ გადაწყვიტა, როცა უკვე უზარმაზარი ქველმოქმედება ჰქონდა გაწეული. ნაციონალებს რომ კითხო, თურმე მას პოლიტიკაში მოსვლა უნდოდა და იმიტომ იქცეოდა ასე. რა შუაშია ეს, ბატონმა ბიძინამ 20 წლის წინ დაიწყო ქველმოქმედება, 500 ეკლესია აღადგინა, 400-ზე მეტი სკოლა აქვს გაკეთებული. სამების ეკლესიის ამშენებელი კაცი, უკვე ისტორიაშია შესული ქველმოქმედისა და მშენებლის სახელით. ამ ხელისუფლებას არაფერი ეშველება, განწირულები არიან. შეიცვალა პოლუსები, ადრე ხალხს ეშინოდა, ახლა მაგათ ეშინიათ. ვშიშობდი, ამ აქციაზე რამე არ მომხდარიყო, რადგან მძიმე რეგიონია, მაგრამ სასწაული ვნახე, არ მეგონა ამ რაოდენობის ხალხი თუ მოვიდოდა. ვიღაცამ თქვა 30.000 კაცი იყოო, არ ვიცი, ისე მაგას არც აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ ხალხმა გაიღვიძა, იმედი მიეცა, აღარ ეშინია. მეტი არაფერი მაქვს სათქმელი, დარწმუნებული იყავით ჩვენ გავიმარჯვებთ".



**ირაკლი სესიაშვილი:** „მართლაც საუცხოო მუხტი და შემახილი იყო, რაც მარტო ცხინვალში კი არა ყველგან გაიგეს. რაც მთავარია პასუხი გაეცა პროვოკატორებსა და ქვის მსროლელებს. მერაბიშვილი რომ „ამაყობს" უსაფრთხო ქვეყანაში ვცხოვრობთო და თავად რომ არიან პროვოკაციების მომწყობნი, ამას გაეცა აქ პასუხი. მე არ მინდა ციფრებზე კონკრეტიკის გარეშე ლაპარაკი, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, მთელი საქართველო უჭერს მხარს ბიძინა ივანიშვილს, რადგან ხალხს მშვიდობა და ბედნიერი საქართველო უნდა, ოქტომბრის მერე დაიწყება მართლაც საოცნებო ქვყნის შენება".



**ზურაბ გამეზარდაშვილი („თავისუფალი დემოკრატების" ლაგოდეხის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი):** „მიუხედავად იმისა, რომ დევნილები დაშინებული ჰყავდათ და გარეთ არ უშვებდნენ, კახი კალაძემ და სხვა ლიდერებმა მაინც შეძლეს მათთან გასაუბრება. ლტოლვილთა ჩასახლებაში, რომელსაც „ვერხვებს" ეძახიან, ვერ მოგვიწყვეს პროვოკაცია, მაგრამ კარალეთთან მცხოვრებ დევნილებთან რომ მივედით, იქ კახი კალაძეს მართლაც არაადამიანური შეურაცხყოფა მიაყენეს, მაგრამ მოითმინა. კოტეჯებისკენ რომ დავიძარით, ქვების სროლა დაგვიწყეს, ამ დროს ჩვენს გვერდით იმყოფებოდა საერთაშორისო დამკვირვებელი კანადიდან თუ აშშ-დან, გაოგნდა ის კაცი. თვითონ იღებდა და ნახა რაც ხდებოდა. მან შემდეგ ძალზე სერიოზული და მკვეთრი განცხადება გააკეთა. ესენი იყვნენ ბასიშვილის ზონდერჯგუფის წევრები, რომლებიც ყველა შეხვედრაზე დაგვყვებოდნენ. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ ნულამდე დაგვეყვანა დაპირისპირების რისკი. ვერანაირი მიზეზი რომ ვერ ნახეს, მერე უკვე ღია აგრესიაზე გადმოვიდნენ ქვებითა და ლურსმნიანი ფიცრებით. კაცებს არც ქალები ჩამორჩებოდნენ *(როგორც გორელებმა მითხრეს ყველაზე გაწიწმატებული „ქალბატონი" მედოლე მინისტრ ხაჩიძის სიდედრი იყო – **მ.ს.**)* ეს ხალხი ე.წ. პრივილეგირებული დევნილები ყოფილან, მათ აქვთ შუქი და ყველანაირი საცხოვრებელი პირობები. ვინც ამ ხელისუფლების მომხრე არ არის, იმათ არც შუქი აქვთ და არც შეშა, ელემენტარულად საჭმელი რომ გაიკეთონ, სახლებში არიან გამოკეტილი. ერთმა ქალბატონმა გვითხრა, შვილისა და მეუღლის საფლავზეც ვერ მივდივარო, აი, ასეთ მძიმე მდგომარეობაში არიან. მიუხედავად იმისა, რომ ასე არიან დაშინებული, მათი 70-80% ჩვენი მომხრეა. ერთ-ერთ სოფელში ვიყავით შეხვედრაზე, წინ ქალების ჯგუფი გამოუშვეს, სკოლის ან საბავშვო ბაღის პედაგოგები იქნებოდნენ. ორი მათგანი გამომელაპარაკა, ყველა თქვენ მხარეს ვართ, „ქართულ ოცნებას" ვუჭერთ მხარს, მაგრამ აქ რომ არ გამოვსულიყავით, დირექტორი სამსახურიდან გაგვყრიდაო. ხალხში ასეთი განწყობაა, მაგრამ, როგორც გითხარით, არის დიდი შიშიც, თუმცა დღევანდელი დღე იმის ტესტი იყო, რომ ქართლის მოსახლეობას აღარ ეშინია და ველარც დააშინებენ".

**მანანა სუხიშვილი**

# Tu saakaSvili zRvargadasul ukanonobebs gaagrZelebs, xalxi mas Tavad gamoagdebs avlabris rezidenciidan

*გვესაუბრება დიპლომატი, ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი* **ზაზა გოგსაძე:**

**— ბატონო ზაზა, ხელისუფლებამ გასულ კვირას 60 ათასი ლარით დაგაჯარიმათ. როდემდე შეიძლება რეპრესიები გაგრძელდეს, რა გამოსავალს ხედავთ?**

— ეს ხელისუფლების ჩვეული ქმედებაა, ამაში ახალი არაფერია. თუ ვინმეს პარტიებში, ორგანიზაციებში თანხა აქვს გადარიცხული, ყველას იბარებენ და აჯარიმებენ. ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს მოსახლეობის, ამომრჩევლის დაშინებას. ხალხს გვაგრძნობინებენ, რომ ყველაფერს თავად აკონტროლებენ და მათი მორჩილნი უნდა ვიყოთ.

**12 ათასი ლარი საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ გადავრიცხე, რომლის დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილია, მე კი ერთ-ერთი თანადამფუძნებელი გახლავართ. ეს იგივე ჩემი სახლია. საკუთარ სახლში 12 ათასი ლარი მქონდა შენახული, თანხა ერთი სახლიდან მეორეში გადავრიცხე, რისი უფლებაც თურმე არ მქონია.**

თუ ეს ფული მოპარული მაქვს, ან არაკანონიერი გზით ვიშოვე, მაშინ უნდა დამიჭირონ, ხომ?! რას ნიშნავს დავასაბუთო, საიდან მაქვს ჩემი კუთვნილი ფული?! მათ თავად უნდა დამისაბუთონ თუ დამნაშავე ვარ. კონტროლის პალატაში დავწერე ახსნა-განმარტება, რომ სხვა შემოსავლებიც გამაჩნია, რისი შემოწმებაც მათ თავისუფლად შეეძლოთ. ასევე აღვნიშნე, რომ 2005-2008 წლებში, იტალიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვიყავი და ჩემი ყოველწლიური შემოსავალი 6 ათას ევროს შეადგენდა. გარდა ამისა, მანამდე გაეროს მისიაში ძალიან მაღალანაზღაურებადი სამსახური მქონდა. ასე, რომ თავისუფლად შემეძლო, ერთი თვის ხელფასი გადადებული მქონოდა. სასამართლოზე არანაირი შემხვედრი კითხვები არ დასმულა, კონტროლის პალატის წარმომადგენელი ცინიკურად იცინოდა.

**ხელისუფლებას ჩვეულებად ექცა ადამიანი არაფრად ჩააგდოს. მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე დაიხევენ, ყოველგვარ ზღვარგადასულ უკანონობაზე მოაწერენ ხელს, მაგრამ ასე დიდხანს აღარ გაგრძელდება. ყველაფერს აქვს ზღვარი, არ შეიძლება უსამართლობა უსასრულოდ გრძელდებოდეს და ამას დემოკრატიის ფასადით ნიღბავდე. თუ დიქტატორი ხარ და გინდა ბოლომდე ასეთად დარჩე, მაშინ ნუღარ თვალთმაქცობ თითქოს დემოკრატიის შუქურა ხარ. ასეთ შემთხვევაში, გაგაკრიტიკებენ, სხვა კატეგორიის ქვეყნებში გადახვალ, მაგრამ პრეტენზია აღარ გექნება დემოკრატიული ქვეყანა იყო.**

უცხო არავისთვისაა, რომ ჩვენთან დემოკრატია მხოლოდ ფასადურია, ხოლო შიგნიდან ტიპიური დიქტატურა და ავტოკრატიაა, სადაც სასამართლო საერთოდ არ არსებობს — მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების 99 პროცენტი დამადანაშაულებელია, რაც არნახული ციფრია, ეს არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ ხდება. წარმოგიდგენიათ, ელჩს ეუბნებიან 12 ათასი ლარი საიდან გქონდაო. ჩვენს ქვეყანაში არსებულ სასამართლოს სამართლიანს ნამდვილად ვერ უწოდებ. ეს სასამართლოს გარდა ყველაფერია. ეს არის სააკაშვილის ჯიბის სასამართლო. ამაში საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდი. სააპელაციომაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წინა გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა ძალაში. სასამართლოს გადაწყვეტილებაში კურიოზული შეცდომა აღმოვაჩინეთ — დასკვნაში მითითებულია, რომ აღნიშნული თანხა ვერ მექნებოდა, რადგან 2006 წლის ოქტომბერში ელჩის თანამდებობიდან გავთავისუფლდი, რაც სიცრუეა. სინამდვილეში, ჩემი ელჩის თანამდებობიდან გათავისუფლება 2008 წლის აგვისტოს მოხდა. მე თუ მკითხავთ, მხოლოდ ეს შეცდომაა საკმარისი, რათა საქმე დაირღვეს და სამართლიანად მოხდეს მისი ხელახალი განხილვა.



**ამ ფონზე, ბუნებრივია, ხელისუფლების მხრიდან ყველაფერია მოსალოდნელი. არავინ იცის, ხალხის წინააღმდეგ კიდევ რა რეპრესიებს განახორციელებენ, მაგრამ, მერწმუნეთ, რაც უფრო აგრესიულ ფორმებს მიმართავენ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ძალიან მალე ბუმერანგივით დაუბრუნდებათ უკან.**

მათსავე ინტერესშია, არა სიტყვით, არამედ რეალურად თავისუფალი არჩევნები ჩაატარონ. სოფლებში, სადაც რეალური ინფორმაცია ხელმიუწვდომელია, ხალხს აჯერებენ, თითქოს „ქართულ ოცნებას“ რუსეთის შემოყვანა გვინდა. ამიტომ მოსახლეობას უშუალოდ ვხვდებით და მათ სიმართლეს ვეუბნებით. ჩვენ რუსეთი ოკუპანტად გვყავს გამოცხადებული. მომავალს ნატოში, ევროკავშირში გაწევრიანებით ვხედავთ. თუმცა რუსეთთან ურთიერთობები მოსაგვარებელია. იმ ოკუპანტთანაც დალაპარაკებაა საჭირო, ამისთვის ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

**— ბატონო ზაზა, თქვენი დაჯარიმების თემას დავუბრუნდეთ. როგორც ვიცით, კერძო პირს ამა თუ იმ ორგანიზაციაში კანონმდებლობით 60 ათასი ლარის გადარიცხვა შეუძლია. თქვენი 12 ათასი ლარი რატომ გახდა პრობლემა და რა გზას ირჩევთ — გადაიხდით ჯარიმას?!**

— მედავებიან, საიდან მქონდა 12 ათასი ლარი, დაასაბუთე, რომ ეს ლეგალური თანხაა. თუ ეს ჩემი ფული არ არის, თუ ვინმე გავძარცვე ან რაიმე მაქინაცია ჩავიდინე, დასაჭერი ვყოფილვარ, ხომ და დამიჭირონ მაშინ?! 12 ათასი ლარის წარმომავლობაზე მედავებიან. წარმოგიდგენიათ, ევროპის ნებისმიერი ქვეყნის ყოფილი ელჩი სასამართლოში დაიბარონ და პასუხი მოჰკითხონ 12 ათასი ლარის გადარიცხვის გამო და 60 ათასით დააჯარიმონ. ეს აბსურდია, თანაც თანხა ისეთ საზოგადოებრივ მოძრაობაში გადავრიცხე, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი თავად ვარ. ეს ჭირვეული ბავშვის საქციელია. ჯარიმის გადახდას არ ვაპირებ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჯარიმა კანონდარღვევით დამაკისრეს. თანაც 60 ათასი ლარი რომ გადავიხადო, არავითარი გარანტია არ მაქვს, რომ ხელისუფლება არ მეტყვის, ეს 60 ათასი საიდან გქონდაო და ამის გამო კიდევ 300 ათასით არ დამაჯარიმებს. ამათ ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ. რაც უნდათ, ის ჰქნან, მათ შეუძლიათ ყველანაირი ზიანი მომაყენონ, ძალაუფლება მათ ხელშია, მაგრამ მალე ასე აღარ იქნება. ქონებას თუ დამიყადაღებენ, ამას კანონის ფარგლებში გავაპროტესტებ, მაგრამ ამ ქვეყანაში სამართალი არ არის. ამიტომ ველოდებით არჩევნებს, რათა ქვეყანაში სამართლიანობა აღვადგინოთ.

**— თუნდაც თქვენი კონკრეტული შემთხვევიდან აშკარაა, რომ, როგორც ზღაპრებშია, ქვეყანას გველეშაპია დაპატრონებული — რასაც მოგვთხოვს, ყველაფერს ვაძლევთ. თუ ასე გაგრძელდა და ყველაფრის უფლება მივეცით, ხომ შეიძლება საერთოდ შეგვჭამოს?**

— გამოჩნდება ცისკარა და დევს, რომელიც სოფელს წყალს არ აძლევს, დაამარცხებს, ხალხი კი გაიმარჯვებს. არჩევნები ახლოვდება, ხალხი მზადაა ამ პროცესისთვის. ხელისუფლება შეშინებულია და პროვოკაციებს გვიწყობს. აქ სხვა სიტუაციაა — გველეშაპი უკანონოდ ითხოვს ყველაფერს და მიაქვს კიდეც, მაგრამ ჩვენ კი არ ვაძლევთ, თავად მიაქვს ძალადობრივად. ივანიშვილმა ჯარიმა არ გადაიხადა და ამის გამო მოძალადე სააკაშვილმა ბანკი წაართვა. რა უნდა ექნა ივანიშვილს, უკანონოდ დაკისრებული ჯარიმა გადაეხადა?!

**— გეთანხმებით, მაგრამ ასე ჩუმად როდემდე ვიყოთ, ამ უკანონობებზე თვალი როდემდე დავხუჭოთ, ხმა ხომ უნდა ამოვიღოთ, გამოვხატოთ პროტესტი, თუნდაც ამხელა ქონების წართმევის გამო. ისეთი პირი უჩანს ,გველეშაპი არჩევნებამდე აპირებს ჩვენს შეჭმას.**

— სამ თვეში ვერ შეგვჭამს, როგორმე გავძლებთ. ქართველებს უფრო მეტი განსაცდელისთვის გაუძლია და ახლაც გავძლებთ. ჩვენ ანომალიური ვითარება გვაქვს იმ მხრივაც, რომ ფინანსური სახსრების გამოყენება მხოლოდ ხელისუფლებისთვისაა ნებადართული. მიუხედავად ამისა, დღეს ხალხის შეგნება იმდენად მაღალია, ჩვენთვის სასურველ შედეგს აუცილებლად მივიღებთ.

**— თუმცა ხალხი, რომელიც მხოლოდ მაყურებლად ვაქციეთ, რამდენად შეიძლება თქვენთვის გამარჯვების საწინდარი იყოს?**

— ხალხმა იცის, რომ არჩევნებამდე უნდა მივიდეს. ქვეყნისთვის ახლა ხალხის გარეთ გამოსვლა და სხვა გზით სიარული დამღუპველია. ეს უნდა სწორედ ხელისუფლებას. იგი ამ უკანონობებს სწორედ იმიტომ აკეთებს, რომ ოპოზიცია აიძულოს ხალხი გარეთ გამოიყვანონ. ან თავად ხალხს შეუქმნას ისეთი პირობები, რომ საკუთარი ნებით გარეთ გამოვიდნენ, მაგრამ ჩვენ მოვუწოდებთ ხალხს, არ აჰყვნენ ამ პროვოკაციას. თუ ხელისუფლება მაინც გამოიყვანს ხალხს და საქმეს კიდევ უფრო გაართულებს, მერე უკვე ველარავინ განსაზღვრავს, რა მოხდება. ღმერთმა გვაშოროს ყველაფერი ცუდისაგან. მაინც მგონია, ხელისუფლება კეთილგონიერებას გამოიჩენს და არჩევნები მეტნაკლებად ობიექტურად ჩატარდება. დარწმუნებული ვარ ოპოზიცია გაიმარჯვებს.

**— თუმცა ფაქტია, რომ დღეს ხელისუფლება ივანიშვილს ჯაბნის, თავიდან ეს ხალხში თანაგრძნობას აჩენს, მაგრამ, შეიძლება, დადგეს მომენტი, როცა მოსახლეობა დაფიქრდება იმაზე, თუ როგორ უნდა უშველოს იმ ადამიანმა, რომელიც საკუთარ თავს ვერ შველის, და ხალხი ძლიერის მხარეს დაიჭერს, ანუ ხელისუფლების. ეს ხომ ხალხის თვისებაა?**



— არა. სააკაშვილი ამით სიძლიერეს კი არა, სისუსტეს ამჟღავნებს. ხელისუფლების გადაწყვეტილებები აბსოლუტურად არაადეკვატურია, ეს მისი სისუსტეა, რასაც მშვენივრად გრძნობს ხალხი. ხალხი თავად გვეუბნება — არაუშავს, არჩევნები ჩატარდება და ყველაფერი რიგზე იქნებაო. მანამდე მოვითმენთ.

**— ბატონო ზაზა, როგორ ფიქრობთ, 26 მაისის კომპლექსიდან არ უნდა გამოვიდეთ? გასაგებია, მაშინ ხელისუფლებამ გაუგონარი რამ ჩაიდინა —საკუთარი ხალხის სისხლი დაღვარა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ მოახერხა, რომ იმ ავბედით ღამეს ცოტა ადამიანი იყო შეკრებილი და მათ ადვილად მოერია, მაგრამ 200-300 ათას კაცს ხომ ვერ მოერევა?**

— გასაგებია, მაგრამ სად გამოვიყვანოთ ეს 200 ათასი კაცი? კარგით, დავუშვათ დავგეგმეთ აქცია და ივლისის ბოლოს 200 ათასი კაცი გამოვიყვანეთ და რა ვუთხრათ მათ, რომ ხელისუფლება გადააყენონ?! მოდის, ბატონო, ოქტომბრის არჩევნები და იქ კანონის ფარგლებში გავაკეთოთ ეს საქმე, ხომ შეიძლება?!

**— როგორ არ შეიძლება, მაგრამ სწორედ მაგაშია საქმე, რომ ბევრი ხედავს საშიშროებას, რომ იმის გამო, რა რეპრესიებსაც ხელისუფლება წინა საარჩევნო პერიოდში ახორციელებს, შეიძლება, არჩევნებამდე საერთოდ ვერ მივაღწიოთ.**

— 27 მაისს და შემდგომაც სხვადასხვა რეგიონებში აქციებზე ქუჩაში გამოსული უამრავი ადამიანი სწორედ ხელისუფლების გასაფრთხილებლად გამოვიდა გარეთ. ხელისუფლება უკვე აგონიაშია. ახლა, 200 ათასი კაცი კიდევ რომ გამოვიდეთ და ხელისუფლებას გადადექიო დავუძახოთ, ამით ქვეყნის განვითარებას შევუშლით ხელს.

**— თუნდაც თქვენი შემთხვევა ავიღოთ, განა ეს იმის მანიშნებელი არაა, რომ ხელისუფლება უფრო უარეს ქმედებებზე მოაწერს ხელს?**

— კი, რა თქმა უნდა,

**ყველა უკანონობა, განხორციელებული რეპრესიები, მათ შორის დაჯარიმება-დაყადაღებები სწორედ ამის მანიშნებელია, მაგრამ გააჩნია, ეს რა წერტილამდე მივა. თუ ამან არნახული მასშტაბები შეიძინა, მერე ხალხს რაც არ უნდა ჰუკიჟინოთ არ გამოხვიდეო, მათ ვერაფერი შეაჩერებს და ქუჩაში მაინც გამოვლენ. თუ ხელისუფლების ქმედებები კიდევ უფრო გადავიდა ზღვარს, ხალხს ვერავინ დააკავებს. სააკაშვილი თუ არჩევნებს არ დათმობს და გაყალბებაზე წავა, ხალხი თავად დაათმობინებს. როდესაც ხელისუფლების ქმედებები ზღვარს გადავა, ხალხი თავის სიტყვას იტყვის, მაინც მიაღწევს თავისას და სააკაშვილი მაინც წავა.**

ვიცით, რომ ხელისუფლება უკანონობას უკანონობაზე სჩადის, მაგრამ არჩევნები კარსაა მომდგარი და დიდი მოთმინება გვმართებს, რათა ეს ხელისუფლება შინ მშვიდობიანად, კანონიერი გზით გავისტუმროთ. ნურავის ჰგონია, რომ არჩევნებზე ხმების არნახული გაყალბების შემთხვევაში, ხელისუფლებას პასუხს არ მოსთხოვენ. საერთაშორისო თანამეგობრობამ, პარტნიორმა ქვეყნებმა ყველამ იციან, რომ ხელისუფლება უკანონოდ იქცევა. ჩვენ ვამბობთ, მოდით, ეს უკანონობა ოქტომბერში დავასრულოთ. ხელისუფლებისთვის ხალხის აზრი ცნობილია. მიუხედავად მოსახლეობის განწყობისა, თუ ხელისუფლება ყველა დაშვებულ ზღვარს გადავა, ჩაიდენს კიდევ დამატებით უკანონობებს და ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივებას შეეცდება, მაშინ ხალხს წინ ვერაფერი დაუდგება და თავად გამოაგდებენ იმ სასახლიდან, სადაც ზის. თუ სააკაშვილი არჩევნების გაყალბებას ეცდება, ვიმეორებ, ხალხი მას რეზიდენციიდან გამოაგდებს.

**თამარ შველიძე**



# hamlet WipaSvili:

# Zalian seriozuli samoqalaqo dapirispirebis safrTxis winaSe vdgavarT

*„საერთო გაზეთს“ ესაუბრება პოლიტოლოგი* ***ჰამლეტ ჭიპაშვილი***

**— ჰამლეტ, როგორ შეაფასებთ რაც მოხდა ევროპარლამენტში საქართველოს საკითხზე დებატებისას. ევროპელმა პოლიტიკოსებმა არ იციან, ვინც არის სააკაშვილი და რასაც წარმოადგენს მისი მმართველობა? მართალია, ის დიქტატორი, შეიძლება, არ არის, კლასიკური გაგებით, მაგრამ მის მოქმედებებში დიქტატურის ელემენტები შეინიშნება. მოსწონს დიქტატურა დემოკრატიულ ევროპას?**

— მოდით, ბოლოდან დავიწყებ პასუხის გაცემას. თქვენ ბრძანეთ, რომ სააკაშვილში არის დიქტატურის ნიშნები. რაც არ გამორიცხავს მთელი პრესის, მასმედიის დასჯას. არის გამოცემები, მათ შორის, „საერთო გაზეთიც“, რომლებიც რეალურად აფასებენ სააკაშვილს, მაგრამ მისთვის არავითარ კრიტიკას მნიშვნელობა არა აქვს. ხან ომს იწყებს, ხან-ბაგრატის რეკონსტრუქციას აკეთებს, კონსტიტუციას ცვლის... ეს არის წმინდა წყლის დიქტატურა, ამას წყალი არ გაუვა.

ახლა, რაც შეეხება ევროპის დამოკიდებულებას.

მოგეხსენებათ, სააკაშვილი „ვარდების რევოლუციით“ მოვიდა ხელისუფლებაში, ეს რევოლუცია კი იყო დასავლურ-ამერიკელი პროექტი, რომელიც საქართველომდე ბევრ ქვეყანაში განხორციელდა. მაგრამ საქართველოში ყველაზე წარმატებულად.

თვითონ **სააკაშვილი, თავისი ამერიკელი და ევროპელი მეგობრების დახმარებით, ყველაფერს აკეთებს, რათა მსოფლიოს მის მიმართ კარგი განწყობა ჰქონდეს**.

არ დარჩა მსოფლიოში წამყვანი პოლიტიკური წრე ან ორგანიზაცია, რომლებიც „სააკაშვილებმა“ არ მოთაფლეს, და არ იფიქროთ, თითქოს ყველაფერი „ვარდების რევოლუციის“ დროს იყოს დაწყებული. მუშაობა ამ ახალგაზრდებმა 1995 წლიდან დაიწყეს, როდესაც ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარე იყო. ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები მაშინ დაოთხილი დარბოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ამაზე იხარჯებოდა ძალიან დიდი თანხები და ა.შ.

მე თვითონ მახსოვს, ევროკავშირის, ევროპარლამენტის და სხვა უმაღლესი რანგის წარმომადგენლები საქართველოდან ისე არ წავიდოდნენ, რომ არ შეხვედროდნენ ახალგაზრდა ჟვანიას, სააკაშვილს, ბარამიძეს, ბურჯანაძეს და სხვებს. ეს ის ხალხი იყო, ვინც მათ საჩუქრებით ავსებდა, მელასავით ელაქუცებოდა.

ასეთი ადამიანი, ვისაც ფესვები აქვს გადგმული უცხოეთში მრავალი წლის განმავლობაში — 1994-95წლიდან მოყოლებული, უმეტესობისთვის მისაღებია დასავლეთში. იგი გახლავთ რუსეთის წინააღმდეგ ხმალამოღებული მებრძოლი რეგიონში. სააკაშვილის მსგავსი ლიბერალური მმართველი სანატრელია მთელ კავკასიაში და ამიტომაც იყო ახლახან ჩამოსულმა კლინტონმა მერე ისრაელში რომ თქვა — სააკაშვილი სასწაულებს აკეთებს საქართველოშიო. ეს არაა პატარა საქმე სააკაშვილისთვის და ამას აკეთებს ის კაცი, ვინც ჩვენ უჭკუო გვგონია. ამ „ქარაფშუტამ“ შესანიშნავად აუღო ალღო სიტუაციას, დახარჯა უამრავი ფული და მისი ავტორიტეტი დღეს მსოფლიოში არის ძალიან მაღალი.

მასთან ბრძოლა არაა ადვილი და ამიტომაც იყო ოპოზიციამ სრული ფიასკო რომ განიცადა სტრასბურგში. ალასანია და ჯაფარიძე, ხიდაშელი და უსუფაშვილი კი არა, ჯონ მაკკეინს რუზველტი რომ გაუცოცხლო და რომ უთხრას, სააკაშვილი ცუდია და ზურგი შეაქციეო, იმასაც არ დაუჯერებს, ისეა დარწმუნებული მიხეილის მეგობრობასა და ერთგულებაში.

**— საზოგადოების ნაწილი თქვენნაირად არ იფიქრობს, ზოგს მიაჩნია, რომ მიხეილ სააკაშვილი სწორედაც რომ რუსეთის პოლიტიკის მხარდამჭერია საქართველოში და რუსეთის ინტერესებს ახორციელებს. ამის დასტურად მოჰყავთ იგორ ივანოვი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ „მონაწილე“ იყო. ამის დასტურია, რუსული კაპიტალი საქართველოში, ბენდუქიძე, ვაშაძე და სხვები. ზოგი ამბობს, რუსეთის საიდუმლო გეგმებს საარჩევნოდაც განახორციელებსო.**

— პოლიტიკა ისეთი რამეა, რაც პერმანენტულად იცვლება. რაც იყო 2003 წელს, ახლა აღარაა მნიშვნელოვანი.

რა იყო რუსეთის სურვილი? მას სურდა სხვის გაშლილ სუფრაზე თამამად მოსულიყო. იმიტომ, რომ ის თვლის, ამიერკავკასია მისი გავლენის სფეროა 2 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. აშშ-ის ჭაჭანება არ იყო აქ 1992 წლიდან. შემოვიდა და დაიწყო სერიოზული მოქმედებები რაც თანდათან გამოისახა იმაში, რომ რუსეთი უნდა გავიდეს და აშშ-ს დაუთმოს პოზიციები, რადგან ეს პატარა ტერიტორია არ არის ორი გიგანტის მოქმედების არეალი.

2004 წელს სააკაშვილი კიდევაც ჩავიდა რუსეთში და შეხვდა ხელმძღვანელობას. წასვლამდე საპარლამენტო ფრაქციების წარმომადგენლებს შეხვდა. იქ ვიყავი მეც, როცა აქებდა რუსეთს, ასლან აბაშიძეს, რომელსაც ეხმარებოდა ლუჟკოვი და ა.შ. სინამდვილეში მას ეს რიტორიკა რუსეთის თვალის ასახვევად სჭირდებოდა და მოახერხა კიდევაც. მან მოატყუა რუსეთი, რომელიც გვიან მიხვდა მიხეილის სივერაგეს.

**ახლა ბევრი ამბობს, რომ სააკაშვილი რუსეთის კაცია. ეს არის ბლეფი და ზღაპარი**.

თუ ამ შეხედულებას გაამყარებენ რუსული კაპიტალის არსებობით საქართველოში, მე მოგახსენებთ, რომ ეს კაპიტალი აქ არის მხოლოდ იმიტომ, რომ რუსული ბიზნესინტერესები უფრო რეალური და სიცოცხლისუნარიანია საქართველოში, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნის კაპიტალი, რადგან რუსეთისთვის ცნობილია საქართველო, როგორც სამოქმედო სივრცე. ბენდუქიძე და მისნაირები არ არიან რუსული ორიენტაციის. ეს უკანასკნელი, მართალია, რუსეთში ცხოვრობდა, მაგრამ ის ლიბერალური, დასავლური ღირებულებების თაყვანისმცემელია და როგორც რუსი ლიბერალები, ისიც ხმალამოღებული მებრძოლია პუტინის და რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების.

**— სააკაშვილმა რამდენიმე ხნის წინ თქვა, რომ ის ცდილობს და სურს დაელაპარაკოს რუსეთის ხელისუფლებას.**

— საქმე ისაა, რომ მან შესანიშნავად იცის, „აი-რა-ის“ და „ენ-დი-აის“ გამოკითხვებით, რა სურს საქართველოს მოსახლეობას. იცის, რომ საქართველოში 70 პროცენტს სურს რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. ამიტომ იმ 70 პროცენტს საკენკს უყრის და ამბობს: მეც მინდა, ბატონებო, რუსეთთან ურთიერთობა, მე წინააღმდეგი არა ვარო.

თუკი მას ურთიერთობა სურდა რუსეთთან, რა უშლიდა ხელს წლების განმავლობაში? დედის გინებით ვერავისთან ვერ დაამყარებ კარგ ურთიერთობას, ეს მარტივი ლოგიკაა.

**— რატომ ამბობენ, ივანიშვილი რუსეთის გამოგზავნილიაო, არის ამაში სიმართლის ნაწილი მაინც?**

— არა, არა, გამორიცხულია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანმა კაპიტალი რუსეთში დააგროვა, დარწმუნებული ვარ, მას არ აქვს ურთიერთობა რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან.

**— თუკი მოსახლეობის 70 პროცენტი თანახმაა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის, რატომ მისდევენ ქვებით „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს და ლანძღავენ — წადით „რუსეთის გამოგზავნილ“ ივანიშვილთანო?**

— ვინც ყვირის, ეს სააკაშვილის ხალხია, მასა, საზოგადოების დიდი ნაწილი ასე არ ფიქრობს და ის ხალხი არ ყვირის, გაჩუმებულია.

საქართველოში დღეს ზუსტად იგივე იდეოლოგია ვრცელდება, რაც აქვს დასავლეთს და აშშ-ს რუსეთისადმი. რუსეთმა ფეხი ვეღარ უნდა დაადგას საქართველოში, მას არაფერი ეკითხება არც კავკასიაში, არც ცენტრალურ აზიაში და ა.შ. ასე ფიქრობენ რუსი ლიბერალებიც. მათ ტვირთად მიაჩნიათ კავკასია რუსეთისთვის.

**— ასე ძალიან ეშინია ივანიშვილის მთელი მსოფლიოს პოლიტიკური წრეებით ზურგგამაგრებულ სააკაშვილს, შეფუცხუნებული რომ არიან და ძირეულ საკადრო ცვლილებებზეც რომ მიდიან?**

— სააკაშვილს მმართველობის განმავლობაში ისეთი მოწინააღმდეგე არასდროს ჰყოლია, როგორც ივანიშვილია. ვინც იყო ოპოზიციაში, ნელ-ნელა ყველა მოისყიდა. ივანიშვილს ის ვერ მოისყიდის, ამიტომ მისთვის ბარიერის აღმართვა გახდა საჭირო.

**— თქვენ როგორც თქვით, რომ ივანიშვილს ვერავინ მოისყიდის. ბრძოლა დაძაბული იქნება. ამის ნიშნები არის. ჯერ ქვების სროლით დაიწყეს.**

— მე ერთი რამის მეშინია, რა „გამჭვირვალედაც“ არ უნდა ჩაატაროს არჩევნები სააკაშვილმა, ოპოზიცია მაინც არ იქნება კმაყოფილი და არაა გამორიცხული, მოუწოდონ ხალხს გამოსვლისკენ და არ მგონია, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდეს. ძალიან სერიოზული სამოქალაქო დაპირისპირების მეშინია.

კარალეთში რაც მოხდა, ეს იყო პატარა შეხლა-შემოხლა, მაგრამ გადაიტანეთ ეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. კიდევ ვიმეორებ,

**სასტიკი წინააღმდეგობა იქნება ხელისუფლების მხრიდან და ვიმედოვნებ, ბიძინა ივანიშვილმა იცის, ვისთან აქვს საქმე**.

ვიმედოვნებ, მას ჰყავს დასაყრდენი ძალა. ეს ყველაფერი სერიოზული განსჯის საგანი უნდა იყოს, რადგან არ ვიცით, საითკენ მივექანებით...



**ირანდა კალანდაძე**

# sasaciloa, rodesac xelisufleba 4 miliardis finansirebaze saubrobs, roca 8 wlis ganmavlobaSi 1 miliardi laric ki ar dauxarjavT

არჩევნებამდე დარჩა 3 თვე. კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერების მიერ აქტიურად ხდება სხვადასხვა (პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა) პრიორიტეტების გაცნობა ამომრჩევლისთვის.

„ქართული ოცნების" საპროგრამო პრიორიტეტები ქართული საზოგადოებისათვის ცნობილია - დასაქმება, განათლება, ჯანდაცვა და სოფლის მეურნეობა.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა - კოალიცია „ქართული ოცნების" ხედვაა ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისა და მათი მოგვარების გზების თაობაზე, რომელიც ეფუძნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს და ფასეულობებს, ამასთან ითვალისწინებს სოციალური სამართლიანობის და მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდას, უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა მომზადდა კოალიციაში შემავალ პარტიებთან, მეცნიერებთან, ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან კონსულტაციების გზით.

ვესაუბრებით პროგრამების კოორდინატორს, "ქართული ოცნების" წარმომადგენელს, თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერს, **დავით ონოფრიშვილს**.

**— ბატონო დავით, რატომ ვერ შეძლო ვარდების ხელისუფლებამ ათასწლეულის გამოწვევებიდან ერთ-ერთი უმთავრესის - სიღარიბის დამარცხება? რატომ ვერ ჩამოყალიბდა საქართველოში საშუალო ფენა?**

— 2004 წლის არჩევნებში, როდესაც საზოგადოება უმძიმესი სოციალ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა, „ნაციონალურმა მოძრაობამ" ეკონომიკის სწრაფი აყვავების და მნიშვნელოვანი სოციალური პაკეტის შეთავაზების ლოზუნგით გაიმარჯვა. თუმცა მალევე დაიწყო ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელება „ლიბერტარიანიზმის" დევიზით, რომელიც შორს აღმოჩნდა რეალური ცვლილებებისაგან და ხელისუფლებამ უარი თქვა სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ პასუხისმგებლობაზე.

2003 წლიდან დღემდე სრულფასოვნად და თანმიმდევრულად არანაირი ეკონომიკური პოლიტიკა არ განხორციელებულა. მთავრობის პოპულისტური პროგრამები - „სიღარიბის დაძლევის", „დასაქმების", თუ „ბიზნესის ხელშეწყობის", ორიენტირებული იყო მხოლოდ პროპაგანდაზე და არა შედეგზე. საქართველოში სიღარიბე უფრო გაიზარდა და ამაზე მსოფლიო ბანკის ბოლოდროინდელი კვლევები მეტყველებს, გაიზარდა უმუშევრობა, საგარეო ვალები, შემცირდა ინვესტიციებიც.



**სასაცილოა, როდესაც ხელისუფლება მომავალ წლებში სოფლის მეურნეობაში 4 მილიარდის ფინანსირებაზე საუბრობს, როცა მმართველობის 8 წლის განმავლობაში 1 მილიარდი ლარიც კი არ დაუხარჯავთ.**

მოსახლეობისათვის განსაკუთრებული შეშფოთების საგანი გახდა ბოლო წლებში განხორციელებული პრივატიზაციის პროცესი, საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ქონების გასხვისება ხდებოდა გაუმჭვირვალედ, მსხვილი ობიექტები, მათ შორის - სტრატეგიული მნიშვნელობის, აუქციონის ჩატარების გარეშე სახელმწიფოს ინტერესების სრული იგნორირებით განხორციელდა. ხელისუფლებაში განსაკუთრებული „პოპულარობით'' სარგებლობს საპრივატიზაციო ობიექტების სიმბოლურ ფასად - 1 ლარად გასხვისება პრეზიდენტის გადაწყვეტილებით. ასეთი გარიგებების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა ხელისუფლების მხრიდან „ელიტარული კორუფციის" წყარო.



ხელისუფლების პრიორიტეტი არასდროს ყოფილა ხალხი. დღესაც, ყველა ის დაპირება, რასაც ხელისუფლების მხრიდან ისმენს მოსახლეობა, მხოლოდ წინასაარჩევნო დაპირებებია.

საშუალო ფენის შექმნის ინტერესი არ ჰქონდა ხელისუფლებას, რადგან საშუალო ფენა, როგორც წესი, აქტიურად არის ჩართული პოლიტიკაში, სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ეს არის ის ძალა, რომელსაც შეუძლია არჩევნების ბედის გადაწყვეტა. ნორმალური მთავრობის მიზანი ნამდვილად უნდა ყოფილიყო ამ ფენის ჩამოყალიბება. თუმცა ხელისუფლებას ურჩევნია მასზე დამოკიდებული, მორჩილი მოსახლეობა ჰყავდეს, რომელიც მხოლოდ 4 წელიწადში ერთხელ - წინასაარჩევნოდ ახსენდება. საქართველოს მოქალაქეებს რვაწლიანი დანაპირებების მწარე გამოცდილება აქვთ, ამდენად ისინი დარწმუნებული ვარ, სწორ არჩევანს გააკეთებენ.

**— საპროგრამო მესიჯები კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერის, ბიძინა ივანიშვილისაგან საზოგადოებამ მხარდამჭერებთან გამართულ აქციებზე მოისმინა. ივანიშვილის პროგრამისადმი ინტერესი, ისევე როგორც ნდობა, საკმაოდ მაღალია, თუკი გავიხსენებთ იმასაც, რომ ჩვენს ქვეყანაში თითქმის 2 მილიონი ადამიანი უმწეო მდგომარეობაშია. რა არის უმთავრესი თქვენს პროგრამაში?**

— 1 მილიონ 650 ათასი ადამიანი, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი, სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. დიახ, ეს არის ამ ხელისუფლების რვაწლიანი პოლიტიკის შედეგი. ჩვენი პროგრამა რეალურ გათვლებზეა დაფუძნებული. ჩვენი პრიორიტეტებია ის, რასაც ჩვენი მოსახლეობა მიიჩნევს მნიშვნელოვნად - დასაქმება, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი - ჯანდაცვა და განათლება, სოფლის მეურნეობა.

დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის, ინვესტიციების მოზიდვისა და წარმოების ხელშეწყობის, კვალიფიკაციის ზრდის საშუალებები ჩვენს მიერ მომზადებულ სტრატეგიებშია ასახული. თითოეული ადამიანი, საკუთარი კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამის სამუშაო ადგილს მოძებნის, გაუჩნდება დამატებითი შემოსავლები და გაუმჯობესდება მისი სოციალური მდგომარეობა, შესაბამისად, შემცირდება მოსახლეობის მასობრივი გადინება საზღვარგარეთ.

დასაქმებაზე ორიენტირებული პოლიტიკა გულისხმობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის რეალურ განვითარებას. ეკონომიკის პოლიტიკამ უნდა უზრუნველჰყოს სოფლის მეურნეობის, მასთან დაკავშირებული დარგების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე წლის წინ ბიძინა ივანიშვილი მზად იყო სოფლის მეურნეობის განვითარებაში საკუთარი 1 მილიარდი ლარის დახმარებისათვის, მაგრამ მან ხელისუფლებისაგან უარი მიიღო. ჩვენი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთმილიარდიანი ფონდის შექმნას, დაეხმარება გლეხებს და ფერმერებს დაბალპროცენტიანი კრედიტის გაცემაში, უფასო საკონსულტაციო მოხმარებაში, მიწის შესაბამისი აგროტექნიკით დაფინანსებაში. ბაზარზე გასაღების პრობლემაც მოხსნილი იქნება, მათ ხელი შეეწყობათ თავიანთი პროდუქციის გასაღებაში და ცხადია, მოწესრიგდება ის ინფრასტრუქტურა, რაც სჭირდებათ. დღეს ქართულ სოფელში არაა მორწყვის საშუალება, არის არხები, სადაც წყალი ვერ გადის, რადგან გასაწმენდია. უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი, რაც სწორედ ამ თანხის დახმარებით მოხდება.

„ქართული ოცნება" ფიქრობს, რომ კარგი იქნება, შეიქმნას მცირე და საშუალო საოჯახო ბიზნესის განვითარების ფონდი, რომელიც ასევე მეორე წყარო იქნება დაფინანსების, საბაზრო, მაგრამ შედარებით დაბალ პროცენტში გასცემს სესხებს.

**— საიდან აპირებს კოალიცია ფინანსური რესურსების მოზიდვას, რომელიც სხვადასხვა სექტორში ჩაიდება?**

— „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პენსია გახდება 160 ლარი, ანუ არანაკლებ საარსებო მინიმუმის და საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ექნება უფასო ჯანმრთელობის დაზღვევა. ეს ყველაფერი ცხადია დაფინანსდება ბიუჯეტიდან. ბიუჯეტში ამისი საშუალება ყოველთვის არსებობდა. ხელისუფლების ბიუჯეტში რომ ჩაიხედოთ, „სხვა ხარჯებში" მილიარდ ლარზე მეტია გაწერილი, რომელიც ყოველწლიურად იზრდება- შარშან თუ 600 მილიონი იყო, წელს უკვე მილიარდზე მეტია. ჩვენი პროგრამები ერთობლიობაში, დაახლოებით, მილიარდნახევარს მოიცავს, ნაწილი ბიუჯეტის ზრდის ხარჯზე, ნაწილი კი არამიზნობრივი ხარჯების შემცირებით გამოიძებნება.

**— ბატონო დავით, ვფიქრობ, ბოლომდე მაინც ნუ გავახმოვანებთ საპროგრამო გეგმას, რადგან ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები ივანიშვილის საპროგრამო მიმართულებების საკუთარ ინტერპრეტაციას უკვე სთავაზობენ ამომრჩეველს...თუმცა კომუნალური პრობლემები და ტარიფების შესახებ აუცილებლად უნდა გკითხოთ.**

— კომუნალური გადასახადების ტარიფები 2003 წლიდან ყველა მიმართულებით გეგმაზომიერად მკვეთრად იზრდებოდა და 2012 წლისთვის მივიღეთ სურათი, როდესაც ტარიფების სიდიდით საქართველომ არა მარტო დსთ-ს ქვეყნებს, არამედ ევროპის ბევრ ქვეყანასაც კი გაუსწრო. მოსახლეობისაგან გადასახადების არაცივილიზებული ხერხების გამოყენებით ისედაც მკვეთრად გაზრდილი კომუნალური ხარჯები ღარიბ მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა - ელექტროენერგიის, გაზის, წყლის მიწოდებისა და ნარჩენების გატანას საქართველოში ერთი საერთო აქვს - ყველა ეს მომსახურება თვითღირებულებასთან შედარებით არაადეკვატურად დიდია. თბილისში წყლის ტარიფი 2003 წელთან შედარებით 160% -ით გაიზარდა. არც ერთი დაპირება - 24 საათიანი მომარაგება, წყლის ხარისხის გაუმჯობესება, ტარიფის დიფერენცირება და სხვა არ შესრულებულა და მოტყუებულმა მოსახლეობამ გაცილებით ძვირად უარესი მომსახურება მიიღო.



თითქმის გაორმაგებულია ბუნებრივი აირის ფასი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წინაპირობა არსებობს მისი ტარიფის საგრძნობი შემცირებისათვის - საქართველო თავის ტერიტორიაზე არსებული მაგისტრალური გაზსადენიდან უფასო გაზს იღებს. ელექტროენერგიის ტარიფი ამავე პერიოდში 70 %-ით გაიზარდა, აღსანიშნავია, რომ დაწესებული დიფერენცირებული ტარიფიც სოციალურად უსამართლოა.

ჩვენ უმოკლეს ვადებში განვახორციელებთ ტარიფების ხელახალ და სამართლიან გამოთვლას, არ დავუშვებთ ბიზნესზე კაბალურ ტარიფებს, რაც აძვირებს პროდუქციას მოსახლეობისათვის და ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას. ეფექტიანი და ცივილიზებული შრომის ბაზრის ჩამოყალიბება ჩვენი უმთავრესი ამოცანაა. შრომის კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია ამ ამოცანის შესრულების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ამისათვის კი საჭიროა ახალი შრომის კანონმდებლობის შემუშავება და მიღება, ისევე, როგორც სოციალური დიალოგის და სოციალური პარტნიორობის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფა.

**— რას გვეტყვით სოფლის მეურნეობის პრობლემებზე? თქვენ თქვით, რომ გლეხებს ხელს შეუწყობთ შექმნილი პროდუქციის გასაღებაშიც, ეს რას გულისხმობს?**

— ხელისუფლებამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო სოფლის მეურნეობა. განახევრებულია ნათესი ფართობები, განახევრებულია მოსავლიანობა სხვადასხვა მარცვლეული კულტურების. მარტო ხორბლის წარმოება საქართველოში ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე 80%-ით არის შემცირებული.

მონოპოლიურმა ფასებმა აქაც იჩინეს თავი. ხორცის ფასი რატომ არის ასეთი ძვირი? იმიტომ რომ წარმოება შემცირებულია და ამავე დროს შემოიღეს შეზღუდვები, რომ საქონელი დაიკლას მხოლოდ რამდენიმე ადგილას და ხელოვნური მონოპოლიები შექმნეს. შესაბამისად, ხორცის გასაყიდი ფასი გააძვირადა 14-18 ლარამდე, რაც წარმოუდგენელად ძვირია ამ პროდუქტზე ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.

ეს პრობლემები იწვევს იმას, რომ დღეს ბიზნესს დაინტერესება არ აქვს, არც ეს შუალედური საბითუმო რგოლები იქმნება, რომ ვინმემ ადგილზე გლეხისგან პროდუქციას შეიძინოს და ექსპორტზე გაიტანოს. ჩვენ ხელს შეუწყობთ, რომ წარმოიქმნას ის შუალედური საბითუმო რგოლი, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოში 20 წელია, ვერ შეიქმნა. სასურველია ეს კერძო სტრუქტურა იყოს, თუმცა, შეიძლება, ის ჯერ სახელმწიფო იყოს და შემდგომ განკერძოვდეს.

ამის გარდა, ჩვენ ვეცდებით, რომ გაიხსნას რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ხმა მისცა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, დღეს გორის ვაშლი მაინც ვერ ხვდება რუსულ ბაზარზე და ამის შემცვლელი ბაზარი კი, ფაქტობრივად, ვერც წარმოიქმნა. იგივე შეიძლება ითქვას სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. ქართული პროდუქტების ბაზრებზე გატანა ვერ ხერხდება, რასაც გლეხებს ნუ დავაბრალებთ. ხელისუფლების უყურადღებობამ და სოფლის მეურნეობის დაუფინანსებლობამ წარმოქმნა ეს პრობლემები.

„ქართულ ოცნებას" აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების კონკრეტული გეგმა, თუ როგორ უნდა აღორძინდეს ქართული სოფელი და აგროსასურსათო სექტორი, როგორ დასაქმდეს მოსახლეობა სოფლად.

**ნინო ფირცხალავა**

*ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI-ს) მიერ გამოქვეყნებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებზე „საერთო გაზეთს" არჩევნებისა და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი* ***კახა კახიშვილი*** *ესაუბრა.*

**— ბატონო კახა, ცოტა ხნის წინ ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI-მ) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოქვეყვევაში, ის მოუწოდებს ხალხს ქუჩის საპროტესტო აქციისკენ. დაუჭერდით თუ არა მხარს ივანიშვილის ამგვარ მოწოდებას"? გამოკითხულთა 53%-მა ქუჩაზე გამოსვლაზე უარი განაცხადა, 27%-მა დადებითი პასუხი გასცა, ხოლო 19%-მა კითხვაზე პასუხი არ იცის. როგორ ფიქრობთ, რა მიზანი აქვს ამგვარ კითხვას?**

— თქვენ კვლევაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს შეეხეთ. სიმართლე გითხრათ, ასეთი ტიპის შეკითხვა აქამდე არსებულ და გამოქვეყნებულ კვლევაში არ შემხვედრია. ამ შემთხვევაში, ავტორის მიზანია, მოსახლეობის აზრის ფორმირება იმასთან დაკავშირებით, რომ ბიძინა ივანიშვილი ქუჩაში გასვლას აპირებს. ევროპაში გამართულ საპარლამენტო დებატებს თვალს თუ გადაავლებთ, ზოგიერთმა ევროპელმა დეპუტატმა ღიად განაცხადა, რომ ივანიშვილის მიზანი არის არა არჩევნები, არამედ ქუჩაში გასვლა და ამ ფორმისალები ფორმა ქუჩის აქციებია.



**— კვლევაში არ მოხვდა კონტროლის პალატის ბოლოდროინდელი ქმედებები, რატომ, რა არის ამის მიზეზი?**

— ლუის ნავარომ გვითხრა, რომ მაშინ, როდესაც კვლევისთვის კითხვარები მუშავდებოდა, კონტროლის პალატა ასეთი აქტიური არ იყო. ჩემი აზრით, ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს არ უნდოდა ხალხის საკმაოდ დიდი ნაწილის უკმაყოფილება დაფიქსირებულიყო აღნიშნული სამსახურის მიმართ.

**— NDI-ს წინა კვლევებთან შედარებით, კითხვაზე პასუხი „არ ვიცი" მნიშვნელოვნად შემცირებულია. რა არის მიზეზი?**

— გააჩნია, ამ შემთხვევაში „არ ვიცის: რესპოდენტები საით გადაიხარნენ უარყოფითი თუ დადებითი პოზიციისკენ და ამის გარკვევა მნიშვნელოვანია.

გასაგებია ასეთი კატეგორიის ადამიანების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ არ ვიცით, ამის ხარჯზე რომელმა პროცენტულმა მაჩვენებელმა მოიმატა. თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს მაჩვენებელი უფრო უარყოფითისკენ

# kaxa kaxiSvili:
# NDI-is saSualebiT xelisufleba saerTaSoriso asparezze biZina ivaniSvilis `gaSavebas~ cdilobs

**ნა. რას ფიქრობთ, კვლევის შედეგებზე და არის რაიმე კონკრეტული, რომელსაც გამოყოფდით?**

— მე, პირადად, კვლევაში რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს გამოვყოფდი. პპირველი ის, რომ საზოგადოება, როგორც კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა, საქართველოში არსებული სოციალური მდგომარეობით ისევ უკმაყოფილოა. ხოლო, მეორეს მხრივ, როცა წმინდა პოლიტიკური ხასიათის შეკითხვებია, დასმულია ვხედავთ, რომ მოსახლეობის ნაწილი, მაინცდამაინც გულწრფელი არ არის ღიად პოზიციის დაფიქსირებას ერიდება.

**— NDI-ის მიერ დასმულ შეკითხვაზე—არის თუ არა საქართველოში დემოკრატია, გამოკითხულთა 43% თვლის, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის. აამ მიმართულებით ვითარება თებერვლის კვლევასთან შედარებით გაუარესებულია. მაშინ ეს მაჩვენებელი 34% იყო. როგორ ფიქრობთ, ვითარების გაუარესება ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ განვითარებულმა პროცესებმა ხომ არ განაპირობა?**

— კითხვაში ორი ფაქტორია გამოსაყოფი. ერთის მხრივ, რესპონდენტების ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ ქვეყანაში არის დემოკრატია, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ საქართველოში არ იცის, არის თუ არა დემოკრატია— ეს მაჩვენებელი კვლევის მიხედვით 18%. ადამიანების ის რაოდენობა, რომელიც აცხადებს, რომ არ იცის საქართველოში არის თუ არა დემოკრატია, ნიშნავს იმას, რომ ისინი ქვეყანაში დემოკრატიის ნიშნებს ვერ ხედავენ და იმ ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომლებიც თვლიან, რომ ჩვენთან დემოკრატია არ არსებობს. ამიტომ ერთობლიობაში 43+18%= 61%, ეს კი სახარბიელეო მაჩვენებელი ნამდვილად არ არის.

**— ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში დასმულია ასეთი შეკითხვა: „ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, არჩევნებში გაყალბების შემთხმით ხელისუფლების შეცვლა.** ჩანს, რომ დაგეგმილია სერიოზული კამპანია, რათა უცხოელების, საზოგადოების თვალში, „ქართული ოცნების" ლიდერი წარმოაჩინონ, როგორც რადიკალური პოლიტიკოსი. NDI-ს თუ ხალხის განწყობა აინტერესებდა ქუჩის პროცესებთან დაკავშირებით, მაშინ მხოლოდ ივანიშვილზე აქცენტი რატომ იყო გაკეთებული? რატომ არ იყო იგივე კითხვა სხვა პოლიტიკურ ლიდერთან მიმართებაში დასმული?

**— რატომ მიიჩნევთ, რომ პროცესები ქუჩაში გადაინაცვლებს, ფიქრობთ, ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს?**

— ვაანალიზებ რა წინასაარჩევნო გარემოს, ვხედავ ამომრჩევლებზე ზეწოლასა და რეპრესიებს. ამის გათვალისწინებით, წარმოიდგინეთ, არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ რა სიტუაცია იქნება და ყოველთვის საბოლოოდ პროტესტის გადაიხრებოდა, რადგან ქვეყანაში შექმნილი სოციალური მდგომარეობით ძალიან ბევრი ადამიანია უკმაყოფილი.

**— როგორ ფიქრობთ, კვლევის შედეგები გავლენას მოახდენს არჩევნებზე?**

— ასეთი ტიპის კვლევებს ორი სახის დანიშნულება აქვს. პირველი, ის, რომ გარკვეული აზრი საზოგადოების შიგნით შექმნან, ხოლო, მეორეს მხრივ, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოში არსებული ვითარების შესახებ აზრის ფორმირება მოხდეს. ის, რომ გამოკითხულთა 75% არჩევნებში მონაწილეობას აპირებს, ნამდვილად კარგი მაჩვენებელია და იგი ხელისუფლების მცდელობას — გააყალბოს არჩევნები, მნიშვნელოვნად ამცირებს.

**მირანდა ნაბახტეველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# biZina ivaniSvili ara imdenad politikuri figuraa, ramdenadac saqarTvelos gadarCenis erTaderTi garanti



**ვესაუბრებით ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლადო პაპავას**

**-ბატონო ლადო, წინასაარჩევნოდ ხელისუფლებამ წარმოადგინა ახალი ეკონომიკური პროგრამა — "მეტი სარგებელი ხალხს"- როგორ შეაფასებდით ამ დოკუმენტს?**

-თავად პროგრამის სათაური არის მცდარი ფორმულირება, რადგანაც ქართულად "სარგებელი" არის პროცენტი, ალბათ, უნდოდათ ეთქვათ — "მეტად სასარგებლო ხალხისთვის", —ქართულად ასეა. მათი ნათქვამი ინგლისურის კალკია. რაც შეეხება თავად შინაარსს, მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქვია პროგრამა, ეს დოკუმენტი არის მოწოდებებისა და სურვილების თავმოყრა. ის შედგენილია ზუსტად ისე, როგორც მთავრობის მიერ წარმოდგენილი იყო მსგავსი დოკუმენტები მთელი რვა წლის განმავლობაში. ყველაზე ძლიერი პრემიერ-მინისტრი "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ვინც ყოფილა, იყო ზურაბ ჟვანია და მასაც არ ჰქონია ნორმალური პროგრამა. შემდგომში ეს სტილი სრულადაა დაცული და არც ერთი მსგავსი დოკუმენტი არ არის პროგრამა. ისმის კითხვა: რა მიმართებაშია მერაბიშვილის ეს ახალი დოკუმენტი მთავრობის წინა მსგავს დოკუმენტებთან? 2008 წლის არჩევნებში ნაციონალები მოვიდნენ პროგრამით "ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე". სინამდვილეში არც ეს იყო პროგრამა.

რა მოხდა, შეასრულეს მათ ეს პროგრამა? აღარ არის სიღარიბე ქვეყანაში? პრაქტიკულად მთავრობამ არ აღიარა, რომ წინა პროგრამა ვერ შეასრულა, ამიტომ დაიწყო მისი გადაფარვა ახალით — "მეტი სარგებელი ხალხს". კიდევ უფრო საინტერესოა ბოლოდროინდელი ინიციატივები: გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში სერიოზულად გაპიარდა მთავრობის ათპუნქტიანი გეგმა. ამ ახალი, მერაბიშვილისეულ პროგრამაში კი სულ არ არის ნახსენები მის შესახებ. ის ათაპუნქტიანი გეგმა 2011-15 წლებზე იყო გათვალისწინებული, ეს ახალი კი უახლოეს ოთხ წელზეა გათვლილი. რა მიმართებაშია ერთი მეორესთან – სრულიად გაუგებარია. 2012 წლის თებერვალში პრეზიდენტი სააკაშვილი გამოვიდა პარლამენტში და გააჟღერა 5 პუნქტიანი გეგმა, თუმცა რეალურად მხოლოდ 3 პუნქტზე ისაუბრა. ამ შემთხვევაში არც ამ სამ პუნქტზე არ არის მინიშნება. გაუგებარია, ის, რაც საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ წარმოადგინა რა მიმართებაშია პრეზიდენტის მიერ რამდენიმე თვის წინ გაკეთებულ განცხადებებთან?

ეს ყველაფერი პასუხგაუცემელი კითხვებია. ჩანს, ყველაფერი ზერელე დაპირებებია. პარლამენტში გამოსვლისას ახალმა პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ მას სტატისტიკა საერთოდ არ აინტერესებს. ეს ორმხრივად შეიძლება გავიგოთ: არ აინტერესებს იმიტომ, რომ არ ესმის სტატისტიკის საჭიროება და ან მეორე, ესმის, მაგრამ იცის, რომ ეს სტატისტიკა, რომელიც ქვეყანაშია, გაყალბებულია! ცხადია, რაც გაყალბებულია, ის არავის არ სჭირდება...

აქედან გამომდინარე, ნაციონალების დაპირებები არის ზერელე და ხშირ შემთხვევაში იმეორებს იმ დაპირებებს, რომლებიც ცოტა ხნის წინ გააჟღერა ბიძინა ივანიშვილმა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის, მაგალითად, ლაპარაკობს სოფლის მეურნეობის ყოველწლიურ მილიარდიან დაფინანსებაზე, მერაბიშვილი კი ამბობს, რომ ოთხ წელიწადში იქნება ოთხი მილიარდი. ფაქტი ერთია, რომ რეალური ეკონომიკური პროგრამა ჯერ არც ივანიშვილის გუნდს არ წარმოუდგენია. თუმცა, ივანიშვილმა ერთ-ერთ გამოსვლისას მიმართა ხალხს და უთხრა, რომ მე თქვენ შეურაცხყოფას არ მოგაყენებთ და ვაუჩერებს არ დაგირიგებთო. დიახ, ვაუჩერის დარიგება შეიძლება იმ დროს, როცა კრიტიკული სიტუაციაა, მაგრამ, როცა ეს სისტემატიურ ხასიათს იღებს წლების განმავლობაში, ეს ნიშნავს იმას, რომ მთავრობა არ გეგმავს არც სოციალური პოლიტიკის შემუშავებას, არც ენერგეტიკული პოლიტი-

კის შემუშავებას და არც სხვა სფეროსი.

ივანიშვილი კი ხალხს ჰპირდება, რომ მოსახლეობას ექნება ისეთი ხელფასი და პენსიები, რომ თავად შეძლებენ თავის რჩენას. მისი აზრით, პენსია არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები.

ხელისუფლების აზრით კი საპენსიო პაკეტი უნდა იყოს ასი დოლარის შესაბამისი. ჩემთვის გაუგებარია, რატომ საუბრობს მთავრობა დოლარებზე, როცა ეროვნული ვალუტა არის ლარი? ან რატომ უნდა იყოს საპენსიო პაკეტი ასი დოლარის შესაბამისი და არა თავად პენსია? იმიტომ ხომ არა, რომ საპენსიო პაკეტში შეიყვანონ დაზღვევაც და ვაუჩერიც?

საარსებო მინიმუმი ის მაჩვენებელია, რომელსაც დღეს მთავრობა არაფერში არ იყენებს, არ სჭირდება.

ივანიშვილის გუნდის დაპირება, რომ საარსებო მინიმუმი დღეს ორასოც ლარს შეადგენს და ამაზე ნაკლები პენსია ქვეყანაში არ უნდა იყოს, უფრო რეალურად მიმაჩნია. თუმცა, მინდა ვნახო მათი პროგრამა, რომ ამ ორასოც ლარიანმა პენსიამ არ გამოიწვიოს შემდგომში ინფლაცია და ლარი არ გაუფასურდეს.

**-მინისტრების შეცვლა მოიტანს რაიმე სიკეთეს?**

-არაფერი არ შეცვლილა, მოხდა მხოლოდ გადაადგილება,



რაც შეეხება დასაქმების მინისტრს, ის ფიზიკურად ვერ მოასწრებს წინასაარჩევნო პერიოდში რაიმეს გაკეთებას იმიტომ, რომ მას სჭირდება საკანონმდებლო ბაზა და ზაფხულში კი პარლამენტი არ მუშაობს. ამდენად, ეს ახალი პოსტი მინისტრისა – ფორმალურია.

**-დანარჩენ „კარუსელზე“ რა შეიძლება ითქვას?**

-შაშკინი რისი სპეციალისტია, ციხეების, განათლების თუ თავდაცვის? გაუგებარია. რაც შეეხება მერაბიშვილს, ის, სამწუხაროდ, ვერ იქნება ძლიერი პრემიერი იმიტომ, რომ მას დააკარგვინეს კონტროლი შინაგან საქმეთა სამინისტროზე. მისი ნდობით აღჭურვილი პირი რომ დაენიშნათ მინისტრად, ის საკმაოდ გაძლიერდებოდა. ბაჩო ახალაიამ კი საკადრო ცვლილებები მოახდინა, რამაც მერაბიშვილის პოზიციები შეასუსტა. ვფიქრობ, არც მერაბიშვილია, იმით ბედნიერი, რომ ასე მიზანმიმართულად დაუნგრიეს მთელი სისტემა, რომლითაც ის ამაყობდა.

**-ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ მერაბიშვილმა სისტემაააწყო ბიძინა ივანიშვილის შემწეობით და დახმარებით.**

-დიახ, ეს დახმარება იყო და ბიუჯეტიდანაც კარგი დაფინანსება ჰქონდა.

**-ეკონომიკური პროგრამა ქვეყანას რატომ არ გააჩნია?**

-იმიტომ, რომ ერთი კაცის ახირებაზეა ყველაფერი დამოკიდებული. მაგალითად, უნდა "ლაზიკა" და უნდა აშენდეს! შეიძლება ამ პროექტზე სერიოზულად ვილაპარაკოთ? ცხადია, არა. ხელისუფლებას არ აქვს ქვეყნის განვითარების რეალური გეგმა.

**-რას ელით მომავალი არჩევნებისაგან, შეძლებს კი ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის გადარჩენას? სამწუხარო არ არის ის ფაქტი, რომ მას ევროპარლამენტშიც ოლიგარქი უწოდეს?**

-საქმე ის გახლავთ, რომ სერიოზული პოლიტიკური თამაში მიმდინარეობს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. ვიდრე ივანიშვილი გამოჩნდებოდა, "თამაში ცალ კარში" მიმდინარეობდა, ანუ რასაც სააკაშვილი იტყოდა, იმას აპიარებდნენ მის მიერ ჩვენი ფულით დაქირავებული ლობისტები. ივანიშვილი კი ლობისტებს საკუთარი ხარჯებით აფინანსებს. ევროპარლამენტში თუ მას ოლიგარქი უწოდეს, ეს დიდს არაფერს ნიშნავს, მოსყიდული და დაქირავებული ხალხი მარტო საქართველოში ხომ არ არის?

ის, რასაც დღეს ხელისუფლება ივანიშვილს უკეთებს, არის ყოველგვარი კანონდარღვევა, სამართლიანობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია. მას ქონების ნაწილი დაუყადაღეს, სურთ აუქციონზე გაუყიდონ და ა.შ.

ერთადერთი რესურსი რაც მას ქვეყანაში გააჩნია, ეს არის – ქართველი ხალხი, რომელსაც ებრძვის სააკაშვილი! ამიტომ თუ ხალხი მოინდომებს, ქვეყანაში სერიოზული ცვლილებები იქნება.

მე ამ პიროვნებაში არა იმდენად პოლიტიკურ ფიგურას ვხედავ, რამდენადაც საქართველოს გადარჩენის გარანტი!

უძრაობა-არის დამყაყება, მოძრაობა ცვლილების გარეშე შეუძლებელია, ამიტომ ქვეყანაში უნდა მოხდეს სიახლე ამ ცვლილების რეალური სახე ჩვენი ერისათვის არის ბიძინა ივანიშვილი და თუ მან ამ არჩევნებში ვერ გაიმარჯვა, კიდევ მრავალ წელს ვიქნებით "ნაციონალურ" უძრაობაში!

**ეთერ კასრელიშვილი**




**გოგი თოფაძე**: ის, რაც კარალეთში მოხდა, ცოტა სხვა ჭრილში უნდა დავინახოთ. ნებისმიერი ხელისუფლება, იქნება დემოკრატიული, თუ ავტორიტარული, ყოველთვის ცდილობს ხალხს თავი მოაწონოს მოტყუებით, პიარით და ა.შ. ჩვენი ხელისუფლება ისეთ სტადიაშია, როცა მას ხალხის აზრი აღარ აინტერესებს. მან იცის, რომ მხოლოდ დაშინებითა და ტერორით შეიძლება მიაღწიოს სასურველს. თუმცა ვერაფერს ვერ მიაღწევენ. როდესაც ხელისუფლება კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე და იგნორირებას უკეთებს ხალხის აზრს, ის, პრაქტიკულად, განწირულია. „ქართული ოცნების“ მაისურები აცვიათ და მიდიან ყველანაირ პროვოკაციაზე, ერთი სული აქვთ, როგორმე ავყვეთ და მერე ეს გამოსვლები ისევე ჩაახრჩონ სისხლში,. როგორც 26 მაისის, 7 ნოემბრის აქციები. კარალეთის და მერეთის ინციდენტები იმისთვის გაკეთდა, რომ ხალხი დააშინონ და გორის აქციაზე არ მივიდეს. მაგ-



რამ ქართლელებს ვერ შეაშინებენ. შიშის სინდრომი მოხსნილია. ხალხმა დაინახა, რომ შეიძლება რაღაც გვეშველოს.

ქართლი ჩვენი ქვეყნის ბეღელია. გახსოვთ, როგორი სოფლები იყო, რამდენი საწარმო და ქარხანა მუშაობდა. ახლა ყველაფერი დანგრეულია.

როდესაც ხელისუფლება ეთანხმება თავისი ქვეყნის ეკონომიკის დანგრევას, ეს უკვე გენოციდის ტოლფასია, ის წირავს მოსახლეობას შიმშილით სიკვდილისთვის. თუ ეკონომიკა არ არის განვითარებული, ვერ განვითარდება ვერც მეცნიერება, ვერც კულტურა, ვერც სპორტი და ა.შ. ის, რაც ხდება საქართველოში, განსაკუთრებით კი სოფლად, ეს არის ქართველი ხალხის გენოციდი. გლეხმა მოიყვანა ხილის საოცარი მოსავალი და არ იცის, სად ჩააბაროს. ულპება მოსავალი. 140-მდე საკონსერვო ქარხანა იყო საქართველოში. შეიძლება ბევრი მათგანი არ იყო თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამყარებული, მაგრამ მაგის გაკეთებას რა უნდა?! ჩვენი უნიკალური გემოვნური თვისებების ხილი უქმად ლპება და ვაშლი არგენტინიდან შემოაქვს ამ მთავრობას. ჩვენს პროდუქციას კლავენ, რომ ვიღაცას ბაზარი გაუთავისუფლონ. ამით მოსახლეობის 50%-ს, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ, საარსებო საშუალებას უსპობ. 80-იან წლებში გორში აშენდა თანამედროვე ხილის გადამამუშავებელი ქარხანა და მე თვითონ გამქონდა გერმანიაში ქართული ვაშლის წვენი ცისტერნებით. კიდევ უნდოდათ გერმანელებს წაღება, მაგრამ ვაშლის პლანტაციები გაიჩეხა, ქარხანა განადგურდა. ასე ილუპება ეკონომიკა, რაზეც დგას ქვეყანა.

ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, სადაც გენმოდიფიცირებული პროდუქცია არ მარკირდება. ჩვენ იმდენს მივაღწიეთ, რომ საბაჟოზე კონტროლი მოვსპეთ, მარკირება არ გვაქვს. ანუ მოიწამლეთ, მოკვდითო, – გვეუბნება ხელისუფლება.

ჩვენ დიდი ხანია ვხედავთ, რომ უფსკრულის პირას მიგვიყვანა ნაციონალურმა მოძრაობამ და დღეს, ქვეყნის გადარჩენის, აღორძინების შანსი, რომელიც გამოჩნდა აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. რეზო ამაშუკელივით უშიშრად რომ იბრძოდეს ყველა, ასეთ მდგომარეობაში არ ვიქნებოდით.

უნდა აღორძინდეს სოფლის მეურნეობა და შესაბამისად აღორძინდება მრეწველობა. მთელი ევროპა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღდგა სწორედ სოფლის მეურნეობის მეშვეობით. ბატონი ბიძინას ინიციატივა სოფლის მეურნეობის აღორძინების შესახებ პირდაპირ მოიპარა ნაციონალებმა. სოფლის დანგრევა დაიწყო 96-96 წლებში. მაშინ მრეწველები ბევრს ვკამათობდით ამ საკითხზე. ვიდრე მერაბიშვილი პრემიერად დაინიშნებოდა, მანამდე სოფლის განადგურებაზე წერდნენ ნაციონალების და ბენდუქიძის ექსპერტები. მანიპულირებენ რაღაც ციფრებით, მოჰყავთ მაგალიტები, რომ ევროპაში სოფლის პროდუქტები მხოლოდ 7-8% შეადგენს. რაც მამალი ტყუილია. მაგალითად შვეიცარიაში ყველაზე დიდი ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში იდება, ფაქტიურად დოტაციაზეა აყვანილი. როგორ გვატყუებენ ასე ურცხვად, მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში ცნობილია შვეიცარიის ყველი და ხორცი.

არ გრცხვენიათ, რომ გვეუბნებით, სად გაყიდით გადამუშავებულ ნაწარმსო, გენმოდიფიცირებული იყიდება და ქართული ხილი, ტომატი არ გავა? კიტრი ვიეტნამიდან შემოაქვთ და ხახვი და ნიორი ეგვიპტიდან, რა ჩვენი არ შეიძლება გვქონდეს?! მაგრამ სპეციალურად მოკლეს ქართული სოფელი. უპერსპექტივოს რომ უწოდებენ სოფელს, მაგაზე უნდა მოეთხოვოს პასუხი და თუ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა ოქტომბერში, მე, პირადად, მოვთხოვ მათ ამაზე პასუხს. დღეს რა იაპონიას არ გააქვს ჩვენი მწვანილი და მაწონი? ან რატომ მიჰყავთ არაბებს ჩვენი ცხვარი, იმიტომ, რომ ალპურ ზონაში გაზრდილ ცხვარს სხვა მონაცემები აქვს. ხორცს ვერ გავყიდოთ თუნდაც ჩვენთან? მაშინ, როცა საღებავით გაჯერებული ჩაი და სოიოთი სავსე გადამუშავებული ხორცის პროდუქცია შემოდის საქართველოში. ან კიდევ ზეთი, რომელიც არარაფინირებული და ათასგვარი მინარევებითაა სავსე. მზესუმზირას მიაქვს მთელი ქართლი და კახეთი. ამ დროს. რა, არ გვქონდა ცხიმკომბინატი, რომელიც ზეთსაც აწარმოებდა და კარაქსაც?! ჩაი მოკლეს დასავლეთ საქართველოში, გურულები და მეგრელები დღეს თურქეთში გადადიან პლანტაციაში სამუშაოდ, რაღაც ალტერნატივა მაინც მიეცით, რომ ხალხი აღარ გაიქცეს ქვეყნიდან. იმ პლანტაციების ადგილას სიმინდი გააშენებინე, ზეთსახდელი აუგე და აღარ დაგვჭირდება სხვა ქვეყნიდან შემოტანა, სიმინდის ზეთი ხომ დღეს ყველაზე პოპულარულია მსოფლიოში.



ბენდუქიძე წერს, რომ ძალიან ცოტა მიწა გვქონია საქართველოში. აბა, რა იქნება, მთელი 15 წელია სარწყავ სისტემებს ანგრევდნენ და გაჰქონდათ ქვეყნიდან, ისევე როგორც ხე-ტყე, მელიორაცია სრულიად მოსპეს. აბა, აღდგეს ეს სისტემები თუ არ გვაქვს სახნავ-სათესი ან საძოვრები. შუბლის ძარღვი აღარ აქვს ამ ხელისუფლებას, ატყუებენ მოსახლეობას და მგონი, მიშასაც, ის ხომ აზრზე არ არის, საერთოდ, რა ხდება ქვეყნად.

გამოაცხადა მერაბიშვილმა, ის ხომ შედარებით ჭკვიანი კაცია, კარგი მენეჯერი, რომ სოფელი არის პრიორიტეტული. ახლა, ნახეთ, რა სტატიებს დაწერს ის ხალხი, რომელიც ერთი თვის წინ სოფლის მეურნეობის წამგებიანობაზე გვესაუბრებოდნენ. სინდისი აღარ აქვთ.

თუ შევშინდით, მაშინ აღარავითარი პერსპექტივა აღარ გვაქვს, მორჩება საქართველო. უკან დახევის შანსი აღარ არის. სასოწარკვეთილებამდეა მისული რაიონის მოსახლეობა. სწორედ სოფლებიდან გარბის მოსახლეობა. ვაზი ააჩეხინეს, ჩაი ააჩეხინეს, ხილს ვერ ყიდის და რა უნდა ქნას ქართველმა გლეხმა, ბანანს ხომ არ მოიყვანს?! ერთი პატარა ქარხანა ერთ სოფელს ინახავს და მიგრაცია აღარ ხდება. რაჭაში მუხის ხავსს ვამზადებდით, რომელც სუნამოს ფიქსატორად გამოიყენება პარფიუმერიაში, ოქროთ შემოდიოდა ვალუტა. სამეგრელოში ჟასმინის ზეთს, ვარდის ზეთს ვამზადებდით. ეს ყველაფერი უცხოეთში გადიოდა. 14 ასეთი ქარხანა იყო და 30000 კაცი იყო დასაქმებული. ყველაფერი განადგურდა. ერთი მოიყვანეთ ბენდუქიძე, ვეკამათო სოფლის აღორძინებაზე. ბიძინაზე რომ ლაპარაკობს, თვითონ რუსული ფულით არ არის ჩამოსული?! ერთი ლარი მაინც თუ აქვს დახარჯული ქველმოქმედებაში?!

წყალი ძალიან ბევრია საქართველოში, მაგრამ სისტემაა გასაკეთებელი, რომ მოსახლეობას ჰქონდეს. გამგებლები მარტო ჰპირდებიან, რომ გააკეთებენ და გადის წლები. სამი წელია სოფლებში გაზია შეყვანილი და 700 ლარს სთხოვენ გლეხს, სახლში რომ გადაიყვანოს. სადა აქვს სოფლის მაცხოვრებელს 700 ლარი? ან რითი უნდა გადაიხადოს გადასახადი ზამთარში, გასათბობად რომ მოიხმაროს გაზი. მთელი ტყე ხომ ჩინელებს მიჰყიდეს და ხალხს შეშა ველარ მოაქვს.

18 წელი ევაჭრა რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, ვიდრე თავისი პირობები არ მიაღებინა. ჩვენ კი ისე შეგვყარეს, არც კი ვიცოდით, რას ნიშნავდა ეს ორგანიზაცია. პირველი რასაც ივანიშვილი გააკეთებს, ესაა ლაბორატორიები, რათა არ შემოვიდეს გენმოდიფიცირებული და უხარისხო პროდუქცია.

არ შეიძლება ჩვენნაირმა პატარა ქვეყანამ ტურიზმი ეკონომიკის ბურჯად წარმოვიდგინოთ. კარგია სვანეთი, მთა-თუშეთი, რომელიც უკვე გამოაცხადეს ეროვნულ პარკად და მალე ჩამოგვაჭრიან, შემდგომში ისინი გამოიყენებენ ტურიზმისათვის, მაგრამ ტურიზმით ქვეყანას ვერ შევინახავთ. ეს მხოლოდ პრეზიდენტის სურვილია, რადგან სოფელი მოკლა და რაღაც ორიენტირი ხომ უნდა ჰქონდეს. თუმცა ეკოტურიზმის ნაცვლად სექსტურიზმი მივიღეთ აჭარაში.

**„კავკასია“**

# iranis Sahiskari TeTrma saxlma Secvala, sadac qarTvelebi erTmaneTs asmenen...



*გვესაუბრება „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი* ***კახა კუკავა:***

**— კახა, თქვენს პარტიას ბევრი პრო-რუსულს უწოდებს, თუმცა ბევრი პოლიტიკოსი ამტკიცებს რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო პრო-რუსული სწორედ ხელისუფლებაა. მაშინ, როგორ ახერხებს იგი აშშ-ს, ევროპარლამენტის მხარდაჭერის მოპოვებას და ამავდროულად პრო-რუსულად ყოფნას, გამოდის, რომ ორ სკამზე ზის, თუ ეს რეალურად ერთი სკამია და ჩვენი თვალის ასახვევად ორად გამოიყურება?**

— სინამდვილეში, ვფიქრობ, რუსეთი საქართველოს საშინაო პოლიტიკაში მოთამაშე საერთოდ არ არის. მას შემდეგ, რაც მათ 1991 წელს გამსახურდიას დამხობაში მიიღეს მონაწილეობა, რეალურად, რუსეთი ქართულ შიდა პოლიტიკაში არ ჩარეულა. ვფიქრობ, ამ თემაზე საუბარი, რაც ბოლო 20 წელია გრძელდება, უბრალოდ ინსინუაციაა. თუ რუსეთს მსგავსი ინტერესები აქვს, მაშინ ეს რაღაცაში ხომ უნდა გამოხატოს. მეორეც, ბოლო 20 წელია ხელისუფლების ცვლილებები, არჩევნების გაყალბებები რუსეთის მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს. ამიტომ, მგონია, რომ ის ვინც ამ კონტექსტში რუსეთზე საუბრობს უბრალოდ თაღლითია. რაც შეეხება პრო-რუსულობას, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, ეს ტერმინიც პირობითია — გააჩნია ვინ, რას გულისხმობს. ხელისუფლება იძახის, თითქოს რომელიმე პარტიას რუსული ტანკების შემოყვანა სურდა, ეს აბსურდია. ეს ვინმეს, რომ ნდომოდა, რუსული ტანკები თითქმის დიღომში იყვნენ და ამას ადვილად მოახერხებდა. 2008 წლის აგვისტოს, როდესაც რუსეთის ხელისუფლება სააკაშვილს დაემუქრა, მათ მისი დამხობა იმიტომ გადაიფიქრეს, რომ პრაქტიკულად არ აღმოჩნდა პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებას საკუთარ თავზე აიღებდა. რუსები მიხვდნენ, ტანკებით შემოსვლის შემთხვევაში ძალაუფლებას ვერავინ გადაიბარებდა. ამიტომ, შეიძლება, ახლა ახია ჩვენზე, პრეზიდენტისგან ამ ბრალდებებს რომ ვისმენთ, მაგრამ ფაქტია, მაშინ სააკაშვილი ჩვენ გადავარჩინეთ.

**— კახა, წელან ახსენეთ, რუსეთისგან მტრის ხატი შექმნესო. ბოლო პეროდია რუსეთი მუდმივად გაიძახის — არ დაველაპარაკებით სააკაშვილსო. ეს მტრის ხატის შექმნა განა ორივე მხარეს არ აწყობს — სააკაშვილსაც და რუსეთსაც?**

— მოგახსენებთ. შეიძლება მტრის ხატიც აწყობთ, ეს ლოგიკაც არსებობს. მაგრამ უფრო მთავარია, რომ დიდ იმპერიებს თავიანთი თამაშის წესები აქვთ. ის, რომ სააკაშვილის ბრძანებით ცხინვალში რუს სამშვიდობოებს ცეცხლი გაუხსნეს, ამის პასუხი რუსეთის მხრიდან შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ის იყოს, რომ სააკაშვილი მოღვაწეობას ჰააგის ტრიბუნაზე დაასრულებს. თუ ისინი ამას ვერ მოახერხებენ, ეს სააკაშვილთან მიმართებაში კი არ იქნება მიუღებელი, არამედ ეს რუსეთის იმპერიას დაასრულებს. თუ იმპერიას ასეთ რაღაცებს უბედავენ, მაშინ ის იშლება. დააკვირდით, მუამარ კადაფიმ 30 წლის წინ ბრიტანეთის თავზე ამერიკული თვითმფრინავი ააფეთქა. ამ პერიოდში არაერთი მცდელობის მიუხედავად, კადაფის რეჟიმის ნეიტრალიზება ვერ მოხერხდა, მაგრამ ბოლოს ყველამ ვნახეთ რაც მოხდა. იგივე დაემართა ბინ ლადენს, ჰუსეინს. ეს იმპერიების წესია — ყველა, ვინც მის წინააღმდეგ ხელის აღმართვას გაბედავს, ის უნდა განადგურდეს. ამიტომ მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში რაც გააკეთა, ძვირი დაუჯდება.

**— თუმცა, 2008 წლის აგვისტოსთვის იდეოლოგიურად დიდი ხნით ადრე ემზადებოდა სააკაშვილი. თუნდაც, კოდორის ხეობა გავიხსენოთ.**

— კი, კი, სააკაშვილი ემზადებოდა ამ ყველაფრისთვის. სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ სააკაშვილის გადასახედიდან 2008 წლის ომი მან მართლაც მოიგო. რა თქმა უნდა, საქართველომ წააგო ეს ომი, მაგრამ სააკაშვილმა მოიგო. იცით რატომ? — ხანდახან ამას თავად ამბობს, წამოსცდება ხოლმე. მან თქვა — სანამ ავლაბრის რეზიდენციაზე საქართველოს დროშა ფრიალებს, მანამდე არაფერი გვემუქრებაო. იმიტომ, რომ მისთვის საქართველო ეს ავლაბრის რეზიდენ-



# ruseTs dRes saqarTvelos dapyrobis Tavi ar aqvs, amerikas ki amis resursi gaaCnia

ციაა. თუ სააკაშვილი ავლაბრის რეზიდენციაში ზის ე.ი. ყველაფერი რიგზეა. თუ ბათუმს თურქები წაიღებენ, ახალქალაქს — სომხები, მარნეულს — აზერბაიჯანელები, ცხინვალს ოსები და ა.შ. — ეს მისთვის პრობლემა არაა, მთავარია თვითონ იჯდეს თბილისში. ამიტომაც 2008 წლის აგვისტოში მან ეს ომი დაიწყო იმიტომ, რომ მას სჭირდება რუსეთთან კონფლიქტი დასავლეთთან პოზიციების გასამყარებლად. სანამ იგი ანტირუსული ლიდერია, მას ბევრი რამ ეპატიება.

**— კახა, წელან ახსენეთ თუ რუსეთს ინტერესები აქვს ეს რაღაცაში ხომ უნდა გამოხატოს. მთელი ქართული ეკონომიკა სააკაშვილმა რუსეთს რომ გადასცა, ეს ფაქტორი არ არის?**

— ჩემი აზრით, მთელი ეკონომიკა დღეს ჩინელების ხელშია. ის, რაც რუსების ხელშია — აბსოლუტურად უმნიშვნელო და არაარსებითია.

— ოპოზიციაში არის ხალხი, რომელთა მთავარი სტრატეგია, პრეზიდენტის შეცვლის მიზანი შემდეგში გამოიხატება — სააკაშვილი აშშ-ში დაასმინონ, თითქოს იგი პრო-რუსულია, მაგრამ ეს წარმატებით არ დასრულდება იმიტომ, რომ ადამიანები, ვინც ამას ცდილობენ ჯერ-ჯერობით ცეერუს ლეიტენანტები არიან, სააკაშვილმა კი ცრუ-ს პოლკოვნიკობას მიაღწია. სააკაშვილმა აშშ-ს ისეთი რამ გაუკეთა, რაც ვერცერთმა სხვა მოკავშირემ ვერ გააკეთა — შუაგულ კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთთან ძალიან ახლოს ფორ-პოსტი შექმნა, სადაც ამერიკელებს სრული კარტბლანში აქვთ. ასეთი კარტბლანში აშშ-ს არც საუდის არაბეთში, არც პაკისტანში, არც იორდანიაში და არც არსად არ აქვს ა.შ. ამიტომ მიხეილ სააკაშვილს ისინი არ გაწირავენ.

**— მაგრამ გავიხსენოთ მედვედევის განცხადება, როცა მან თქვა — აგვისტოს ომის პერიოდში დარტყმა რომ არ გაგვეხორციელებინა საქართველოში ნატო შემოვიდოდაო. ანუ ამით სააკაშვილმა რუსეთის საქმე გააკეთა?**

— კი, რა თქმა უნდა, შედეგი ასე გამოვიდა. ეს სამართლიანი შენიშვნაა და ამ არგუმენტს ვიზიარებ. უბრალოდ, სააკაშვილმა ეს თავისი ინტერესებიდან გამომდინარე გააკეთა — მას სჭირდება რუსეთთან კონფლიქტი, რათა დასავლეთის მხარდაჭერა შეინარჩუნოს. თუ იგი ანტირუსული იქნება, ყოველთვის აშშ-ს მხარდაჭერა ექნება. მაგრამ მეორე მხრივ, აშშ-მ საქართველოსთან მიმართებაში სტრატეგიული შეცდომები დაუშვა, როცა მათ თავიანთი რეჟიმის მხარდაჭერა დაიწყეს. იმიტომ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში კი გაამართლა, ჰყავთ თავისი რეჟიმი, მაგრამ მათ ჩვენთან ძალიან ბევრი ოპონენტი გაიჩინეს, რაც 1, 7 თუ 10 წელიწადში აუცილებლად გამოიხატება პოლიტიკურ ძალთა კონფიგურაციაში და ჩვენი პოლიტიკური სისტემა რამდენიმე წელიწადში აუცილებლად გახდება ამერიკიდან დისტანცირებული. ეს საზოგადოების დაკვეთაა. ვფიქრობ, ამ კუთხით ამერიკელებმა ძალიან წააგეს. რაც თქვენ თქვით, ზუსტად ეგაა — მათ უნდოდათ საქართველო ნატოს წევრი ყოფილიყო. სააკაშვილმა სტატუსი დაუწია — საქართველო აგვისტოს ომის შემდგომ ნატოს წევრი ქვეყანა ველარ გახდება და რაც მთავარია, აშშ-ს ქართული საზოგადოებრივი აზრის სახით სერიოზული ოპონენტი გაუჩნდა.

**—კახა, მიუხედავად ამ ყველაფრისა ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ დღე დღეზე ნატოში შევალთ და რუსეთისგან დაცულნი ვიქნებით, მაგრამ ვინ დაგვიცავს თავად ნატოსგან?**

— ძალიან კარგი შეკითხვაა. ჯერ ერთი ნატოში საქართველოს შესვლის შანსი ნულოვანია. ვინ დაიცავს საქართველოს? —გააჩნია რას ვგულისხმობთ. ავლაბარს, რუსები თავს არ დაესხმიან, აფხაზეთსა და ცხინვალს კი ამერიკელები არ დაესხმებიან. ანუ საომარი არაფერი დარჩა, ის საზღვრები, რომელიც დღეს დაფიქსირებულია საქართველოს ტერიტორიაზე, მოსკოვისთვისაც და ვაშინგტონისთვისაც მისაღებია. ეს არ არის მისაღები ქართველი ერისთვის, მაგრამ სააკაშვილისთვის მისაღებია. ამ თვალსაზრისით, ძალიან ტრაგიკული ერი ვართ. ბოლო რამდენიმე საუკუნეა მუდმივად ვკარგავთ ტერიტორიებს. ასე, რა თქმა უნდა, შეიძლება გავქრეთ კიდეც. ამიტომ მთავარია ჩვენი საზღვრები გადავარჩინოთ. იმიტომ, რომ ეს 50-100წლის შემდეგ ისევე თეორიული ამბავი იქნება, როგორც დღეს ტაო-კლარჯეთი და საინგილო. ისტორიულ კონტექსტში, საქართველოს ნატოში გაწევრიანება 2015 თუ 2045 წელს მოხდება, მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია დარჩება თუ არა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში. სინამდვილეში ისე არ არის მოწყობილი სამყარო, როგორც „რუსთავი-2“ ჩვენებს — თითქოს აშშ ფრთიანი ანგელოზია და რუსები სატანები, ასე არ არის. სინამდვილეში, როგორც თქვენც თქვით, რა თქმა უნდა, უნდა გვეშინოდეს ნატოსი. თავის დროზე რუსები საქართველოში, როგორც ირანელებისგან დამცველები, ისე მოვიდნენ და მერე გახდნენ ნამდვილი დამპყრობლები. ზუსტად ასეთივე ვითარებაა ახლა, ოღონდ ირანის მაგივრად რუსეთია და ვითომ მისგან დასაცავად ამერიკელები მოდიან, რომლებიც მთავარი დამპყრობლები არიან. რუსეთს დღეს აღარ აქვს იმის თავი, რომ საქართველო დაიპყროს, ამერიკას კი ამის რესურსი აქვს.

**— კახა, ხომ არ ნიშნავს ეს, იმას, რომ აშშ-ს და რუსეთს უკვე დიდი ხანია საქართველოში გავლენის სფეროები გადანაწილებული აქვთ...**

— აშშ-სთვის აფხაზეთი და ცხინვალი, უბრალოდ, ზედმეტი თავის ტკივილია. საქართველოს ხელისუფლებისთვის ასევე მისაღებია დღევანდელი სტატუს-ქვო იმიტომ, რომ სააკაშვილმა თქვა, მთავარია ავლაბარი არის საქართველოს ტერიტორიის საზღვრებშიო. ამიტომ მასაც ნაკლებად ანაღვლებს დაბრუნდება თუ არა აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოს შემადგენლობაში. ერთადერთი ვისაც ეს ვითარება არ აწყობს, რუსეთია. რუსეთმა აფხაზეთში და ცხინვალში კონფლიქტები დაიწყო, რათა საქართველოზე გავლენა შეენარჩუნებინა. ვინც ამბობს, რომ რუსეთს ოჩამჩირეში პორტი სჭირდებაო, იგი ექსპერტი კი არა, უბრალოდ უწიგნური ადამიანია და კავკასიის ისტორიაში არაფერი წაუკითხავს. ოჩამჩირე არასდროს არანაირი სტრატეგიული პუნქტი არ ყოფილა. რუსეთისთივს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ეს იყო დანარჩენ საქართველოზე ზეწოლის ბერკეტი. გამსახურდია, რომელსაც ტყუილის თქმა არ სჩვეოდა, ამბობდა — მირეკავს გორბაჩოვი და მეუბნება— ან ახალ სამოკავშირო ხელშეკრულებაში შემოდი ან აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს წაგართმევო. რუსეთმა სცნო აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობა და ამით გააძლიერა ეს ბერკეტი. თუ საქართველო იტყვის— კი, ბატონო, გქონდეთ თქვენ აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი და ჩვენ ამერიკული გავლენის ზონაში დავრჩებით, ეს რუსეთს არ აწყობს. რუსეთს კლდე-ღორღიანი სოფლები არ სჭირდება, არამედ საქართველო, რომელიც სამხრეთ-კავკასიაზე გავლენის ბერკეტია. ამიტომაც პუტინმა თქვა — რუსეთი მზადაა აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის სტატუსი ხელახლა განიხილოსო.

**— კახა, საშინაო პოლიტიკაზე თუ ვისაუბრებთ, ბევრი აღნიშნავს ჰაერში რევოლუციის სუნი ტრიალებსო. თქვენ თუ გრძნობთ ამ სუნს?**

— სამწუხაროდ, ეს სუნი არ ტრიალებს, თუმცა ძალიან კარგი იქნებოდა თუ იტრიალებდა. დიქტატორული რეჟიმები რევოლუციის გარეშე არ შეიცვლება. რევოლუცია არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც კრეისერმა ავრორამ ზალპი ესროლოს ქვეყნის მთავრობის რეზიდენციას. რევოლუცია არის, როდესაც ხალხი კანონის ჩარჩოებიდან გამოდის. სხვანაირად ავტორიტარული რეჟიმები არ იცვლება. თუ კანონით იმოქმედებ, ყველა ჯარიმას გადაიხდი და ხელს მოუწერ ყველა ოქმზე, დანამდვილებით შეიძლება ვთქვათ, ასე ხელისუფლება არ შეიცვლება.

**— კახა, ალიანსზეც მინდა გკითხოთ, რა კრიტერიუმებით შეარჩიეთ „თეთრები“ და „ტრადიციონალისტები“?**

— მნიშვნელოვანია, „თავისუფალმა საქართველომ“ პარტნიორებთან ერთად რეალურად შეძლოს ქართველი საზოგადოებას არჩევანი მისცეს. ბოლო 20 წელია ხალხს ეუბნებიან —აირჩიე, მარტო პრო-ამერიკულ ლიბერალურ პარტიებს შორისო. ჩვენ, პრინციპულად განსხვავებულ არჩევანს ვთავაზობთ საზოგადოებას — ეს არის არჩევანი არა იმაზე, თუ ვინ უკეთესი მარიონეტული რეჟიმი იქნება აშშ-სთან მიმართებაშ, არამედ არჩევანი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობას გულისხმობს. ორ ძირითად პუნქტზე ვთანამშრომლობთ — ერთი ესაა იდეოლოგიური — არ ვიზიარებთ ქვეყნის განვითარების იმ გზას, რომელიც აშშ-მ და ვაშინგტონმა თავს მოგვახვია, არ ვიზიარებთ ლიბერალურ ფასეულობებს და მიგვაჩნია, რომ ეროვნული ფასეულობები, ინტერესები უნდა იყოს საქართველოს განვითარების ფუნდამენტი და არ უნდა ვიყოთ ვიღაცის დანამატი, არ უნდა ვიმართებოდეთ სხვა ქვეყნებიდან.

**თამარ შველიძე**

# demokratiuli arCevnebis Catareba mxolod xelisuflebis keTil nebazea damokidebuli

*გაუმჯობესებელი საარჩევნო გარემოსა და ასეთი გარემოს გამო არჩევნებზე მოსალოდნელი დარღვევების თაობაზე გვესაუბრება ქალთა სამოქალაქო მოძრაობა „თამარიონის“ გამგეობის წევრი და არასამთავრობო ორგანიზაცია “თავისუფალი არჩევანის” თავმჯდომარე — ქალბატონი* ***მანანა ბიწაძე-მიქელაძე.*** *ქალბატონი მანანა იმავდროულად “საარჩევნო სიების დაზუსტების კომისიის” წევრიც გახლავთ.*

**— ქალბატონო მანანა, თქვენი ორგანიზაცია წლებია მონაწილეობთ არჩევნებში. ამჟამად, მ.კაციტაძის ხელმძღვანელობით, “ამომრჩეველთა სიების დაზუსტების” კომისიის” წევრიც ბრძანდებით, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი და თქვენს პოზიციას (რეალური ოპოზიციონერობის თაობაზე, რადგან კომისიაში ვითომ ოპოზიციიის წევრებიც არიან) კომისიის წინაშე ღიადაც აფიქსირებთ. რა მდგომარეობაა დღეს ყბადაღებული საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით. კიდევ ერთხელ გაყალბდება თუ არა ოქტომბერში დანიშნული საპარლამენტო არჩევნები?**

— 2012 წლის არჩევნებისადმი განსაკუთრებით მაღალი ინტერესი ალარავის აკვირვებს, რადგან წელს ქართულმა საზოგადოებამ დემოკრატიის ე.წ ტესტი უნდა ჩააბაროს — მოხდება თუ არა ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლა, თუ ავტორიტარული რეჟიმის საბოლოოდ დამყარებისა და დამკვიდრების გზით წავა ქვეყანა. დემოკრატიული პროცესის სტაბილურობის ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიას თავისუფალი და სამართლიანი არჩვენების გზით ხელისუფლების შეცვლა წარმოადგენს. თავად საარჩევნო პროცესი კი რამოდენიმე ასპექტისგან შედგება. ეს არის კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემო, მედიაპლურალიზმი, დახვეწილი საარჩევნო კოდექსი, დაზუსტებული ამორჩეველთა სიები და სხვა.

სამწუხაროდ, უკანასკნელი თვეების განმავლობაში საარჩევნო გარემო საგრძნობლად დამძიმდა. რაც, პირველ რიგში, იმაში გამოიხატა, რომ “ფინანსური მონიტორინგის” ფარგლებში კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, სამართლიანი არჩევნების საბოლოო შედეგის დასადებად პოლიტიკურ სუბიექტებს არათანაბარ პირობებს უქმნის. იკვეთება, ერთის მხრივ, ერთ-ერთი სუბიექტის მიერ განხორციელებული ფინანსური ოპერაციების ტოტალური კონტროლი და მეორეს მხრივ (ხელისუფლების მიერ) , სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ, საბიუჯეტო სახსრების განუკითხავი განკარგვა, რაზეც კონტროლის პალატა “საეჭვოდ” სდუმს. ეს მაფიქრებინებს, რომ ხელისუფლება ვერ, ან არ ფლობს სიტუაციას, არ არის მზად ცვლილებებისთვის და ეწინაალმდეგება არჩევნების ჩატარების დემოკრატიულ პროცესს, რაც საფრთხის შემცველია, როგორც საარჩევნო პროცესისათვის, ასევე ქვეყნის მომავლისთვისაც.

მმართველი გუნდის მიერ მონოპოლიზებული მედია-სივრცეც საზოგადოებას მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღების საშუალებას უკარგავს, რითაც ირღვევა საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.



**— გარემოს გაუმჯობესების ნაცვლად საარჩევნო კოდექსში “დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის” არცთუ სახარბიელო ცვლილებები შევიდა.**

— საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს გარემოს გაუმჯობესებას. პირიქით, უმეტეს შემთხვევაში, კოდექსის მუხლები კიდევ უფრო ამძიმებს არსებულ ვითარებას. __ნორმათა ბუნდოვანება კი შეუძლებელს ხდის საკითხის ნათლად გააზრებას, რითაც ხელისუფლებას დისკრეციის (თვითნებობის — ბ.ა.) საშუალება ეძლევათ,__ რაც ასევე კენჭისყრის დღეს არჩევნების პროცესზე დამკვირვებელთა მხრიდან საჩივრის დაწერის ალბათობას შეამცირებ, რითაც ხელისუფლებას საერთაშორისო ასპარეზზე არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების ილუზიიის შექმნაში შეუწყობს ხელს.

**— ასეთ ფაქტებს, როდესაც საერთაშორისო საზოგადოება ნაციონალურ ხელისუფლებას არჩევნებს “უპრავებდა” — არაერთი არჩევნებისას უკვე შევესწარით. ღმერთმა ნუ ჰქნას, იგივე განმეორდეს.**

— საარჩევნო პროცესის ყველაზე მგრძნობიარე თემა საარჩევნო სიებია. მართალია, პარტიათა შეთანხმების საფუძველზე “ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისია” შეიქმნა, თუმცა წარსულის უარყოფითი გამოცდილება, ზოგადად, სახელმწიფო კომისიებისადმი და დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა, კომისიის მიმართ, საზოგადოებაში გარკვეულ უნდობლობას იწვევს.

**— “სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო”.**

— კომისიამ უკვე ჩაატარა “კარდაკარი” (რომლის მეთოდოლოგიაც მოამზადა სსიპ- ”საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა”, მის კონტროლს, საარჩევნო კოდექსის თანახმად, ცესკო ახორცილებს.)

**— ცესკოს კი ხელისუფლება აკონტროლებს და რა გამოდის, რომ “ხელისუფლება თავის თავს გააკონტროლებს”— ეს ხომ დაუჯერებელია?**

—”კარდაკარი” ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით და კომისია თავის საბოლოო პროდუქტს, ანუ დაზუსტებულ სიებს ა.წ. 1 აგვისტოს განასაჯაროებს. თუმცა უკვე პირველადი მონაცემების ანალიზიც გვიჩვენებს, რომ ხელისუფლებას გადამოწმებულ ამორჩეველთა სიაშიც რჩება მანიპულირების ბერკეტები.

ხელისუფლების „რეფორმატორული„ პოლიტიკის შედეგად ჩვენს ქვეყანაში მომრავლდა უსახლკაროთა რიცხვი.., ანუ იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომლებმაც სხვადასხვა (ძირითადად საბანკო) პრობლემების გამო დაყიდეს საცხოვრებელი ბინები და ამჟამად ქირით ან გირაოთი ცხოვრობენ. თუ ეს მოქალაქეები არ დარეგისტრირდებიან ახალ მისამართზე ან არ აიღებენ „უმისამართო“ სტატუსის პირადობის მოწმობას, ისინი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას დაკარგავენ, რადგან __მეთოდოლოგიის მიხედვით მათ ძველი საცხოვრებელი ადგილიდან ახალი მეპატრონეები ამოწერენ და მათი ხმები დაიკარგება__.

**— ეს ხმები 24%-ს შეადგენს. ეს ის პროცენტი ხომ არ არის, რისი გარანტირებული იმედიც ხელისუფლებას აქვს?**

— გაყალბების ტექნოლოგიები წლების განმავლობაში იხვეწებოდა. ერთ-ერთი წარმატებული მეთოდი კი არარსებული პიროვნებების სხვადასხვა მისამართზე მიწერაა, რაც წლების განმავლობაში მაღალ დივიდენდებს აძლევდა ხელისუფლებას. კომისიის დღევანდელი მეთოდოლოგია ამ დარღვევების გაუქმების საშუალებას ნაწილობრივ იძლევა. კერძოდ, იმავე მისამართზე რეგისტრირებული პირის განცხადების საფუძველზე, კომისია უფლებამოსილია სიიდან ამოიღოს უცნობი პირი. თუმცა ქვეყანაში შექმნილი შიშისა და უნდობლობის ატმოსფეროს, (ან სხვა საეჭვო გარემოებათა გამო), მოქალაქეთა ნაწილი უარს აცხადებს განცხადების შევსებაზე, რაც ხელისუფლებას გაყალბების მსუყე ნიადაგს უქმნის.

ასევე ვერ ხერხდება ახლადაშენებული სახლების მაცხოვრებელთა უმრავლესობის აღწერა და დაზუსტება,რადგან ბინების უმრავლესობა დაკეტილია ან რემონტი მიმდინარეობს. რის გამოც დაუზუსტებელი რჩება ამ სახლებში მიწერილი პირების არსებობაც. დანგრეული სახლებისა და არარსებულ მისამართებზე მცხოვრებთა გადამოწმებაც შეუძლებელია. ხშირია ახალი დამისამართების გამო სახელშეცვლილი ქუჩების შედეგად პირადობის მოწმობასა და ფაქტობრივ მისმართს შორის ცდომილების არსებობა. ფიქსირდება დუბლირებული მისამართების ფაქტებიც, ანუ ქუჩების გადაკვეთაზე კუთხის სახლებში მცხოვრები მოსახლეობის დარეგისტრირება ორივე ქუჩაზე ცალცალკე. პრობლემას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „ატსტუპნიკების” მდგომარეობაც. მათ უმრავლესობას საქმე სასამართლოში აქვთ შეტანილი, საქმის წარმოება დასრულებული არ არის, სახლის მესაკუთრეები კი მათი სიიდან ამოღებას ითხოვენ, რითაც ზემოთ აღნიშნულ მოქალაქეებს ეკარგებათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.



სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს შიდა მიგრაციაც. ცხოვრების გაუსაძლისმა პირობებმა დაცალა სოფლები და მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა დედაქალაქში მოიყარა თავი. კენჭისყრის დღეს მათი რაიონებში რეგისტრაციის ადგილებზე ჩასვლა მათთვის გარკვეულ სიძნელეებთან, მათ შორის ფინანსურთანაც იქნება დაკავშირებული. ოპოზიციას კი, სავარაუდოდ, თავისი მხარდამჭერების ტრანსპორტით მომსახურება მოსყიდვად ჩაეთვლება. ეს ხმების უდიდესი რაოდენობის დაკარგვას გამოიწვევს.

ცნობილია, რომ წლების მანძილზე ხელისუფლება წარმატებით მანიპულიტებდა საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეები? მონაცემებით. კომისიის მეთოდოლოგიის მიხედვით, აქაც, თუ ოჯახის წევრი განცხადებით არ დაადასტურებს პიროვნების საზღვარგარეთ ყოფნის ფაქტს, (კვლავ ხელისუფლების მიმართ შიშისა და უნდობლობის გამო) __კომისია უფლებამოსილია საზღვარგარეთ მყოფი პირის მონაცემი უცვლელი დატოვოს, რაც ისევ “შავ ხვრელს” ტოვებს სიაში__.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უნდობლობით ეკიდება ე.წ. **ID** ბარათებს და მათი აღება არ სურთ. აქაც ამორჩეველთა ხმების დაკარგვის საფრთხე იქმნება, თუკი ხელისუფალი საპატრიარქოს რეკომენდაციას არ გაითვალისწინებს და მსოფლიოში აპრობირებული მეთოდით, მოსახლეობას ალტერნატიული პირადობის მოწმობის აღების საშუალებას არ მისცემს. ამას გარდა, როგორც ცნობილია, **ID** ბარათში საცხოვრებელი ადგილი მითითებული არ არის (იგი ჩიპშია მოთავსებული და მისი წაკითხვა მხოლოდ კომპიუტერულად არის შესაძლებელი), იმ შემთხვევაში, თუ ამ ბარათის მფლობელი სიაში გამოტოვებული აღმოჩნდა, მისი ამომრჩეველთა აღრიცხვის რეესტრში, კარდაკარის რეგისტრატორის მიერ შეყვანა (მეთოდოლოგიის შესაბამისად) ხდება **ID** ბარათის მფლობელის მიერ მითითებულ მისამართზე რეგისტრირებული მოქალქის მხოლოდ ზეპირი დასტურის საფუძველზე, რაც, ვფიქრობ, გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული.

**— ქალბატონო მანანა, თქვენს მიერ წარმოდგენილი ანალიზიდან იკვეთება, რომ “სსიპ-ის” მიერ მომზადებული მეთოდოლოგია შორსაა სრულყოფისაგან, რამდენადაც ხელისუფლების სასარგებლოდ საარჩევნო ხმების გასაყალბებლად მასში უხვადაა დატოვებული “შავი ხვრელები”. ამდენად, ალბათ, ისევ სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფოებრივი თვითშეგნების, პასუხისმგებლობისა და არჩევნებზე მოსახლეობის სრული მობილიზაციის იმედი უნდა ვიქონიოთ.**

— ჩემი გამოცდილება და პროცესების ანალიზი საშუალებას მაძლევს დავასკვნა, რომ საარჩევნო სიების სრულყოფაც, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაც და მასზე დამოკიდებული დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაც მხოლოდ ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომ, ვფიქრობ, ყველა შესაძლო შედეგებზე, რაც შეიძლება დადგეს, როგორც საარჩევნო პროცესში, ისე არჩევნების საბოლოო დასრულებამდე სრულ პასუხიმგებლობას (ქართულ საზოგადოებასთან ერთად), პირველ რიგში, ხელისუფლებას ვაკისრებ. ამასთან, გაყალბების შემთხვევაში, იმედს ვიტოვებ, რომ საზოგადოება მოახერხებს თავისი საარჩევნო ხმების სამართლიან ჩარჩოებში დაცვას.

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# minda yvelam icodes, rom sinodi orad aris gayofili _ saakaSvilisa da ivaniSvilis momxreebad



*ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან*

**— მამაო ბასილ, ამას წინათ შეკრებილმა წმინდა სინოდმა განაჩინა, რომ სამღვდელო პირები არ უნდა დაესწრონ საერო მიტინგებს, არ ჩაერიონ პოლიტიკურ პროცესებში. იყო საუბარი ე.წ. ჩიპიან პასპორტებზეც, რომელზეც სინოდმა ნებაყოფლობითობის კურთხევა გასცა. რატომ გახდა აუცილებელი სინოდის შეკრება ახლა, როცა ჩიპიან პასპორტებზე უკვე ერთი წელიწადია ლაპარაკობენ? და კიდევ, მიტინგებზე დასწრება-არდასწრებაა ახლა ყველაზე მთავარი თუ ბაგრატის ტაძრის საკითხი, დავით გარეჯი, იეღოველთა მომძლავრება და ა.შ.**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ჩვენთან არს ღმერთი.

მოგახსენებთ, რომ სინოდის სხდომა, რომელიც ამას წინათ გაიმართა, მოწვეული იყო მთავრობის დაკვეთით, მისი ძირითადი მიზანი იყო დაეტუქსათ ის სასულიერო პირნი, რომელნიც ესწრებოდნენ მთავრობისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარტიების შეკრებებს. სამღვდელოებამ ხალხის თვალის ასახვევად კრების მიზეზად მოიტანა თითქოს ჩიპიან პასპორტებთან დაკავშირებით იწვევდნენ კრებას. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ელექტრონული პასპორტების გაცემა ერთი წელია, რაც დაიწყო. თითქმის ნახევარმა საქართველომ აიღო ID ბარათები. საპატრიარქომ ახლა გაიღვიძა?

მინდა პირდაპირ განვაცხადო, რომ საპატრიარქოს მართავს ხელისუფლება, ისინი უშუალოდ მთავრობის დაკვეთებს ასრულებენ. ამას წინათ გაჟღერდა ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტის მეუფე სერაფიმეს ინტერვიუ, ფარულად ჩაწერილი.

**რელიგიური უმცირესობის შესახებ შარშანდელი კანონპროექტის მიღებას არ ეთანხმებოდა სინოდის წევრების გარკვეული ნაწილი. ეს სინოდის ოქმში ჩაიწერა, მაგრამ ხელისუფლების ჩარევით, კომპრომეტირებული სასულიერო პირების დაშინებით, ეს ფრაზა გაქრა.**

უფრო მეტიც, საშობაო ეპისტოლე გიგი უგულავასთან მოხვდა. მან მოურიდებლად ჩაასწორა ეპისტოლე, ისმის კითხვა: საქართველოს პატრიარქი ჰყავს თუ გიგი უგულავა ასრულებს მის მოვალეობას? რა უნდა საშობაო ეპისტოლეს ან ნებისმიერ საბუთს გამოქვეყნებამდე მერიაში?

**იმის მაგივრად, რომ სინოდის კრებას იწვევდნენ საქართველოს უდიდეს ტკივილზე: დავით გარეჯზე, რომელსაც ვკარგავთ, ბაგრატის ტაძარზე, რომელიც საქართველოს სულიერ სახეს წარმოადგენს. კათოლიკური სტილით აღადგენენ, ის, რომ ერეკლეს სახლ-მუზეუმი საქართველოს დაუძინებელი მტრის აღა-მაჰმად-ხანის შთამომავლობას მიჰყიდეს, დამპყრობელის პირადი ნივთების გამოსაფენად, ის, რომ წმინდა ნინოს სახელობის სასწავლებელი უნდა დაანგრიონ და ისლამური შენობა ააგონ, ქუთაისში ავტოქარხნის დასახლების ტერიტორიაზე ბუდას ეკლესიას აშენებენ ჩინელები და მართლმადიდებელ ქართველებს მონებივით ამუშავებენ, ის, რომ ასიათასი მოწამის ადგილზე ბუდა-ბარს აგებენ და მრავალი სხვა, რომელიც ჩვენ არ ვიცით. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.**

ამაზე რომ იმსჯელონ, პირიქით, საპატრიარქოში თბილად მოკალათებული სასულიერო იერარქები არას დაგიდევენ, მაგალითისათვის მოვიყვან კალისტრატე მარგალიტაშვილს, რომელიც საქართველოს მეორე სატახტო ქალაქის პატრიარქად წარმოგვიჩენს თავს და მის შვილობილს, საქართველოს დამაქცევარს, აღმაშენებელს უწოდებს.



ითვისებს ბაგრატის ტაძრის რესტავრაციისთვის გამოყოფილ თანხას და საერთოდ არ ფიქრობს საქართველოზე. აი, ამ ფონზე იმაზე მსჯელობენ, რომ სასულიერო პირი საქართველოს გადარჩენისათვის შეკრებილ ხალხს არ უნდა შეუერთდეს, რათა მისი გაჭირვება არ გაიზიაროს? ამაზე მეტი ცინიზმი გაგონილა?

თქვენ ახსენეთ ასევე იეღოველთა სექტის მომძლავრება. მათმა ქმედებამ უკვე კულმინაციას მიაღწია. თითქოს მოსაწყენია ეს ბრალდებები, მაგრამ ფაქტებს ვერ გავექცევით. ვინ უნდა იზრუნოს იმ აღვირახსნილობის ასალაგმად, რომელსაც იეღოველთა სექტის წარმომადგენლები ეწევიან? ჩვენ მოვახერხეთ ფარულად ჩაგვეწერა იეღოველი ქალის ქადაგება მართლმადიდებელთა წინააღმდეგ, რომელიც განთავსებულია ინტერნეტში, ფეისბუკზე, ჩემს გვერდზე. ნებისმიერს შეუძლია ნახოს.

საპატრიარქოს ეს კრიმინალური სექტა არასოდეს დაუგმია. პირიქით, 1992-95 წლებში, როცა მცხეთა-თბილისის საეკლესიო კრებებზე კატეგორიულად მოვითხოვდი კრების ნახევარი დრო ამ საკითხების მოგვარებისთვის დაგვეთმო და დროზე აგველაგმა მათი მზაკვრული მიზნები, პატრიარქისგან დიდ წინააღმდეგობას ვაწყდებოდი. ერთხელ კიდეც დამტუქსა და „წითელი კოჭიც“ კი მიწოდა: როგორ გამოდიხარ მაგათ წინააღმდეგო? იქ მყოფ მღვდლებს არწმუნებდა, რომ ეს სექტა საშიშროებას არ წარმოადგენდა. დღეს კი ყველა ვხედავთ, რა სავალალო რეალობის წინაშე ვდგავართ. ხელისუფლებიდან გათამამებული იეღოველები საშინელ პროზელიტიზმს ეწევიან და უამრავი მართლმადიდებლის სული ჯოჯოხეთისთვის უკვე განამზადეს.

**— მამაო, ხომ არ იცით, რა ხდება ივანიშვილსა და საპატრიარქოს შორის. საპატრიარქო ამჯერადაც ხელისუფლების მხარეს დგას?**

— პატრიარქს და ივანიშვილს იმთავითვე კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ან რატომ უნდა ჰქონოდათ ცუდი ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც ამოდენა მშენებლობას აფინანსებდა? სავალალო ფაქტია, რომ, როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიის საქმეებში უხეშად ერევა ქრისტეს მოძულე ხელისუფლება, აქედან გამომდინარე, ისინი ღიად ვერ დაუჭერენ მხარს ივანიშვილს. ადამიანი, როცა სიკეთეს აკეთებს, ამის დაუნახაობა უმადურობაა და ცოდვად მიიჩნევა.

მინდა ყველამ იცოდეს, რომ ამჯერად სინოდი ორად არის გაყოფილი — სააკაშვილისა და ივანიშვილის მომხრეებად. ვინც პატიოსანი სასულიერო პირნი არიან, მხარს ბიძინა ივანიშვილს დაუჭერენ. სამწუხაროდ, ცოდვის მორევში ჩაფლული ეპისკოპოსები კი სააკაშვილის ქება-დიდებაში არიან. მათ აქვთ შიშის სინდრომი, სააკაშვილმა ცოდვით დაცემულნი არ ამხილოს. ასევე ფაქტობრივ ხელისუფლებას მხარს დაუჭერენ ღვთის მგმობელი სხვადასხვა სექტის წარმომადგენლები, სოდომ-გომორით დაცემული მამათმავლები და ლესბოსელები. აი, ამ ზნედაცემულ ადამიანებს ქომაგობს სააკაშვილი და მათი იმედი აქვს არჩევნებში.

**— აუხსენით საზოგადოებას: ე.წ. ჩიპიანი პასპორტები მართლა საფრთხეა თუ არა? საზღვარგარეთის ბევრმა ქვეყანამ უარყო, ჩვენი ეკლესიისგან რატომ არ ხდება ამის ცალსახა და რადიკალური დაგმობა?**

— ადამიანებს ცოტა ხანში იძულებულს გახდიან აიღონ ასეთი პასპორტები. ბლოკირებული ადამიანი შეძლებს არსებობას? ვინც პასპორტს არ მიიღებს მისთვის გაუსაძლისი გახდება ცხოვრება, შენ მოგემსახურებიან, ან არა, დადგება ხანმოკლე დიქტატურა ანტიქრისტესი. ეს იქნება ხანმოკლე პერიოდი, დაიწყება მართლმადიდებელთა დევნა, მაგრამ, განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულს, რომელნიც დღედაღამ მას შეჰღაღადებენ. მორწმუნეთათვის შეჭირვების პერიოდი შემოკლდება. ყველა მორწმუნეს სასურველია ჰქონდეს მიწის პატარა ნაკვეთი, პატარა მეურნეობა, დათესოს, მოუაროს და თავი გაიტანოს.

ყოველივე ეს უნდა გაეთვალისწინებინა ეკლესიას და კატეგორიული, რადიკალური მოთხოვნა დაესვა მთავრობისთვის, როგორც ეს სხვა ქვეყნებში გააკეთეს.

ჩვენთან კი სულ სხვანაირად არის საქმე — ქვეყნის დამაქცევარ, ამდენი ბოროტების ჩამდენ ხელისუფალზე, მცხეთაში, მოციქულთა ხსენების დღის ქადაგებაზე, პატრიარქმა მის გვერდით მდგომი პრეზიდენტის მისამართით განაცხადა: „ჩვენ დღეს ძალიან ბედნიერნი ვართ, იმით, რომ ჩვენთან არის პრეზიდენტი“-ო. ღმერთო, გადმოგვხედე და შენ გაარჩიე სამართალი...

**— ამას წინათ სოციალურ ქსელში დუშეთიდან მომწერეს — ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიას ეპისკოპოსი ვლადიმერი აფარებს თავს, რომელიც არის მრუში, დედაო გააუპატიურა და შვილიც ჰყავთო. ასეთების განკვეთა არ ხდება ეკლესიიდან?**

— თქვენი მიკვირს, პირველად გესმით ასეთი რაღაცები? ზნედაცემულ ეპისკოპოსებზე ძალიან ბევრს საუბრობენ, როცა ისინი მარხვის პერიოდში გოგონებთან ერთად რესტორნებში ატარებენ დროს.

ერთ ფაქტზე შევჩერდები: 2 წლის წინ პატრიარქმა მე და მამა




**მეუფე იობი: „თუ ისევ არსებული ხელისუფლება დარჩა, მე გარწმუნებთ, რომ საქართველო აღარ იარსებებს და შეიძლება საქართველოს სახელიც კი შეუცვალონ“...**

ვახტანგი დაგვიბარა. მოიწვიეს სინოდის კრება და მოხდა განსაცვიფრებელი რამ. მე და მამა ვახტანგი დაგვსაჯეს. მე იმისთვის — რატომ ავაშენე ამდენი ეკლესია, რატომ მიყვარს საქართველო, რატომ ვიცავ დიდი სჯულის კანონს და მართლმადიდებლობას. „დამსაჯეს“ და „გამოსასწორებლად“ ვანი-ბაღდადის ეპარქიაში გამგზავნეს. ეპარქიაში, რომლის მღვდელი შუა მარხვაში რესტორანში „შალახოს“ ცეკვავდა. ვერ გავიგე, მათ უნდა გამოვესწორებინე, თუ მე ისინი?! თუმცაღა, რომ წავსულიყავი, მართლაც გამოვასწორებდი. საპატრიარქოს სწორედ ასეთი მღვდლები აწყობს, ისინი პატრიარქის წინაშე ხმას ვერასოდეს ამოიღებენ. ასეთი სასულიერო პირები საკმაოდ ბევრნი არიან ეკლესიის წიაღში.

**— ახლა ეკლესიიდან ყველაზე თამამად მეუფე იობის ხმა ისმის. ამასწინათ კიდევაც განაცხადა: თუ ეს ხელისუფლება კიდევ ქვეყნის სათავეში დარჩება, საქართველო აღარ იარსებებსო...**

— ეს ხელისუფლება ისტორიის, ყოველივე ქართულის მტერია. მეუფე პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე ემზადებოდა საეკლესიო კრების ჩასატარებლად, რათა განწმენდილიყო ეკლესია უღირსი, შემარცხვენელი სამღვდელოებისაგან. სწორედ ეს არ აპატიეს მას და საპატრიარქო ოპოზიციაში ჩაუდგა. დღეს ისმის კითხვა, ჩატარდება ეს კრება? პასუხი ასეთია — სააკაშვილისა და ილია II-ის თანამოღვაწეობის დროს ეს კრება არ ჩატარდება, რადგან კრებაზე უნდა განიკვეთოს სამღვდელო დასის უმრავლესობა ისე, როგორც ეს მოხდა დავით აღმაშენებლის დროს. აქედან გამომდინარე, **სამღვდელოებას საერთოდ არ აწყობს კრების ჩატარება**.

**— მამაო, ბევრს აინტერესებს, რა აზრის ბრძანდებით ბიძინა ივანიშვილზე, როგორც საზოგადოების გარკვეული და საკმაოდ დიდი ნაწილის ლიდერზე, უჭერთ მას მხარს?**

— ხშირად მეკითხებიან, რა აზრისა ვარ ივანიშვილთან მიმართებაში. წავალ თუ არა მიტინგებზე.

მე ყოველთვის მათთან ვარ, ვინც შეჭირვებულ მოძმეებთან დგას, მათ ჭირ-ვარამს იზიარებს, ეხმარება,




იობი ამათი უზნეობის შემყურე აკეთებს ასეთ დასკვნას. დიახ, საქართველოს ისტორია თუ არ იარსებებს და ქართველი ხალხი თავისი წარსულით ვეღარ იამაყებს, ქართველი ერი გადაჯიშდება, ეს უნდა ჩვენს მტრებს. ამაზე ლაპარაკობს მეუფე იობიც...

მეუფე რუის-ურბნისის ეპარქიის მმართველი, ფრიად განსწავლული და უპატიოსნესი პიროვნებაა. მის ეპარქიაში ყველა რიტუალს ეკლესიური წესების მიხედვით აღასრულებენ. მეუფე ყოველთვის სიმართლის მხარეს დგას, ხშირად ამხელს უსჯულოებას, რომელიც ხდება დღევანდელ ხელისუფლებაში. ამიტომაც იდგა მცხეთაში ქართველი ერის შეკრებაზე. სწორედ ამის გამო, **ხელისუფლების საამებლად, მოიწვიეს სასწრაფოდ სინოდის კრება, რათა „დაეტუქსათ“ მეუფე იობი**. ვერ გაითვალისწინეს, რომ სინოდში თუ ერში მეუფე იობს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

ისეთები, რომლებიც ხელისუფლების ნაჩუქარი პრესტიჟული მანქანებით დაგრიალებენ, მოვუწოდებ: დროა, ჩამოქვეითდით „ჯიპებიდან“ და შეჭირვებული ხალხის ბედი გაიზიარეთ, რამეთუ ყოველი ჩვენგანი მართალნი უნდა ვიყვნეთ საკუთარი სინდისის წინაშე, რათა ჩვენი ნასროლი ქვა ჩვენვე არ დაგვიბრუნდეს.

**— მამაო ბასილ, ხშირად გაისმის, უნდა ჩატარდეს რუის-ურბნისის მსგავსი საეკლესიო კრებაო. თქვენი აზრით, შესაძლებელია თუ არა ეს და ვინ უნდა განახორციელოს იგი?**

— დღეს მთელი საქართველო ელოდება, როდის ჩატარდება რუის-ურბნისის მსგავსი კრება. საერთოდ, მსოფლიო საეკლესიო კრებებს ყოველთვის მორწმუნე მეფეები და დედოფლები იწვევდნენ. საქართველოს გულთან მიაქვს გაღატაკებული, ქუჩაში ლუკმა-პურის საშოვნელად გამოსული ხალხის ბედი. მივესალმები და ვლოცავ ქველმოქმედებას, რომელსაც ერის საკეთილდღეოდ გასწევს, მითუმეტეს, თუ ყოველგვარი კეთილი საქმე მართლმადიდებლური სულით იქნება შეზავებული. რაც შეეხება იმას, ვივლი თუ არა სახალხო შეკრებებზე, მოგახსენებთ, საპყრობილეში ყოფნის დროს ბევრჯერ სცადეს ჩემი მოწამვლა, ფიზიკური განადგურება, მაგრამ ღვთის წყალობით, თქვენთან ვარ. ციხიდან ფრიად დაუძლურებული გამოვედი, დღესაც ვმკურნალობ. კიდევ გიმეორებთ, საწოლზეც რომ ვიყო მიჯაჭვული, სულით და გულით საქართველოს ერთგულ ჯარისკაცად მიგულეთ. მე ვიდგები მათთან, ვინც ხელისუფლებაში არა ფულის მოსახვეჭად, არამედ დასახმარებლად და გაჭირვებული ხალხის პირობების გასაუმჯობესებლად მოვა.

ვწუხვარ, როცა ვუყურებ, როგორ ესვრიან ქვებს ნაციონალების დამქაშები ბიძინა ივანიშვილის მომხრეებს. მინდა ქართველ ხალხს შევახსენო, რომ მათი მასწავლებელი და იდეოლოგი გიგა ბოკერია ქვების სროლაში მეტად გაწვრთნილია. რამდენიმე წლის წინ იგი იეღოველთა სექტის წარმომადგენლების თავგამოდებული დაცვისას მე და ჩემს მრევლს ქვები დაგვიშინეს. ეს კადრები არის ინტერნეტსივრცეში და ყველას შეუძლია იხილოს. ასე, რომ ეს მათი ჩვეულებრივი ხელწერაა, რაშიც მე ადრევე დავრწმუნდი და საკუთარ თავზეც გამოვცადე, ამიტომ უკეთესს არაფერს მოველი მათგან...

ღმერთმა დაგლოცოთ.

**ირანდა კალანდაძე**

# literaturuli premia `saba~ saZmakacoSi Camosarigebel premiad ar unda iqces...



*წლევანდელ წელსაც ჩატარდა მორიგი ლიტერატურული კონკურსი „საბა“. რამდენად ამართლებს წარდგენილი და გამარჯვებული ნაწარმოებები საზოგადოების მოლოდინს და სულხან-საბას სახელობის პრემიის სახელს — ეს უკვე დიდი ხნის განსჯა-განხილვის საკითხია. რა და ვინ იმარჯვებს: ნოვაცია, იდეოლოგია თუ ნამდვილი მწერლობა? ამ საკითხებზე გვესაუბრება პოეტი* ***ბადათერ არაბული***

— ამგვარი კონკურსები, როგორიცაა „საბა“, „გალა“ და სხვები, თავისთავად ძალიან კარგია, მაგრამ დაუშვებელია კლანური, გარკვეული ჯგუფების ინტერესების გამომხატველი კონკურსები. ხშირად ერთი და იგივე ხალხი მართავს და ღებულობს მონაწილეობს. ვთქვათ, წელს რომელიღაც მწერალმა მიიღო პრემია და მისი მეგობარი არის ჟიურის წევრი, შემდეგ წელს ის, ვინც მიიღო პრემია, არის ჟიურიში და რომელიც შარშან ჟიურიში იყო ღებულობს პრემიას და ა.შ.

**— ე.ი. ერთმანეთს გადასცემენ პრემიებს?**

— არ დავასახელებ გვარებს. ერთი და იგივე სახეები ტრიალებს ამ კონკურსებზე, 10 წლის განმავლობაში ზოგიერთს 5-ჯერ აქვს მიღებული პრემია, ზოგს კი — 4-ჯერ და ა.შ. ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა. ობიექტურად უნდა ჩატარდეს ყველაფერი. ჟიურიში უნდა იყოს ხალხი, რომლებიც გათვითცნობიერებულნი არიან ქართულ ლიტერატურაში. მინდა მივმართო დამაარსებლებს, ხელმძღვანელებს, ეს იქნება ჩემი მეგობრული თხოვნაც და კოლეგიალურიც — კონტროლი გაუწიონ ჟიურის შემადგენლობას, იქ მიმდინარე მოვლენებს.

**— მამუკა ხაზარაძე არის ამ ლიტერატურული კონკურსის დამფინანსებელი და თავისთავად ხდება ქართული მწერლობის პრომოუტერი, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ. არ ინტერესდება, რას ხმარდება მისი თანხები და როგორია რეზულტატი?**

— მამუკა ხაზარაძე არის ძალიან კარგი ადამიანი, მორწმუნე, ჰყავს მოძღვარი და მის მიერ დაფინანსებულ კონკურსში იმარჯვებს ადამიანი — გიორგი მაისურაძე, რომელიც ეკლესიაზე, სარწმუნოებაზე, რელიგიაზე აქვეყნებს ამაზრზენ ტექსტებს, მაგალითად მოვიყვან ფრაგმენტებს მისი წერილიდან: **„მართლმადიდებლობა, როგორც ქართველი ლიბერალების უკანასკნელი თავშესაფარი“**. გთავაზობთ ერთ-ერთ ფრაგმენტს: **„საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც დღეს საქართველოში ყველაზე მაღალი ავტორიტეტის მქონე ორგანიზაციაა, რიტუალებისა და „სასწაულების“ გარდა სხვა არანაირი „სულიერების“ შეთავაზება არ შეუძლია ადამიანისთვის და თავადაა ყოველგვარი სულიერებისა და სულიერი კულტურის მთავარი მოძულე, რომელიც ყველგან და ყველაფერში, სადაც მისი ლოცვა-კურთხევის ბეჭედი არაა დასმული, ეშმაკეულებს ხედავს. უფრო მეტიც, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იმდენად დაშორდა ყოველგვარ სულიერებას, იმდენად მოსწყდა თავად მართლმადიდებლურ თეოლოგიურ საწყისებს, რომ მასზე, როგორც სულიერების გამომხატველ ინსტიტუციაზე, სერიოზული საუბარიც კი „ძნელია“. მერე ამბობს: „არანაირი განსაკუთრებული თეორიული ცოდნა და ანალიტიკური უნარები არაა იმისთვის საჭირო, რომ ეკლესიიდან მომავალი აგრესია, შეუწყნარებლობა, შუა საუკუნეებისდროინდელი სექსიზმი და ქალთმოძულეობა, ადამიანების ფსიქოლოგიური მანიპულაცია და წამქეზებლობა დავაფიქსიროთ და მას კერძო შემთხვევების კვალიფიკაცია არ მივცეთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეროვნული თუ სარწმუნოებრივი შუღლის გაღვივება, უმეტეს შემთხვევაში, მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ორგანოს — წმინდა სინოდის წევრებისგან — ეპისკოპოსებისა და მიტროპოლიტებისგან მოდის, აბსურდული უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ ეს გამონაკლისებია“.** ანუ იგი გულისხმობს, რომ ევრონული შუღლის გაღვივება ეკლესიიდან მოდის. პირიქით, ეკლესია ზრუნავს იმაზე, რომ არ იყოს შუღლი და დაპირისპირება საზოგადოებაში. ამ „მწერალმა“ მიიღო საბას პრემია და პრემიის დამაარსებელია ხაზარაძე, რომელიც საპატრიარქოს უდგას გვერდით. მე ვფიქრობ, რომ მამუკა ხაზარაძემ ეს არ იცის.



**— ცოტა უცნაურია, რომ დამფინანსებელი საქმის კურსში არაა.**

— ხაზარაძემ ეს რომ იცოდეს, არ დაუშვებდა. მე ვიცი, რომ საპატრიარქოში ჩატარდა პრესკონფერენცია ამ მასალის თაობაზე. ასევე მაისურაძე ნაწარმოებში **„ჩაკეტილი საზოგადოება და მისი დარაჯები“** რომელშიც პრემია მიიღო, ჩაკეტილ საზოგადოებაში გულისხმობს იმათ, ვინც ტრადიციებს იცავს, ზნეობრივ ნორმებზე და ეროვნულობაზე ლაპარაკობს. ცისფერების ზეიმს, ერთსქესიანების ქორწილს თავისუფლება უნდა მიენიჭოს და პროპაგანდა გაეწიოს. მისი აზრით, ილია ჭავჭავაძეს აწუხებდა შუასაუკუნებრივი ბნელეთის აზრები, ანუ ერის გადარჩენაზე ზრუნვა ბნელეთის აზრია. პატრიოტიზმი პროვინციალიზმის გამოვლინება. ცოტნე დადიანი „ცოტნე დათვიანიდან“ მოდის, „ცოტნაობა“ სექსუალური რიტუალი ყოფილა, თაფლის წასმა სხეულზე, მერე ლოკვა და ასე შემდეგ. „საბას“ პრემიაზე წარდგენილი იყო რამდენიმე ღირსეული პიროვნების ნაშრომი, მათ უარს ეუბნებიან, იმათ კი, ვისაც მორალური და სექსუალური გადახრები აქვთ, გზას უხსნიან. ასევე მონაწილეობდა ვინმე დათო ქარდავა ნაწარმოებით, რომლის სათაურია „ტუალეტში საკითხავი წიგნი“(?!).

შევარდნაძის პერიოდშიც კი არ ხდებოდა ასეთი რამ. განათლების მინისტრის მოადგილე იყო ვინმე ლეკვეიშვილი, რომელმაც გამოაქვეყნა ლექსების კრებული სათაურით — „მთვარე, მაკოცე ტრაკზე“. მაშინვე გააგდებინეს მინისტრ კარტოზიას. ახლა კი ამგვარ ტექსტებს უფრო ეძლევა უპირატესობა, ვიდრე წმინდა ლიტერატურულ და აკადემიურ ნაწარმოებებს. ჩემი თხოვნა იქნება, ეს ყველაფერი გაითვალისწინონ და ამგვარი ანომალური ტექსტები არ მოხვდეს კონკურსში.

ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ქრისტიანული ციტადელი მოანგრიონ. ეს ხელისუფლების ნება-სურვილიცაა, რათა ეკლესიას ავტორიტეტი შეულახონ. ჩვენ ვერ დავემსგავსებით ევროპასა და ამერიკას. მათ თავიანთი ისტორია აქვთ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპა უბრუნდება თავის ტრადიციებს. მოძრაობა დაიწყო საფრანგეთში, ჰოლანდიაში, იტალიაში ნაციონალური ინტერესების დაცვისათვის. ეს აუცილებლობამ მოიტანა; მსოფლიოში არსებობს ცისფერების უზარმაზარი გაერთიანებები, საბჭოები და ყველაფერ ამას უწევენ მფარველობას. უზარმაზარი ფული იდება. ჩვენს ხელისუფლებაშიც არაერთია ამ ტენდენციის მქონე. ხელშეწყობის გარეშე არ მოხდებოდა არაფერი.

რატი ამაღლობელი არის ამ კონკურსის დამაარსებელი და მე მინდა პირადად ვთხოვო მას, უფრო პრინციპულად მიუდგეს ამ ყველაფერს და იყოს ჩართული ჟიურის მუშაობაში. ჟიურის შედგენის დროსაც მეტი პრინციპულობა გამოიჩინოს. იქ უნდა იყვნენ კრიტიკოსები, მწერლები, რომლებიც კარგად იცნობენ ქართულ მწერლობას, ტენდენციებს და არა ფსიქოლოგები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები.

**თამუნა ქადაგიძე**

# ადამიანის ბიოველი

უხსოვარი დროიდან, მეცნიერებთან ერთად ჩვეულებრივი ადამიანებიც გაოცებაში მოჰყავდა ცოცხალი სხეულისთვის დამახასიათებელ თვისებებს, „გაენათებინა" თმას სიბნელეში, ნაპერწკლები გაეყარა ტანსაცმლის გახდისას.

მოგვიანებით, საყოფაცხოვრებო პირობებში ელექტრონის ფართოდ გამოყენებამ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური დენის მატარებლის შესახებ შეხედულებები კიდევ უფრო გაამყარა.

ერთნი ამას რაღაც „სასიცოცხლო ძალას" მიაწერდნენ, მეორენი ამბობდნენ, რომ ეს თვალით უხილავი იმ „ეთერული სხეულის" დამსახურებაა, რომელიც ყოველი ცოცხალი არსების სხეულში ბინადრობდა და სწორედ ეს განარჩევდა ცოცხალს არაცოცხალისგან.

მეცნიერებაში ადამიანის ირგვლივ არსებული ბიოველის შესახებ ყველაზე რეალური წარმოდგენები ამერიკელი მკვლევრის ალბერტ სენტ-დერდის მეშვეობით გაჩნდა, რომელმაც განაცხადა: „ადამიანი – ჩვეულებრივი გამტარია, რომელშიც სასიცოცხლო ფუნქციების განხორციელების პარალელურად, როგორც სადენებში, მუდმივად გაედინება ელექტრული დენი".

სენტ-დერდის ჰიპოთეზიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ასევე ამერიკელმა მეცნიერებმა ფიზიკური ხელსაწყოს საშუალებით შეძლეს ადამიანის ირგვლივ არსებული ელექტრული ველის სკანირება და გაოცებული დარჩნენ იმით, რომ ადამიანის ბიოველი თითქმის ყველა იმ გამოსხივებას შეიცავდა, რაც დედამიწაზე არსებობდა;



ოღონდ, ერთი განსხვავებით – ბიოველში შემავალ გამოსხივებათა ტალღის სიგრძე გაცილებით ნაკლებია, ისევე როგორც მინიმალურია მათი მოქმედების სპექტრი და ძალა.

ბიოველის სკანირების შემდეგ, ბუნებრივია, იმის დადგენა გახდა საჭირო, თუ რა აქცევდა ადამიანს ბიოლოგიურ გამტარად და რა მატერიები წარმოადგენდა სხეულის ირგვლივ ელექტრული ველის წყაროს.

### ბიოელექტროდები

### წყალი

ბიოველის წყარო საკუთრივ ადამიანის ორგანიზმში არსებული ორგანული და არაორგანული ნივთიერებები აღმოჩნდა.

ყოველ მათგანს გააჩნია საკუთარი ელექტრული მუხტი და სწორედ ამ მუხტებს შორის სხვაობა წარმოქმნის იმ ელექტრულ პოტენციალს, რომელიც საბოლოოდ სხეულის ირგვლივ ელექტრული ველის სახით იყრის თავს.

ბიოველის ყველაზე მძლავრი და ძლიერი მომმარაგებელი, საუკეთესო გამტარი წყალი აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, ჩვენი ბიოველის 70-80 პროცენტს სწორედ ეს სითხე განაპირობებს.

წყლის მოლეკულური აგებულება, ალბათ, ყველას ახსოვს – ეს წყალბადის ორი და ჟანგბადის ერთი ატომია, წყალბადის ატომები კი, თავის მხრივ, საუკეთესო პროტონებია, რომლებიც დიელექტრული სხვაობის წყალობით წყალს შესანიშნავ გამტარად აქცევს.

### ცილა

წყლის შემდეგ ელექტრული ველის შექმნაში დიდი როლი ეკისრება ორგანულ ცილებს, თუმცა, წყალთან შედარებით, ცილებს არაერთგვაროვანი და არამუდმივი დენის წარმომქმნელი უნარი გააჩნია, მათი გამტარობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის ისინი წყლით გაჯერებული და რამდენი წყალია იმ გარემოში, სადაც მათ უშუალოდ ფუნქციონირება უწევს. რაც ნაკლებია წყალი, მით ნაკლებია ცილების იონური გამტარობა.

### ნუკლეინის მჟავები

ნუკლეინის მჟავები: დნმ და რნმ ასევე დიდი როლს თამაშობს ცოცხალი ორგანიზმის ველის წარმოქმნაში. მიუხედავად მათი სტრუქტურისა, ისინი დიდი რაოდენობით წყალს არ შეიცავს, მაინც მაღალი ელექტროფიზიკური თვისება აქვს, რასაც მათ ამინომჟავები სძენს.

### მიკრო და მაკროელემენტები

მოგეხსენებათ, ადამიანის ორგანიზმში საკმაოდ ბევრი მიკრო და მაკროელემენტია, რომელთაც ასევე გააჩნია საკუთარი ელექტრული მუხტი, ზოგს – დადებითი, ზოგსაც – უარყოფითი და თავიანთი მოკრძალებული წვლილი მათაც შეაქვთ ბიოველის წარმოქმნის საერთო საქმეში.

### გარეგანი ფაქტორები

თანამედროვე ადამიანს საკმაოდ მძლავრი ტექნოგენური გამოსხივების ქვეშ უწევს არსებობა. ცივილიზებული სამყაროს ყველა წერტილი ელექტრომაგნიტური ველის არეშია მოქცეული, მათ შორის – ჩვენი სხეულიც. იგი მუდმივად იღებს და შთანთქავს ამ ველის გარკვეულ ნაწილებს სპეციალური ბიოენერგეტიკული მერიდიანების საშუალებით, რომლის პირველი რგოლიც ჩვენი კანია.

სწორედ სხეულის საფარველის გზით აღწევს ორგანიზმში გარემოს ელექტრომაგნიტური ველის ფრაგმენტები, რომლებიც ორგანიზმში სხვადასხვა ადგილას იდებს ბინას და სხვადასხვანაირადვე რეალიზდება.

დღეს მეცნიერების მთავარი ამოცანაა საბოლოოდ გაშიფრონ ბიოველის შემადგენლობა და განსაზღვრონ ის მუდმივი პარამეტრები, რომლებიც ჯანმრთელ ორგანიზმს დაავადებულისგან განასხვავებს.

ერთადერთი, რაც უკვე დასაბუთებულია, ის არის, რომ ჯანმრთელი ადამიანის ბიოველი ნეიტრალურია – ორგანიზმში აგზნება-შეკავების პროცესთა დაბალანსებით, გაწონასწორებულია უარყოფით და დადებით მუხტებს შორის თანაფარდობაც, ხოლო როცა ველი რაიმე მუხტს იძენს, ეს უკვე იმის მანიშნებელია, რომ აგზნება-შეკავების პროცესთა შორის თანაფარდობა დაირღვა და რომელიღაც ადგილას პათოლოგიური პროცესი იწყებს განვითარებას.

# ნანორობოტები – მომავლის მედიცინა

ნანომედიცინა მიზნად ისახავს ადამიანის სხეულში, ყველაზე ხშირად კი სისხლში, გარკვეული ინექციების მეშვეობით შეიყვანოს სპეციალური მოწყობილობა – მიკროსკოპული რობოტები, რომლებიც გამოიყენება როგორც სადიაგნოსტიკო, ისე სამკურნალო მიზნებისთვის.

### რას წარმოადგენს ნანორობოტი?

ტიპური სამედიცინო ნანომოწყობილობა მიკრონული ზომის რობოტია, რომელიც აწყობილია ნანონაწილებისგან. ნანორობოტის ნაწილების ზომები ერთიდან 100 ნმ-მდე მერყეობს. მეტი სიცხადისთვის გეტყვით, 1ნმ = $10^{-9}$ მ-ს, თავად რობოტის ზომა კი იქნება 0,5-3 მკმ (1მკმ = $10^{-6}$ მ-ს).

სამედიცინო ნანორობოტების ძირითადი საშენი მასალა, საკმაოდ დიდი სიმტკიცის გამო, ალმასის ან ალმასისმსგავსი ფორმის ნახშირბადია. ნანომეტრიულ რედუქტორებსა და სხვა კომპონენტებში სპეციალური მიზნებისთვის გამოიყენება წყალბადი, გოგირდი, ჟანგბადი, აზოტი და ფტორი.

ნანორობოტს ექნება ორი სივრცე – შიგნითა და გარეთა. გარეთა სივრცე ადამიანის ორგანიზმში არსებულ ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმედების წინაშე დაუცველი აღმოჩნდება, სამაგიეროდ, შიგნითა სივრცე იმდენად დაცული იქნება, რომ მასში ვერ შეაღწევს ვერაფერი, გარდა იმ ბიოლოგიური სითხეებისა, რომელთა დამუშავება და ანალიზიც ნანორობოტის მიზანს წარმოადგენს.

### შტრიხები ნანორობოტის პორტრეტისთვის

– ადამიანი, რომელსაც ნანორობოტებს შეუყვანენ, სუბიექტურად ვერაფერს შეიგრძნობს;

– ფუნქციაამოწურული ნანორობოტები ადამიანს არანაირ ზიანს არ მიაყენებენ;

– ნანორობოტებს არ ექნებათ ორგანიზმში დამოუკიდებლად გამრავლების უნარი;

– მართვის მიზნით ორგანიზმში შეყვანილ ნანორობოტებთან მუდმივად იქნება კავშირი;

– სხვადასხვა ტიპის უჯრედებს უჯრედის ზედაპირზე არსებული ყოველი მათგანისთვის დამახასიათებელი ანტიგენური სტრუქტურის მიხედვით ამოიცნობენ;

### ნანორობოტების დანიშნულებას წარმოადგენს:

– ორგანიზმის გაწმენდა ვირუსული ან ბაქტერიული ინფექციისგან;

– სამკურნალო საშუალების ზუსტად მიტანა იმ ადგილამდე, სადაც ეს ყველაზე მეტად საჭიროა;

– ორგანიზმის ჟანგბადით მომარაგების გაუმჯობესება და შესაბამისად, ნივთიერებათა ცვლის გააქტიურება-მოწესრიგება.

### მოქმედების მექანიზმი

ტიპური ერთჯერადი თერაპევტული დოზა ნანორობოტებისა,



ორგანიზმში 1-დან 10-ტრილიონამდე ნანორობოტის შეყვანას გულისხმობს. მოზრდილი ადამიანის სხეულის მოცულობა 100 ათასი სმ$^3$-ია, სისხლის მოცულობა 5400 სმ3-ს შეადგენს, ამიტომ მასში 3 სმ3 მოცულობის ნანორობოტების დოზის დამატებას პრაქტიკულად ორგანიზმი ვერ შეიგრძნობს, მით უფრო, რომ ისინი მოიქცევიან ისე, როგორც მათ სპეციალური მიმღები მოწყობილობის მეშვეობით „უბრძანებენ".

ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ნანორობოტები იწყებენ მოგზაურობას, ზოგიერთნი სისხლის ნაკადის მეშვეობით, ზოგიერთნი ბინას ბრონქებში იდებენ, ზოგიერთნი კი ქსოვილებში დაბუდდებიან. იმისდა მიხედვით, თუ ორგანიზმში სად აპირებს დასახლებას, განსხვავებული იქნება მათი ზომაც; მაგალითად, ყველაზე დიდი ზომისანი სისხლის ნანორობოტები იქნებიან, შედარებით პატარები – ქსოვილებში მოსახლენი, კიდევ უფრო ნაკლები იქნება ბრონქებში მობინადრეთა ზომა.

ნანორობოტს, როგორც ნებისმიერ მოწყობილობას, გადასაადგილებლად და ფუნქციონირებისთვის აუცილებლად ესაჭიროება ენერგია. მეცნიერებმა, ბუნებრივია, ამაზეც იზრუნეს – მოწყობილობა მუშაობისთვის საჭირო ენერგიას თავად ორგანიზმში, ჟანგბადისა და გლუკოზის მეტაბოლიზმის დროს მიმდინარე მექანოქიმიური რეაქციების საშუალებით მიიღებს.

### ნანორობოტი და იმუნური სისტემა

მოგეხსენებათ, იმუნური სისტემა მალევე ამოიცნობს ორგანიზმში მოხვედრილ ნებისმიერ უცხო სხეულს; ორგანიზმიდან მათი განდევნისა და გაუვნებელყოფის მიზნით, მასზე იერიში მიაქვს.

ნანორობოტები ჩვეულებრივი უცხო სხეულებია, რომელთაც იმუნური სისტემა სწრაფადვე აღმოაჩენს, მაგრამ რადგან გლუვი ალმაზოიდური სტრუქტურის ნანორობოტები საკმაოდ მცირედ გამოხატულ ლეიკოციტურ აქტივობას ამჟღავნებს და ალმასის ძლიერი ზედაპირული ენერგიის წყალობით მათი გარსი ქიმიურად აბსოლუტურად ინერტულია, იმუნური სისტემის მხრიდან მათზე აგრესია ნაკლებია და შესაბამისად, იმუნური სისტემაც აღარ სდევნის მათ.

### ორგანიზმიდან გამოყოფა

ნანომოწყობილობათა ერთ ნაწილს უნარი შესწევს, დამოუკიდებლად გამოიდევნოს ორგანიზმიდან ადამიანის ბუნებრივი გამომყოფი არხების მეშვეობით, მეორე ნაწილი კი ისე იქნება კონსტრუირებული, რომ მათ ორგანიზმიდან მედპერსონალი სპეციალური ნანოგამომყვანი აპარატის საშუალებით გამოდევნის.

### რა საგებლობას მოიტანს ნანომედიცინა კაცობრიობას?

ნანომედიცინის მთავარ დანიშნულებაა მე-20 საუკუნის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ დაავადებათა სრული განკურნება, მისი მიზანია ტკივილის დამარცხება, ადამიანის სიცოცხლის ასაკისა და მისი გონებრივი შესაძლებლობების გაზრდა.

გვერდი მოამზადა
ზვიად ლონლაძე

## მსოფლიო პრესის მიხედვით

ბოლო საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფოსები, ისტორიკოსები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები, მწერლები... სვამენ ერთსა და იმავე კითხვებს: რა ქვეყანაა რუსეთი, რომელსაც ამოდენა ტერიტორია და ამდენი სიმდიდრე გააჩნია და მაინც ღარიბია და რატომ არის მეზობელი ქვეყნებისთვის ასეთი საშიში და არასტაბილურობის წყარო...

თავისი არსებობის მანძილზე, რუსეთმა ათეულობით ქვეყანა დაიპყრო და უამრავი ერისა და ეთნოსის ისეთი ასიმილაცია მოახდინა, რომ ბევრი მათგანი უკვე გადაშენდა და გაქრა — ჩრდილოეთკავკასიელი და კავკასიელი ეთნოსებით დაწყებული და ისეთი ქვეყნებითა და სახელმწიფოებით დამთავრებული, როგორებიცაა ფინეთი, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, მოლდოვა პრუტის აღმოსავლეთით... უკვე ყველამ იცის — რუსებს უფრო მეტად აინტერესებთ ის, რა ხდება მათ გარშემო, ვიდრე სახლში, ისინი თავიანთ ნიჭსა და ენერგიას არ იყენებენ საიმისოდ, რომ უკეთ და ცივილიზებულად იცხოვრონ, ქვეყანა გაამდიდრონ. რუსები საუკუნეებია, სხვა ქვეყნების ოკუპაციის, სხვა ხალხების ასიმილაციის იდეით არიან შეპყრობილი, უყვართ მათთვის ჭკუის სწავლება, თუ როგორ იცხოვრონ...

ახლა, როცა კაცობრიობა ცდილობს, არსებობისა და თანაარსებობის სხვა ფორმულები გამოიყენოს, რუსეთი მეზობლებთან ურთიერთობაში თავის იმპერიულ ჩვევებს ვერ თმობს. თავის ყოფილ კოლონიებს (ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს) ისევ თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევს და ძველი იმპერიული მეთოდებით ურთიერთობს. ყოფილი ძმური რესუბლიკების პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად, ამ ქვეყნებში მცხოვრებ ეთნიკურ რუსებსა და რუსულენოვან ეთნიკურ უმცირესობებს თავის მთავარ საყრდენად იყენებს. ფაქტობრივად, ეს მოსახლეობა მოსკოვის მეხუთე კოლონის როლს ასრულებს და მისი მეშვეობით რუსეთი სრულიად დაუფარავად და უბოდიშოდ ერევა ყოფილი კოლონიების ცხოვრებაში. ახლახან რუსეთმა ამ მხრივ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი.

# okupaciisa da xalxebis asimilaciis ideiT Sepyrobili ruseTi

## ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მცხოვრები რუსი ეთნიკური უმცირესობა — მოსკოვის მეხუთე კოლონა



რუსეთის პრეზიდენტი რუსეთის ფედერაციის ელჩებსა და უცხოეთში თავის მუდმივ წარმომადგენლებს შეხვდა. მთავარი გზავნილი, რომელიც მათ გადაეცათ, ეხებოდა რუსეთის ახლანდელი საზღვრების მიღმა მცხოვრები „მოქალაქეებისა და თანამემამულეების" უფლებების დაცვას. პუტინის თქმით, დიპლომატიური და საკონსულო სამსახურები ვალდებული არიან, დაიცვან ისინი ეგრეთ წოდებული ნონ-სტოპის რეჟიმით, დაუყოვნებლივ უპასუხონ მათ ნებისმიერ წუხილს, დაეხმარონ და მხარი დაუჭირონ. მისივე განცხადებით, სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ექცევა იგი თავის მოქალაქეებს, რომლებიც მათთვის უცხო გარემოში რთულ და გაუთვალისწინებელ ვითარებაში აღმოჩნდნენ.

რუსეთის პრეზიდენტის აზრით, სახელმწიფომ უნდა გააანალიზოს, ახლებურად და საფუძვლიანად გაიაზროს იმ თანამემამულეთა როლი, რომლებიც უცხოეთში მუდმივად ცხოვრობენ. მან წამოაყენა ახალი იდეა: საბჭოთა კავშირის ყოფილ მოქალაქეებს უფლება მიეცეთ, მიიღონ რუსეთის მოქალაქეობა: „აუცილებლობად მიმაჩნია, კვლავ დავუბრუნდეთ რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების გაიოლებულ ფორმას მათთვის, ვინც საბჭოთა კავშირის მოქალაქე იყო ან საბჭოთა კავშირში და თუნდაც რუსეთის იმპერიაში დაბადებულის პირდაპირი შთამომავალია".

რუსეთის მოქალაქეობის შეღავათიანად მინიჭება, მით უმეტეს ყოფილ საბჭოთა კავშირში მცხოვრები ეთნიკური რუსებისთვის, მტრული ნაბიჯია და მათთვისვე მავნე ქმედებაა. პრაქტიკულად ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში არსებობს იმ ეროვნულ (რუსებს ვგულისხმობთ) უმცირესობათა პრობლემები, რომლებსაც არ სურთ შეისწავლონ ქვეყნის ენა და ვისთვისაც ეს სახელმწიფო საბჭოთა კავშირის შემდეგ მეორე სამშობლო გახდა. ასეთ პირობებში, „ისტორიული სამშობლოდან" გაგზავნილი მსგავსი სიგნალი ეთნიკურ რუსებს კიდევ უფრო არატოლერანტულს გახდის, მოახდენს მათ კონსოლიდაციას აგრესიულ ანკლავებად, რომლებიც პრინციპულად არ ერთვებიან ამ ქვეყნების სულიერ ცხოვრებაში და დაიწყებენ ბრძოლას იმ უფლებების დასაცავად, რომლებსაც არც არავინ არღვევს.

უეჭველია, პუტინის ეს განცხადება ფრთებს შეასხამს ყოფილ საბჭოთა კავშირში მცხოვრებ რუს უმცირესობებს. თუ რუსეთი თავის ყოფილ კოლონიებში მცხოვრებ რუს მოქალაქეებს მართლაც შეღავათიანად მისცემს რუსეთის მოქალაქეობას, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი კვლავ აჩვენებს თავის სახეს — იგი საბჭოთა კავშირისა და რუსეთის იმპერიის უშუალო მემკვიდრეა.

როდისღა უნდა დადგეს ის დრო, როცა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები თავიანთ ისტორიულ პრეტენზიებს წაუყენებენ რუსეთს?

**timpul.ker**

# avRaneTidan egviptemde: demokratiis eqsportis sirTuleebi



**„დასავლეთს სურს, დემოკრატიის თავისი მოდელი მთელ მსოფლიოში გაავრცელოს. არადა, არცთუ შორეული წარსულის მაგალითები ცხადყოფს: ტრადიციების გაუთვალისწინებლად ეს შეუძლებელია.**

2001 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა დაასრულეს თალიბების მმართველობა ავღანეთში. დასავლეთის დახმარებით, ქვეყანამ მიიღო დემოკრატიული კონსტიტუცია და მასთან ერთად — ხალხის მიერ ყოველ 5 წელიწადში არჩეული პრეზიდენტი და ორპალატიანი პარლამენტი, რომელში ქალებისთვის კვოტა დააწესეს. 2009 წელს, როცა პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი გადაირჩიეს, ეუთოს დამკვირვებლები ხმის მიცემისას „ნამდვილ საყოველთაო ფალსიფიკაციაზე" ალაპარაკდნენ. ახლახან, ტოკიოში ავღანეთის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი კონფერენციის დღის წესრიგში მთავარი საკითხი კორუფცია იყო. დემოკრატიული კონსტიტუცია ასეთ დროს უძლურია, აღნიშნავს მიმომხილველი.

„2011 წლის გაზაფხულზე, ჰოსნი მუბარაქის ჩამოგდების შემდეგ, ეგვიპტემ გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია მიიღო... კონსტიტუციით გათვალისწინებულ საპარლამენტო არჩევნებზე ისლამისტებმა გაიმარჯვეს. საკონსტიტუციო სასამართლომ ძველი გვარდიის, სამხედრო საბჭოს მხარდაჭერით, პარლამენტი დაითხოვა. პრეზიდენტმა თავისი დეკრეტით ისევ მოიწვია პარლამენტი, საკონსტიტუციო სასამართლომ კი სხდომის ლეგიტიმურობა არ ცნო. ძალაუფლებისთვის ბრძოლა რელიგიური და სამხედრო ელიტის წარმომადგენლებს შორის ახალ სახელმწიფო ინსტიტუტებშიც გაგრძელდა", — წერს გამოცემა.

„ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები ფორმალურად დემოკრატიულ ქვეყნებში დემოკრატიული კულტურის ნაკლებობას ვითომ განიცდიან, ვითომ არ ესმით და აღშფოთებას გამოხატავენ. არადა, არ ითვალისწინებენ ერთ მარტივ ჭეშმარიტებას — ყველას ერთ თარგზე ვერ გამოჭრი, ტრადიციების გაუთვალისწინებლად „სტანდარტულ დემოკრატიას" იოლად ვერ დაამკვიდრებ. ტრადიციებისა და ახალი მექანიზმების შერწყმაა აუცილებელი.

**Tagesspiegel**

**ბოლოდროინდელი კვლევებით, რომლებიც ინტელექტის კოეფიციენტის განსაზღვრის მეთოდიკას ეფუძნება, დადგინდა — ქალებმა მამაკაცებს გაუსწრეს, წერს გაზეთი La Repubblica.**

„ქალები მამაკაცებზე უფრო ჭკვიანები არიან. ადამი და ევასგან მოყოლებული, შესაძლოა, ყოველთვის ასე იყო, მაგრამ წარსულში მათ არ ეძლეოდათ თავიანთი პოტენციალის გამოვლენა. არც ის არის გამორიცხული, ქალები ასეთები ბოლო ხანს გახდნენ — იმ სტრესის გამო, რაც სამუშაოს და ოჯახის, კარიერისა და სახლის საქმეების შეთავსების აუცილებლობით არის გამოწვეული. ასეა თუ ისე, ქალებს გონებრივი განვითარების კოეფიციენტის ტესტების მაჩვენებლები საუკეთესო აქვთ", — წერს გამოცემა.

# qalebi mamakacebze Wkvianebi gaxdnen



„თანამედროვე ცხოვრების გავლენა ახლაღა ავლენს თავს ქალის ტვინზე", — ამტკიცებს ჯეიმს ფლინი, ავტორიტეტული ფსიქოლოგი, ავტორი წიგნისა, რომელშიც გაანალიზებულია ქალების ამ სფეროში „გასწრება".

პროფესორმა ფილინმა ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაადგინა, რომ დასავლეთის ქვეყნებში მაინც, IQ-ს ტესტის შედეგები ყოველ ათ წელიწადში საშუალოდ სამი პუნქტით მატულობს. მაშასადამე, ნებისმიერი თანამედროვე ადამიანი თავის წინაპრებს გონებრივი განვითარების დონით 30 პუნქტით უნდა სჯობდეს. „თანამედროვე სამყაროს სირთულე აიძულებს ტვინს, შეეგუოს ახალ რეალობას და ჩვენს IQ-საც იძულებით ზრდის", — ასეთია პროფესორის დასკვნა.

თანამედროვე ცხოვრებამ, როგორც ჩანს, უფრო მეტი გავლენა მოახდინა ქალებზე, ვიდრე კაცებზე. პროფესორი იკვლევდა ახალი ზელანდიის, ესტონეთისა და არგენტინის მცხოვრებთ და აშკარად გამოჩნდა, რომ ქალებმა IQ-ს მაჩვენებლებით კაცებს აჯობეს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია, რადგან ასეთი რამ პირველად ხდება. „საუკუნეების განმავლობაში, ქალები არახელსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ, იჩაგრებოდნენ. ახლა, როცა ისინი დამოუკიდებლები გახდნენ, თავის გამოჩენაც შეძლეს", — ამბობს მეცნიერი.

**La Repubblica**

**მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**

## მოგზაურობა სამშობლოში




***ამიერიდან ჩვენს მკითხველს ჯავახეთში — საქართველოს იმ უძველეს მხარეში გავუძღვები სამოგზაუროდ, რომელიც ისტორიული საბუთებითაც კი ძვ-წ-აღ.ის VIII საუკუნეებიდანაა ცნობილი — ურარტუს მეფე არგიშტ I ძვ. წ.აღ.ის 785 წლით დათარიღებულ წარწერაში მის მიერ დაპყრობილ მხარეებში ასახელებს ზაბახას, რომელიც ქართულად ზევახად და ჯავახად გამოითქმის. ორივე სახელი შემდგომში პირთა სახელებადაც იქცა (ისევე, როგორც კახა კახეთიდან, ჰეროსი ჰერეთიდან და ქართლოსი ქართლიდან).***

***საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებით, ჯავახეთში ხეობებითა და ხევებით ვერ ვიხელმძღვანელებთ, რადგან მტკვრის კანიონს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მთელი ეს მხარე ორი დიდი, მთიანი ზეგანია, რომელიც მცირე მდინარეებითაა დაქსაქსული და არა დასაზღვრული. სხვადასხვა წყაროს მიხედვით ჯავახეთი ძირითადად ორ ადმინისტრაციულ ერთეულად ყოფილა დანაწევრებული. ფარავნის ტბიდან ძირითადი მტკვრის (არტანულას) ხევამდე არსებულ ზეგანს ზემო ჯავახეთი რქმევია, უშუალოდ ძირითადი მტკვრის ხეობას და მისგან დასავლეთით მდებარე ზეგანს — ქვემო ჯავახეთი. ამ მხარის უბადლო მცოდნე დევი ბერძენიშვილი ჯავახეთს დამატებით 4 ფიზიკურ-გეოგრაფიულ ქვერაიონად ჰყოფს: 1) ჩრდილოეთი — ჭობარეთ-ტაბისყური, 2) ცენტრალური — ახალქალაქის ვაკე, 3) სამხრეთი — კარწახ-ფარავანი, 4) დასავლეთი —ნიალი.***

***პირველი რაიონი, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში შემავალ გურჯისტანის ვილაიეთის ხერთვისის ლივაში შედიოდა, ტყე-ჯავახეთადაა მოხსენიებული. იგი ოდესღაც ტყიანი რომ ყოფილა და მერე გადასხვაფერებულა, სამსარის კომპლექსის წარწერა და ის ლეგენდა ადასტურებს, რომელიც ბარალეთში მოვისმინე. მათ შესახებ სათანადო ადგილზე გიამბობთ, ახლა კი მოგზაურობას შევუდგეთ.***

# naavdrali broweuli

## ტყე-ჯავახეთი



ჯავახეთში სხვადასხვა მხრიდან რამდენიმე გზა შედის, მაგრამ ჩვენ რაკი უწინარესად ტყე-ჯავახეთი გვაინტერესებს, ამ მიკროქვეყანაში ბორჯომ-ბაკურიანის გავლით და **ცხრაწყაროს უღელტეხილის** გადავლით შევდივართ.

საოცარია მზის ამოსვლა ცხრაწყაროზე წლის თითქმის ნებისმიერ დროს. სინათლე სწრაფად ჩამორბის შავი კლდის კალთებზე და გრძელ მინდორზე ჩერდება. ეს დიდი, გრძელი ზეგანი თრიალეთის მიკროქვეყნის დასაწყისია, ვიწრო ზოლად გაწოლილი ღელე კი **ქციის (ხრამის)** სათავეა, რომელიც ცხრა წყაროთი იკვებება. ამ ადგილს **ქცია-ნარიანი** ჰქვია და დიდებული ცხვრის საზაფხულო იალაღია. მის გადაღმა, სამხრეთით ტაბაწყურის ტბა და ტყე-ჯავახეთია. ჩვენი მეგზური, ბორჯომის რაიონის კულტურისა და ძეგლთა დაცვის მაშინდელი განყოფილების უფროსი მამია შარიქაძე გვირჩევს, რომ შუბლზე ქციის ანკარა წყალი ვიპკუროთ და ხემსი მივიღოთ. ახალამოსულმა მზემ ნამი ორთქლად აქცია და კორდებს ნისლი აადინა, რომელსაც ქვევიდან ცხვრის ფარა და ძაღლების ყეფა ამოჰყვა.

40 წუთის ჯაყჯაყის შემდეგ (ახლა ეს გზა ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანის შემდეგ საგრძნობლად გამოსწორდა) **ტაბაწყურის ტბა** გამოჩნდა. მართალია, ჯერ კიდევ ბორჯომის რაიონში ვიმყოფებით, მაგრამ ეს ისტორიული ჯავახეთია. იქ, სადაც ცალკე თრიალეთზე და თავკვეთილას მთაზე საუბრობს, ვახუშტი ბატონიშვილი „ტბის ყურის" ტბასაც ახსენებს და ამბობს: **„წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო"**. ამ დახასიათებას აუცილებლად უნდა დაემატოს სიტყვა „ცივი", რადგან ტბის შუაგულში წყალი ისეთი ცივია, რომ შეიძლება თითები დაგაზროს.

არის თქმულების ორი ვარიანტი, რომლის თანახმად **ეს ტბა მდინარე ქციის გადმოგდებით შეიქმნა თამარ მეფის თუ ვახტანგ VI-ის დროს.** იქიდან გამომდინარე, რომ ტაბაწყური მდიდარია თევზით, რა თქმა უნდა, იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ აქ ოდესღაც მართლაც ქციიდან გადმოადინეს წყალი, მაგრამ ის, რომ ვულკანური ტბა მიწისქვეშა წყაროებით საზრდოობს და ამჟამად ქციასთან არანაირი საერთო არა აქვს, ეს უდავოა. **სარკის ფართობით ტაბაწყური ჩვენში მხოლოდ ფარავანს და პალიასტომს ჩამორჩება, მაგრამ სიღრმით ყველაზე მეტია და როცა ღელავს, მრისხანე შესახედავია.**

ტბას აქვს ერთი მინიატურული კუნძული და ერთიც ნახევარკუნძული, რომელზეც სოფელ ტაბაწყურის ძველი უბანია შეფენილი. ერთ დროს აქ მცხოვრებ მოსახლეობას ვახუშტი თრიალეთის მკვიდრებად მოიხსენიებს და ასე ახასიათებს: **„ხოლო არიან კაცნი თრიალელნი მოსილნი ვითარცა დბანისხეველნი** *(ე.ი. გრძელი ჩოხები მოსავთო —* ***გ.ქ.****)*, **სიმხნე-ჰაეროვნებითაცა ეგრეთნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლითა".**

1828 წლის შემდეგ, როცა რუსეთის მთავრობამ აქ ბარალეთელი სომხები ამოიყვანა, ქართველები ნელ-ნელა გაქრნენ. 1850-1860 წლებში სოფელში მხოლოდ 2 ქართული ოჯახი იყო დარჩენილი, ახლა კი ისინიც აღარ არიან, თუმცა აქა-იქ ისეთ ადამიანებსაც შეხვდებით, რომლებიც ქართულ წარმომავლობაზე საუბრობენ. 1947 წელს ნიკო ბერძენიშვილი ტაბაწყურში გასომხებულ სანდოძეებს შეხვედრია. ერთ-ერთ მათგანს **მარკოზ სანდოძეს** ქართული ისევ ხსომებია და მეცნიერისთვის ასეთი ხალხური ლექსი უთქვამს: **„ქციით რუ ვადინევი და ხონის ტბა ვადიდევიო"**. ეს სტროფი, გარდა იმისა, რომ ზევით მოტანილ თქმულებას ეხმიანება, იმასაც გვიმხელს, რომ ტაბაწყურს ადრე ხონი რქმევია. სოფელს რომ ხონი ერქვა და ჩვენც ქართველები ვიყავით, ამის საბუთი „ბეჟენცობის" დროს დავკარგეთო — უთქვამს მარკოზს.



სოფლის ამ უბანში დგას სწორედ X საუკუნის ნაეკლესიარი — დიდი და სუფთად გათლილი წითელი ქვით ნაგები ტაძარი, რომელიც 1940 წლის მიწისძვრას შუაზე გაუხლეჩია და კედლები მიწაზე გადაუწვენია დაურღვევლად. ნაავდრალ ბროწეულს ჰგავს წითელი ტაძარი, რომელსაც სწორედ **„წითელი საყდარი"** შემორჩენია სახელად. კედლებზე გვხვდება მრავალი აპოტროპული სიმბოლო: ე.წ. ბოლნური ჯვრები, ვარსკვლავები, გეომეტრიული ფიგურები და სხვა. დასავლეთ კედელზე ამოკვეთილია საინტერესო სიუჟეტები: „სამოთხის მცველები", „წმინდა მხედრები", „დანიელი ლომების ხაროში".



ტაბაწყურის ტაძრის გარე ხედები და ინტერიერის ერთი კუთხე

შემონახულია გადმოცემა, რომ ტაბაწყურის წითელი საყდრის წარწერიანი ქვა, როგორც ისტორიული საბუთი, ამ სოფელ-კუთხის გვიანდელ მფლობელებს, თავად ციციშვილებს კედლიდან ამოუღიათ. ის წარწერა მათ სასარგებლოდ არ იქნებოდა, რადგან X საუკუნეში — ტაძრის აგების დროს ციციშვილ-ფანასკერტელები აქედან შორს, ტაოში ცხოვრობდნენ.

ამ ნატაძრალიდან ჩრდილო-დასავლეთით კიდევ ერთი ეკლესიის ნაშთია შემორჩენილი (იგი ამჟამად შეკეთებულია), მაგრამ, მხატვრული თვალსაზრისით, იგი წითელ საყდარს ვერ შეედრება.

დღის მეორე ნახევარში ტბის სამხრეთ-დასავლეთ კიდეში მდებარე მეორე სოფელში, **მოლითში** შევდივართ, სადაც იქაური კულტსახლის გამგე გვხვდება. რაფაელი (ასე ჰქვია ჩვენს მასპინძელს), ისევე როგორც ყველა მოლითელი, სომეხია, მაგრამ ქართული კარგად იცის. მას ახლახან დაწვია სახლის ზედა სართული და ახლა ქვევით ცხოვრობს. პირველი სართული ძველი ყაიდისაა: საძინებელ ოთახს საქონლის სადგომისგან ფიცრული კედელი ჰყოფს. წინ დერეფანია, სადაც ყველისა და ერბოს კასრები დგას და ცხვრის ტყავები ჰკიდია. იქვეა საოსტიგნე და მცირე ცხვრის ბაგა. შორიახლო კრუხი ბუდობს. ჩვენი სასტუმროც ესაა...

რაფაელი კიდევ ერთ ქართულის მცოდნეს გვაცნობს, რომელსაც კარგა ხნის წინათ თბილისში უცხოვრია, ახლა კი აქ სადურგლო საქმიანობას ეწევა. იგი ქალაქურ ბაიათებს ხან სომხურად, ხან ქართულად მღერის და სომხეთიდან ჩამოსულ ქალიშვილს ქართულის სწავლას ურჩევს.

**ტაბაწყურის ტბა ზღვის დონიდან 1989 მეტრის სიმაღლეზეა, სოფელი მოლითი კი უფრო მაღლაა — 2030 მეტრზე.** ჯავახეთის ისედაც გრძელი ზამთარი აქ კიდევ უფრო ხანგრძლივია.

მოლითი, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზეც არის აღნიშნული, ძალიან ძველი სოფელი ჩანს. ციკლოპური ქვებით ნაშენი ყორე-ქუჩაბანდის ბოლოში, ტბის მხარეს, გამოდის გვირაბი, რომელიც სოფლის შუაში შემორჩენილი ნაეკლესიარიდან უნდა იწყებოდეს. **ეს ძეგლი წითელ საყდარზე მძიმე დღეშია და ძალიანაა დანგრეული. სომხებს X-XI საუკუნეების მართლმადიდებლური ტაძრის გადარჩენილი საკურთხევლის აფსიდის გადაკეთება და საკუთარი სამლოცველოს მოწყობა უცდიათ ერთხანს, მაგრამ შემდეგ განზრახვაზე ხელი აუღიათ და თავიანთი კუთხე ცალკე მოუწყვიათ.** მოლითის ტაძარიც უმეტესად წითელი თლილი ქვითაა ნაგები, მაგრამ მისი შტრიხების დეტალური გაცოცხლება შეუძლებელია.

სოფლის საერთო ხედის გადასაღებად რაფაელის ნავში ვსხდებით და ტბის შუაგულისკენ მივცურავთ. აქამდე რომ მხოლოდ ერთი ციკლოპური ყორე გვეგონა მოლითში, ტბიდან მთელ გაყოლებაზე არაერთ ასეთ კედელს ვხედავთ. საოცარი სანახაობაა: X საუკუნის თუ უფრო ადრინდელ მეგალითურ კედლებზე თანამედროვე სოფელი წამოსკუპებულა და ეზოებიდან ჭრელაჭრულა სარეცხს აფრიალებს ბაიარაღებივით.

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები

მოლითის ტაძრის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან;
წერილის ავტორი და მამია შარიქაძე მოლითის ერთ-ერთ ციკლოპურ კედელთან





ჯემალ დავლიანიძე

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

### „მათი მიზანია გაანადგურონ ერის ცნება“

**(ზვიად გამსახურდია აგრძელებს საუბარს კორესპონდენტთან)**

„-რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?

-ჩვენ მივისწრაფოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისაკენ. არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო (რაც დღეს უკვე სახეზეა! — ჯ.დ.). დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის ე. შევარდნაძის მოსვლისა, მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ, კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა, - სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთო ევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია გაანადგურონ ერის ცნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი სათავეში მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი, რისი არსიცაა: განადგურება სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა, ძალები, რომელთაც ეკისრებათ მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხებით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ უბრალო ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისათვის საჭირო რაოდენობით. ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისათვის. ამ ზრახვათა განხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს, ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია. ეს შემთხვევით, სტიქიურად აალებული კონფლიქტი კი არ არის, არამედ მიზანმიმართულად გაჩაღებული ომია, რომელშიც უნდა დაიფერფლონ ეროვნული იდეის მატარებელი ხალხები. დღეს დასავლეთს იუგოსლავიის მოდელი დასავლეთიდან გადააქვს კავკასიაში, სადაც ბალკანეთის მსგავსად ხელოვნურად მწვავდება ეროვნებათაშორისი დაძაბულობა. შემდგომში ხან აქ, ხან იქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემენ საბაბს პირდაპირი სამხედრო ჩარევისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით. სულ ახლახან გაკეთდა განცხადება, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს ასი ათასი კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. ფრიად საყურადღებოა, რომ ამასთან დაკავშირებით მოხსენებული იქნა კავკასია და იუგოსლავია... ასეთია არსი ახალი მსოფლიო წესრიგისა და დასავლეთის პოლიტიკისა, რომელნიც მიმართულია მსოფლიოს ყველა ხალხის თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.



-ბატონო პრეზიდენტო, თქვენ განზრახული გქონდათ ისეთი სახელმწიფოს აშენება საქართველოში, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნული ინტერესებისკენ. რა მიგაჩნიათ უმთავრეს პირობად ეროვნული სახელმწიფოს აშენებისათვის?

-პირველ რიგში აუცილებელია შემუშავება ისეთი მექანიზმისა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყანაში მოსახლე ყველა ეროვნების ურთიერთთანხმობის მიღწევას, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების განუხრელ დაცვას... წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო კოსმოპოლიტური ძალები, რომლებზედაც ვლაპარაკობთ, უსათუოდ შეეცდებიან რომელიმე ეროვნების უკმაყოფილება გამოიყენონ სახელმწიფოს რღვევისათვის. ეს მათი ნაცადი და ქმედითი ხერხია. თვითგამოკვლევის პრინციპი, რასაკვირველია არ უნდა დავიდეს აბსურდამდე. მაგალითად, თუ დღეს რუსეთში ვოლგისპირელმა გერმანელებმა გერმანული სახელმწიფოს შექმნა მოინდომეს, ეს ყოვლად დაუშვებელ მოთხოვნად უნდა შეფასდეს.

### ზვიად გამსახურდია: „ეროვნება არა აქვს ცხოველს“

-რატომ ქმნიდით მაინც და მაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ, რაში სჭირდება ადამიანს ეროვნება თქვენი თვალსაზრისით?

-სწორედ ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს. სარწმუნოება და ეროვნებაა ის ძირითადი თვისებები, რომელნიც ადამიანს სხვა სულიერისგან განასხვავებენ და მისთვის ამ განსხვავებული თვისების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე. დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების დეგრადაციისა. დენაციონალიზაცია წინაპართა და წარსულის უარყოფაა, ადამიანის სრული მოკვეთაა ეროვნული ფესვებისგან. კაცი ადამიანურ არსს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის წიაღში ინარჩუნებს. ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან, იგი მშობლიური კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას, ამდენად ნაციონალიზაცია ადამიანისა და დენაციონალიზაცია ქვეყნისა, წყვეტენ მათ კავშირებს დანარჩენ სამყაროსთან და დაუცველს ტოვებენ მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული კოსმოპოლიტური ძალების წინაშე.

-რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?

-ეს რეგიონი ძალზე მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათა შორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისათვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის. წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისათვის. რუსეთიც კავკასიას ოდითგანვე განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მიისწრაფვის ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გავლენა გაავრცელოს ამ რეგიონში და მოახდინოს მისი ოკუპაცია, მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბალკანიზაციის“ გარეშე. სწორედ ამ გეგმის ხორცშესხმისათვის — კავკასიის მეორე ლიბანად გადაქცევისათვის არის გამოგზავნილი შევარდნაძე. მან, მაგალითად, ამას წინათ პირდაპირ მოუწოდა ნატოს, ჩაერიოს კავკასიის საქმეში.

—როგორ აფასებთ რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებას და მის პოლიტიკას კავკასიაში?

-რუსეთის პოლიტიკა დიდ ზიანს აყენებს არა მხოლოდ კავკასიის ხალხებს, არამედ თავად რუსეთის სამომავლო ინტერესებსაც. ასე მაგალითად, ელცინის ხელისუფლება არ სცნობს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. იგი ვერ ამჩნევს, რომ ამით ამწვავებს ანტირუსულ განწყობილებას რეგიონში. ამ დროს კი საკმარისია, რუსეთმა სცნოს რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძენს ყველაზე ერთგულ მეგობრებს, რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს და პირველისადმი აშკარად არაკეთილგანწყობის საპირისპიროდ გარკვეულ მისწრაფებას განიცდიან რუსეთისადმი, როგორც მფარველისადმი დასავლური ექსპანსიისგან.

### ზვიად გამსახურდია: „მუდამ მივესწრაფვოდით მჭიდრო კავშირს რუსეთთან“

-ბატონო პრეზიდენტო, თავად თქვენ როგორ ეკიდებით რუსეთს?

-ძალიან კარგად. ვიმედოვნებ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს! მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება. მე მიმაჩნია, რომ როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შეესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გაღმიდან აქვს თავს მოხვეული. ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივესწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით, მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისა. ისინი განაგრძობენ ეთნიური კონფლიქტების გაჩაღებას კავკასიაში. შედეგად ჩვენ ვდგავართ ამ კონფლიქტების დიდ ომში გადაზრდის სავსებით რეალური საფრთხის წინაშე. მე იმედი მაქვს, კონფლიქტში ჩათრეული ხალხების, პირველ რიგში რუსი ხალხის საღი აზრისა და გონიერებისა. ვიმედოვნებ, იგი შეიგნებს, თუ ვინ და რა ინტერესების კარნახით უბიძგებს რუს ჯარისკაცებს ახალი კავკასიური ომის უფსკრულისაკენ. ამ ომში ვერც ერთი მხარე ვერ იქნება გამარჯვებული, მხოლოდ დასავლეთი მოითბობს ხელს ახალი ომის ალზე. მე მწამს ხალხთა სიბრძნისა. ეს არის უკანასკნელი, რამაც უნდა გვიხსნას კატასტროფისაგან“.

ზვიად გამსახურდიას ამ პასუხებში, უკვე ყოველივე თავის ადგილზეა. ნათლადაა გამჟღავნებული ევროამერიკული იმპერიალიზმის ჩანაფიქრი. აღიძვრის კითხვა: სამხედრო გადატრიალებამდე, ზვიად გამსახურდიამ იცოდა ეს ყველაფერი თუ ამ სამხედრო პუტჩის შემდგომ მივიდა ასეთ დასკვნებამდე?

პასუხი ცალსახაა — ზვიადმა ადრეც იცოდა ევროამერიკული გეგმების შესახებ, მაგრამ ბოლომდე მაინც არ სჯეროდა. ამიტომ თავს იკავებდა ხმამაღალი განცხადებებისაგან.

ევროამერიკა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობას კი არ ებრძოდა, არამედ იმ საქართველოს, იმ განწყობას, ხალხის იმ ერთსულოვნებას, იმ აღმშენებლობას, იმ აღმაფრენას, იმ სულიერებას, რომელიც ასე ძალუმად ამოიფრქვა იმ წლებში.

შევარდნაძემ პირდაპირი დავალება მიიღო ევროამერიკელი უფროსებისგან — ეხელმძღვანელა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ აგორებული საპროტესტო გამოსვლებისათვის და გაეძლიერებინა. თანაც, უმთავრესში თვითონვე ხელს უმართავდნენ. მოიმარჯვეს პრესა-ტელევიზია, დაიქირავეს სულგაყიდული ე.წ. ქართველი ექსპერტები, პოლიტოლოგები, ჟურნალისტები, მწერლები, პროფესორები, აკადემიკოსები, ყაჩაღები, სისხლის სამართლის დამნაშავეები, გამოჰყვეს სათანადო დაფინანსება, გამოგზავნეს ტყვია-წამალი, იარაღი...

ამ საშინელ სცენაზე კი, წინა პლანზე, მთავარ როლში აუცილებლად რუსეთი უნდა ყოფილიყო. ევროამერიკას ჯერ საბჭოთა კავშირში, შემდგომ კი რუსეთის ფედერაციაში, ხელისუფლების ზემო ეშელონებში ჰყავდა საკუთარი წარმომადგენლები და ამ მხრივ უზრუნველყოფილი იყო ყველაფერი. ძველებურად აამუშავეს კავკასიაში მოთარეშე, ფულის მძებნელი ე.წ. ბოევიკები. გაავრცელეს ჭორი, რომ ქართველები არიან აგრესორები და სურთ აფხაზი და ოსი ხალხების გენოციდი. რაც მთავარია, საამისოდ უკვე დიდი სამუშაოები უკვე ჩაატარა შევარდნაძემ ჯერ კიდევ კომპარტიაში, შემდგომ კი მოსკოვში მუშაობისას.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14–31

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# zafxulis zRvaze _ gadatanili infeqcia, sazafxulo romani, Sewyvetili fexmZimoba, dacarielebuli biujeti da depresia

ზაფხული – შვებულებების გამოყენების ყველაზე ოპტიმალური დრო საქართველოში, დრო, როცა ყველა ცდილობს ქალაქიდან გავიდეს, დაისვენოს, გაირუჯოს, და ახალი შთაბეჭდილებებით დაბრუნდეს სახლში. უმრავლესობა ზღვაზე დასვენებას არჩევს, ყველას უყვარს ცურვა, გარუჯვა, მზის აბაზანების მიღება, თუმცა, ცოტამ თუ იცის, რომ ამ სიამოვნებას, შესაძლოა დიდი უსიამოვნებები მოჰყვეს ჯანმრთელობის და არ მხოლოდ ჯანმრთელობის მხრივ.

ვისაც საკუთარი მანქანა არ ჰყავს და არც იმდენი ფული აქვს რომ საზღვარგარეთ დაისვენოს, ზღვისპირა ქალაქში მატარებლით მიდის. ფასები წელსაც უცვლელია, ჩქაროსნულ მატარებელში კუპირებული ბილეთი – 20 ლარი, ხოლო ე.წ. რბილი კი 40 ლარი ღირს. მართალია, ჩქაროსნული მატარებელია, მაგრამ ბათუმში მხოლოდ 7 საათსა და 5 წუთში მოხვდებით, და თუ ფიქრობთ, რომ ან 20 ლარიან ბილეთში, ან 40 ლარიანში, თუნდაც ყავა ან ჩაი შედის, ძალიან ცდებით, ამისათვის თანხის დამატება მოგიწევთ.

რაც შეეხება ფასებს საზღვაო ქალაქებში: ყველაზე იაფი წელსაც გრიგოლეთია. თუმცა, იგივე არ ითქმის სასტუმროებ "ანდამასტსა" და "ვილა რეტაზე", რომლებიც არა მარტო გრიგოლეთში, არამედ საერთოდ, ზღვისპირა ზოლში ერთ-ერთი ლიდერი სასტუმროებია. კომფორტისა და შესაბამისად სიძვირის გამო, აქ უმეტესად უცხოელები და ხელისუფლების წარმომადგენლეები ჩერდებიან. შედარებით მაღალი ფასებია შეკვეთილში. შეკვეთილი ყველაზე წყნარი ადგილია დასასვენებლად, ამიტომ ამ ადგილს ხშირად სტუმრობენ ცნობილი ადამიანები, რომ ხმაურსა და ცნობისმოყვარეთა მზერას მოერიდნონ. კიდევ უფრო იწევს ფასი ურეკში, სადაც თითქმის იგივე ბუნებაა რაც შეკვეთილში, მაგრამ კომფორტია მეტი, უკეთესი რესტორნები და სასტუმროებია წამოჭიმული და საღამოობით მხიარულების მოყვარული ახალგაზრდები ხმაურიანად და საფუძვლიანად ერთობიან.





პირველი გლობალური პრობლემა, რომელიც ბათუმში დაგვხვდებათ – ეს კოლოებია, ხოლო მეორე ფაღარათით და გულისრევით მიმდინარე ენტეროვირუსები – რასაც ძირითადად დაბინძურებული ზღვის წყალი იწვევს. ბათუმში ყველა ქუჩის გაგრძელებაზე არის კოლექტორი, სულ 14 კოლექტორია, რომლებიც ზღვაში ჩაედინება. ფეკალურ მასებს თვალით ადვილად ვერ შევამჩნევთ, მაგრამ მგონი მაინც სჯობს იცოდეთ ვისთან და რასთან ერთად ბანაობთ ლურჯ-ყავისფერ ზღვაში – განავალის 75 % წყლისაგან შედგება, (ეს უკვე კარგია) დანარჩენი 25% შემადგენლობაში შედის ბაქტერიები, ცხიმები, მარილები, მკვდარი უჯრედები, ლორწო და ცოცხალი ბაქტერიები – აი სწორედ ეს ბაქტერიები (გოგირდისა და აზოტის მადლით) წარმოქმნიან შავი ზღვის საგანძურის სპეციფიკურ სუნს. გავრცელებული სიბრძნე, რომ ექსკრიმენტი არ იძირება – არ შეეფერება სიმართლეს – მხოლოდ გაზებით უმდიდრეს ფეკალიებს ახასიათებთ ტივტივი.

გასული წლის ზაფხულში ზღვაზე ბანაობის შემდეგ ინფექციური დაავადებებით საავადმყოფოში ბევრი ბავშვი მოხვდა. ყოველწლიურად ბათუმში უამრავ ადამიანს აღინიშნება სხვადასხვა სახის ვირუსული დაავადება – დიზბაქტერიოზი, ჩაწითლებული თვალები, დაგუბებული ყურები ქავილით, დაავადებული კანი და ბევრი, ძალიან ბევრი ონკოლოგიური დაავადებები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზღვაზე მეც დავდივარ და არც სხვები დაიშლიან ბანაობას, ამიტომ ვეცადოთ შედარებით სუფთა ადგილები ვიპოვნოთ საბანაოდ - სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გაბატონებული დინების გამო, ბათუმში მასები გადადის ჩრდილოეთით. ეს ყველაფერი აირეკლება ბათუმის კონცხზე და შედის ზღვის სიღრმეში. ამიტომ მწვანე კონცხი და ქობულეთი ამ ზეგავლენისაგან მეტნაკლებად დაცულია. რაც შეეხება ბათუმს, აქ შედარეებით სუფთა ადგილებია ე.წ. "პიშევიკების" ტერიტორია ბურუნთაბიეს კონცხიდან იახტკლუბამდე, ასევე სარფის და გონიოს სანაპიროები.

ყველაზე ბინძური სანაპირო კი ქალაქის დასაწყისში - "ბენზეშია". "ბენზე" უბანს ეწოდება და იმიტომ დაერქვა რომ აქ ადრე, საბჭოთა კავშირის დროს ბენზინგადამამუშავებელი ქარხანა მუშაობდა და ფაქტიურად პირველი დასახლებაც სწორედ ქარხნის მუშებისგან შედგა. ამბობენ, ქარხნიდან ნარჩენები გაუფილტრავად ჩაედინებოდა ზღვაშიო. ნავთობის ნარჩენები ზღვის ფსკერზე დაილექა და დღემდე ვერ მოახერხა ზღვამ მისი გაწმენდაო. მართალია, ზღვას აქვს თვითგაწმენდის უნარი, მაგრამ ალბათ, არა ამ რაოდენობის სიბინძურისა. "ბენზესა": და ახლომახლო უბნებში, ხან პლიაჟზე ქვაზე იპოვნით მაზუთს, ხანაც ზღვიდან ამოხვალთ მაზუთით დალაქავებული საცურაო კოსტუმით.

გინეკოლოგები თვლიან, რომ ზღვიდან დაბრუნებისთანავე ყველა ქალმა უნდა ჩაიტაროს გინეკოლოგიური კვლევა, რადგან უცხო გარემოში, უცხო მიკროფლორით, შესაძლოა უნებლიე დაინფიცირება მოხდეს, შედეგი კი საკმაოდ გვიან გამოვლინდეს, რადგან ინფექციების დიდ ნაწილს აქვს ფარული და ვერაგი მიმდინარეობა. თუ ტრიხომონია ან ჰონორეა დაემართა ადამიანს, ის ამას მაშინვე, პირველივე კვირაში მიხვდება, ინკუბაციის პერიოდის გასვლისთანავე (ქავილი, არასასიამოვნო სუნი, ჭარბი გამონადენი, ტკივილი და წვა შარდვისას და სხვა) მაგრამ, სხვა პათოლოგიების დროს ეს სიმპტომები კლინიკურად არ ვლინდება და ჩუმად აზიანებს ორგანიზმს. საბოლოო ჯამში აღმოჩნდება რომ მილებია დაზიანებული, ან შეხორცებული – რაც უშვილობის გამომწვევი მიზეზია. ბოლო დროს საკმაოდ ხშირია ე.წ. მიქს-ინფექციები – ამ დროს ხვადასხვა ინფექცია ერთადაა შერეული და ხდება ადამიანის რამდენიმე დაავადებით ერთდროულად დასნებოვნება. თუმცა მიქს-ინფექცია, თითქმის შეუძლებელია მხოლოდ ზღვას და ან პლიაჟს დააბრალო – რადგან როგორც წესი, ის შემთხვევითი კონტაქტის არასასურველი "საჩუქარია".

რა წესები უნდა დავიცვათ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად საზღვაო ქალაქში? – არ უნდა იწვეთ მზის სხივების ქვეშ როცა მზე ზენიტშია, არ გაატაროთ დიდი დრო სველ საცურაო კოსტიუმში და მოერიდეთ შემთხვევით კონტაქტებს.



ადამიანს აქვს როგორც ზოგადი, ისე ლოკალური იმუნიტეტი. ლოკალურ ანუ ადგილობრივ იმუნურ სისტემაში შედის გენიტალიური ორგანოები. თუ დაირღვა მჟავატუტოვანი წონასწორობა, მაშინ ორგანიზმში პრობლემებიც ჩნდება. ზღვის წყალი მარილიანია და შესაბამისად იქ დიდხანს ყოფნამ შესაძლოა დაარღვიოს მჟავატუტოვანი წონასწორობა. თუ ასეთი ხანგრძლივი ბანაობის შემდეგ სველი საბანაო კოსტიუმით მზეს ხანგრძლივად მიეფიცხებით ლოკალური სასქესო ორგანოების გადაციება მოხდება. თან, გაითვალისწინეთ ისიც, რომ არსებობს მიკროფლორის გარკვეული სახეობები, რომლებიც მშრალ საცვალზე არ გადადის, სველზე კი ადვილად იკიდებს ფეხს. და ადვილად მრავლდება.



და კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რომელიც საზღვაო ქალაქიდან დაბრუნებულ მანდილოსნებს აქვთ – არასასურველი ფეხმძიმობაა. მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით წელიწადში მსოფლიოში 46 მილიონი აბორტი კეთდება. აქედან 19 მილიონი რისკიანი და საშიში, რადგან არარეგალურად კეთდება ჭუჭყიან და არაჰიგიენურ ადგილებში. როგორც გინეკოლოგები ამბობენ აბორტის გაკეთების მოთხოვნით, ამ ბოლოს, ხშირად მიმართავენ 14-19 წლის გოგონები. კანონით აკრძალულია 18 წლამდე აბორტის გაკეთება, ამიტომ ექიმები ამ თემაზე ღიად საუბარს ერიდებიან, მაგრამ პირად საუბარში ყველა კლინიკის გინეკოლოგი აღიარებს, რომ ბოლო დროს პროცენტულად ყველაზე ხშირად აბორტს სწორედ 14-დან 19 წლამდე გოგონები იკეთებენ. უმეტესად ისინი დედებს, ან ბებიებს მოჰყავთ, ზოგს დაქალი მიჰყვები და ძალიან იშვიათად რომელიმე გოგონას პარტნიორი მამაკაცი მიჰყვეს. გაგიკვირდებათ და 21-ე საუკუნეში არალეგალური აბორტებიც ხშირია, რადგან 14 წლის გოგონა გვიან ხვდება რომ ორსულადაა, ან ექიმთან მისვლამდე ექიმბაშთან ცდის ბედს, რაც იმით სრულდება რომ ბოლოს მუცელგაბერილი და 4 თვის ფეხმძიმე მიდის არასასურველი ფეხმძიმობის შესაწყვეტად. რამდენიმე გინეკოლოგი მესაუბრა კოლეგებზე, რომლებიც სახლის პირობებში არალეგარულ აბორტებს აკეთებენ. მსგავს პირობებში მომსახურებაც ნაკლები თანხა ღირს. ერთ გინეკოლოგს კი ისეთი შემთხვევაც ჰქონდა, როცა 18 წლის მოზარდმა მასთან მეშვიდედ გაიკეთა აბორტი. 50-60 პროცენტისთვის ის ერთი აბორტიც კი ბოლოა და უშვილო რჩება. ყველაფერი იმით იწყება, რომ მშობლები ან მეტისმეტად ენდობიან შვილებს და უფლებას აძლევენ ღამის 2-3 საათამდე კლუბებში იარონ, ან უბრალოდ არ სცალიათ შვილებისთვის. გარდა ამისა, საქართველოში მოზარდები ინფორმაციას სქესობრივი კავშირის კულტურის შესახებ ქუჩიდან დამახინჯებული, ვულგარული ფორმით იღებენ. დაუცველი სქესობრივი კავშირის დროს, მხოლოდ დაფეხმძიმების რისკი როდია მაღალი, ასევე ხშირია ინფექციური, დაავადებებით დასნებოვნება, ამიტომ გინეკოლოგებს მიაჩნიათ რომ ფეხმძიმობის სწორი დაგეგმვისა და სექსუალური ცხოვრების დროს თავის დაცვის საშუალებებზე, მოზარდებს აუცილებლად უნდა ეკითხებოდეთ ლექციების კურსი. დანიაში სქესობრივი აღზრდის სკოლის შექმნას 150 წელი მოანდომეს. იგივე მოდელის შექმნა იგეგმებოდა საქართველოშიც, მაგრამ დიდი წინააღმდეგობის გამო, ეს პროექტი ჩაიშალა. საქართველოში თვლიან, რომ 15 წლის გოგონასა და ბიჭს ამ თემაზე საუბარი არ სჭირდებათ, შემდეგ კი იგივე მშობლებს 14 წლის ქალიშვილი არაკანონიერი აბორტის გასაკეთებლად რომელიმე გინეკოლოგის ბინაში მიყავს.

როგორც გინეკოლოგები ამბობენ, აბორტების რიცხვი განსაკუთრებით შემოდგომით იმატებს მნიშვნელოვნად. საზაფხულო რომანი როგორც მოზარდებს, ისე ზრდასრულ მანდილოსნებს ურევს თავგზას. მოკლედ, ქმრებო, შეყვარებულებო, მამებო, ნუ გაუშვებთ თქვენს ქალბატონებს ზღვაზე მარტოს, იქ ისინი ალფონსებისთვის ადვილად ხელმისაწვდომები არიან.

და ბოლოს, ის რაც შემოდგომით კიდევ ერთხელ გვახსენებს ზაფხულს – სტრესი – სტრესი გადატანილი ინფექციის გამო, რომელმაც დასვენების შემდეგ ერთი-ორად გადაგღალათ, სტრესი იმის გამო რომ საკუროტო რომანი ისეთი არ გამოვიდა, როგორიც გინდოდათ, სტრესი შეწყვეტილი ფეხმძიმობის გამო, გაუხეშებული თმისა და კანის გამო და ასე შემდეგ. მეცნიერები ამტკიცებენ რომ მაშინაც კი, თუ დასვენება მხიარული და ნაყოფიერი გამოდგა, ადამიანთა მესამედს დეპრესია ეუფლება მოსაწყენი სამსახურისა და ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმში დაბრუნებისას. რაც უფრო ხანგრძლივია შვებულება, მით მეტად უჭირს ადამიანს ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდეს, ამიტომ საუკეთესო ვარიანტი ორკვირიანი შვებულებაა. და თუ მაინც მოგეძალათ დეპრესია, აავსეთ აბაზანა, ჩაასხით ლიტრი რძე, ჩაწექით, თვალები დახუჭეთ და გაიხსენეთ მხოლოდ მხიარული და ლამაზი დღეები საზაფხულო შვებულებიდან.

**თამარ კეშელავა**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

**მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ხდება თუ არა ანდერძის აღმსრულების ხარჯების ანაზღაურება?**

— ანდერძის აღმსრულებელს თავისი მოვალეობის შესრულებისათვის გასამრჯელო მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ მისთვის გასამრჯელოს შესახებ მითითება ანდერძით არის გათვალისწინებული. ხარჯები კი, რომელიც აღმასრულებელმა გასწია სამკვიდროს დაცვასა და მართვაზე, ყოველთვის უნდა აუნაზღაურდეს მას, მიუხედავად იმისა, ამის შესახებ მითითებულია თუ არა ანდერძში.

ანდერძის აღმსრულებელს შეუძლია საკვიდროდან გაიღოს ხარჯები მხოლოდ მამკვიდრებლის მოვლისა და მკურნალობისათვის მისი ავადმყოფობის დროს და დაკრძალვისათვის, მამკვიდრებლის რჩენაზე მყოფი პირების შენახვისათვის, ხელფასის გასტუმრებისათვის და სამკვიდროს დაცვისა და მართვისათვის.



* * *

**— შეიძლება თუ არა გაუქმებული ანდერძის აღდგენა?**

— არ შეიძლება.

ანდერძი, რომელიც გაუქმდა შემდგომში შედგენილი ანდერძით, არ შეიძლება აღდგენილ იქნეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ უფრო გვიან შედგენილი ანდერძი შემდგომში გაუქმდება განცხადების შეტანით (სამოქალაქო კოდექსის 1399-ე მუხლი).

მოცემული ნორმის მიხედვით, საქმე ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა პირმა თავისი ქონება სხვა პირს(პირებს) უანდერძა. ამის შემდეგ მოანდერძემ მეორე ანდერძიც გააუქმა სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანით ისე, რომ შემდგომი ანდერძი აღარ შეუდგენია. მიუხედავად იმისა, რომ გაუქმდა ის ანდერძიც, რომელმაც წინა ანდერძიც გააუქმა, წინა ანდერძი აღდგენილი არ იქნება.

* * *

**— რა არის სავალდებულო წილი და როგორ ხდება სავალდებულო წილის რაოდენობის განსაზღვრა?**

— მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს (I რიგის მამკვიდრეებს), ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. ეს გახლავთ სავალდებულო წილი.

სავალდებულო წილის განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს სამკვიდროს მთელი მოცულობა. სამკვიდროში, რომლიდანაც უნდა განისაზღვროს სავალდებულო წილის ოდენობა, ჩაითვლება, როგორც ანდერძით გათვალისწინებული, ისე გაუთვალისწინებელი ქონება. მაგალითად, თუ ანდერძით გათვალისწინებული იყო ქონება, რომლის ღირებულება შეადგენს ათას ლარს, ანდერძის გარეთ კი დარჩა ასი ლარის ღირებულების ქონება, მაშინ სავალდებულო წილის განსაზღვრისას სამკვიდროში ჩაითვლება ასევე ის ქონება, რომელიც გათვალისწინებულია საანდერძო დანაკისრის ან საერთო-სასარგებლო მიზნით რაიმე მოქმედების შესასრულებლად.

* * *

**— შეიძლება თუ არა ანდერძზე მოანდერძის ნაცვლად სხვა პირმა მოაწეროს ხელი?**

— მიზეზი, რომლის გამოც მოანდერძეს არ შეუძლია ანდერძზე ხელის მოწერა, შეიძლება სხვადასხვა იყოს — ფიზიკური ნაკლი, ავადმყოფობა და ა.შ. სხვა პირის მიერ ანდერძზე ხელის მოწერას ნოტარიუსთან ერთად აუცილებლად უნდა ესწრებოდეს მოანდერძე. მოანდერძის ნაცვლად ანდერძზე ხელის მოწერის უფლება არა აქვს იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც შედგენილია ანდერძი.

პირს, ვინც მოანდერძის თხოვნით ხელს აწერს ანდერძს, უფლება აქვს, გაეცნოს ანდერძის შინაარსს, მაგრამ მისთვის ეს სავალდებულო არ არის. ნოტარიუსს არ შეუძლია უარი თქვას ანდერძის დადასტურებაზე იმის გამო, რომ ანდერძზე ხელის მომწერი პირი არ გასცნობია მის შინაარსს.

* * *

**— შეიძლება თუ არა ანდერძის შედგენა სანოტარო დადასტურების გარეშე?**

— შეიძლება, ასეთი სახის ანდერძს შინაურული ანდერძი ეწოდება.

შინაურული ანდერძის შემდგენს კანონი მკაცრ ფორმალურ მოთხოვნებს უყენებს. კერძოდ: ანდერძი მოანდერძემ აუცილებლად თავისი ხელით უნდა დაწეროს და, ცხადია, ხელი უნდა მოაწეროს, აუცილებლად უნდა დაესვას თარიღიც, ანდერძი, რომელიც თავისი ხელით დაწერა მოანდერძემ და ხელი მოაწერა, სრული იურიდიული ძალის მქონეა. მიუხედავად იმისა, რომ არ არის დადასტურებული ნოტარიუსის ან სხვა შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ. ასეთი ანდერძი, როგორც წესი, ინახება მოანდერძესთან.

# tatiSvilebis didi ojaxi da roiali, romelzec genialuri baraTaSvili ukravda...

... „ქართული მწერლობის“ პირველ ტომში ვკითხულობთ: კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი (1849-1921)წ. იყო თეატრალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი — დიმიტრი ყიფიანის შვილი. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, მოსკოვის სააგრონომო-სატყეო აკადემიაში; იდგა მუდმივად ქართული თეატრის სცენაზე (იყო დრამატული როლების ჩინებული შემსრულებელი).. იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და „მოსკოვსკიე ვედომოსტში“ აქვეყნებდა პუბლიცისტურ, კრიტიკულ, ბელეტრისტულ და სამეცნიერო მასალებს; ავტორია არაერთი პროზაული თხზულებისა („თამასუქი“, „დანგრეული ყორე“, „ხიფათი“), ისტორიული დრამებისა („ორი მამა“, „საქართველოს ბედი“, „ცოტნე დადიანი“), კომედიების, ვოდევილებისა, თარგმნილი აქვს ვიქტორ ჰიუგოს „ტორკვემადა“ და ონორე





დე ბალზაკის „მერკადე“... და სწორედ კოტე ყიფიანის, სულგანათლებული დიმიტრის ვაჟის მეუღლემ ნინო ბეჟანის ასულმა ტატიშვილმა გადასცა თავის ძმისწულს შალვა გიორგის ძე ტატიშვილს საოცარი ჟღერადობის სამეფო გერმანული როიალი, რომელზეც ოდესღაც თურმე დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილი უკრავდა... ეს ძვირფასი რელიქვია კი გორში, სამეფოს ქუჩაზე მცხოვრებ ჩემთვის ახლობელ ახალგაზრდა, სათნო ქალბატონის ნინო მერაბის ასული ტატიშვილის ოჯახში დგას... ამ ფრიად საინტერესო ამბის შესახებ რამდენიმე წლის წინ კოლეგა ჟურნალისტისგან შევიტყვე, როცა ტელე-რადიოკომპანია „თრიალეთში“ ვმუშაობდი. მაშინვე უსაზღვროდ დიდი წადილი გამიჩნდა საქვეყნოდ მომეყოლა ჩვენთვის უსაყვარლესი ტატოს მუსიკასთან თანაზიარობაზე; თარზედაც ხომ შესანიშნავად უკრავდა იგი... იყო ბრწყინვალე მოლეკურეცა და მეჩონგურეც...

აქვე ძალიან მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია მოვიხმოთ ის ფაქტი, რომ ზემოთნახსენები ტატიშვილების ოჯახმა შვა გამოჩენილი ქართველი საოპერო ვარსკვლავის, მსოფლიოში უცნობილესი სოპრანოს ცისანა ტატიშვილის მამა, ბეჟან ტატიშვილი — ვინაც დახვრიტეს ავბედით 1937-ში; ულამაზესი, ახოვანი, სულიერი არისტოკრატიზმით აღსავსე ვაჟკაცმა ბედის დაცინვით, მთელი საქართველოსათვის საყვარელი ქალიშვილით ვერ გაიხარა — ცისანა ამავე პირქუშ ოცდაჩვიდმეტში მოევლინა ამ ცისქვეშეთს...

**ნინო ტატიშვილი:** „ჩემი დიდი ბაბუის შალვა ტატიშვილის მამა გორელი აზნაური გიორგი ბეჟანის ძე გახლდათ, რომელსაც ცოლად ჰყავდა უკეთილშობილესი ქალბატონი პელაგია წინამძღვრიშვილი. ოჯახში უფროსი ვაჟიშვილი ზაქარია იყო, მას მოჰყვებოდნენ ბეჟანი, ალექსანდრე და შალვა; ოთხივემ მიიღო იმ დროისათვის შესანიშნავი განათლება, თუმცა საშაც (ალექსანდრე) როყიო ტყვიამ იმსხვერპლა სათაყვანებელი ძმის დარად, ავბედით დროებაში... მათ დიდებული წინაპრების სახელები არასოდეს შეუცხვენიათ, არც კაცობითა და ადამიანობით და არც მამულიშვილობით, ჩემი მასპინძელი ქალბატონი განაგრძნობს: „უსაზღვროდ მიხარია, რომ დიდმა ბაბუამ, შალვამ, ოჯახური ტრადიციის თანახმად, ეს ფასდაუდებელი რელიქვია დამიტოვა...

თაობიდან თაობას, ოჯახში უფროს ქალიშვილს გადაეცემოდა იგი და მიჩვენებს ჟამთა მდინარებისგან გახუნებულ-გადაყვითლებულ ფოტოზე აღბეჭდილ ძვირფას სახეებს... (რაოდენ ბედნიერნი იქნებოდნენ მაშინ მშობლები ოთხი საამაყო ვაჟის შემყურე).

... ვტოვებ ტატიშვილების ოჯახს, თან მომყვება სამეფოს ქუჩისა და მისი ძველი არქიტექტურით ნაგები განუმეორებელი შენობების ხიბლი, ასწლეულების მანძილზე ის გორის მთავარი ქუჩა იყო... ამ ქვაფენილიან



ქუჩით სტუმრობდა ქალაქს იმპერატორი ალექსანდრე XIX საუკუნეში, ამ ქუჩას მიუყვებოდა ყმაწვილი იოსებ ჯუღაშვილიც სასულიერო გიმნაზიისაკენ, მაგრამ... მაინც ვერაფერი გადაწონის იმას, რომ აქვე უამრავი ათწლეულების მიღმა ყურს ესალბუნებოდა. ეს იყო გენიალური ბარათაშვილის როიალზე გახმიანებული ჰანგები...

**მედეა მახარაშვილი**
**ქ. გორი**
**სპეციალურად „საერთო გაზეთისთვის“**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ლამაზნი რომ იყოთ...

## მიირთვით დილით ფაფა!



ფაფა დილით ყველაზე სასარგებლო საკვებია. მით უფრო, თუ იგი წიწიბურასი ან ჰერკულესისაა. ჰერკულესი შეიცავს 40-45 პროცენტ სახამებელს, 5-8 პროცენტ – ცხიმს, 8 პროცენტ – ცილებს, ვიტამი **B, B1, B2, B3, K**-ს, კალიუმის მარილს, ფოსფორს, რკინას, იოდს, ქრომს, ნიკოტინმჟავასა და პანტოტენის მჟავას. ყველასთვის ცნობილი „ჰერკულესი" მდიდარია იმ ნივთიერებებით, რაც ხელს უწყობს ნერვული სისტემის სტაბილურობას და სისხლის მიმოქცევას, ფრჩხილების სიგრძესა და სიმაგრეს, თმის შემადგენლობის გაძლიერებას. მასში შემავალი ვიტამი **N** სასარგებლოდ მოქმედებს სახის კანზე.

## დალიე მეტი წყალი!



დღეს უკვე აღარავისთვის აღარ არის საიდუმლო, რომ წყლის შემადგენლობა ორგანიზმში განსაზღვრავს კანის მდგომარეობას. იმისთვის, რომ დიდხანს შეინარჩუნოთ ახალგაზრდული კანი, იყოს ის ელასტიური და გლუვი, დღეში 1,5 ლიტრი სუფთა წყალი აუცილებლად უნდა მიიღოთ. წყალი ასუფთავებს ადამიანის ორგანიზმს ტოქსინებისგან.

## მოწევა ვნებს!




მოწევა გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორგანიზმზე, არამედ ორგანიზმის მთელ შემადგენლობაზე. მხოლოდ ერთი ღერი სიგარეტის მოწევა ორგანიზმს ართმევს 100 ტრილიონ ჯანმრთელ რადიკალებს. ნიკოტინი საშიშია გულისთვის, ტვინისთვის და სისხლძარღვებისთვის, რომლებიც გადასცემენ ჟანგბადს ორგანიზმის ქსოვილებს. მოწევა აისახება თქვენი სახის კანზეც. იგი სწრაფად ბერდება, კარგავს მომხიბვლელობას და ჯანმრთელ ფერს, უფრო სწრაფად ჩნდება ნაოჭები.

## საღამოობით მიიღეთ შხაპი!



ეს ხომ ყველაზე უბრალო პროცედურაა?! დილით და საღამოს აუცილებლად უნდა გაისუფთაოთ კანი. ეს განსაკუთრებით აუცილებელია ძილის წინ. ღამით ხდება კანის აღდგენითი პროცესები, ამიტომ უცილებელია ის თავისუფალი იყოს მტვრისგან, ჭუჭყისგან, მაკიაჟის ნარჩენებისგან. ყველაზე ცუდია სახეზე მაკიაჟით ძილი. ამიტომ, რაც არ უნდა დაღლილი იყოთ, აუცილებლად ჩამოიცილეთ სახიდან კოსმეტიკა.

## ნუ აწვალებთ სახის კანს!

სახის წვალება მავნე ჩვევაა, რადგან ხელებზე ბევრი ბაქტერია რჩება, რაც სახის კანზე მოხვედრისას ადგილობრივ ანთებებს იწვევს. რაც განსაკუთრებით მოქმედებს სახის კანზე. არ ამოიგდოთ მუწუკები, რადგან სახის კანზე იმ ადგილას შეიძლება იყოს კაპილარები, ნებისმიერმა ინფექციამ, რომელიც შეიძლება სისხლში მოხვდეს, შესაძლოა, ტვინის დაავადებები გამოიწვიოს.



## არ იარო უქუდოდ მზეში!



თავსაბურავი ზაფხულში არა მხოლოდ ორგანიზმს დაიცავს, არამედ თავის ტვინსაც მზის მავნე მოქმედებებისგან. ქუდი დაიცავს თქვენს თმებს ულტრაიისფერი სხივებისგან. როგორც ცნობილია, მზე აშრობს თმებს, ხდის მას მშრალს და მსხვრევადს.

## ადრე დაიძინეთ!



ამბობენ, „საღამოს 12-მდე 1 საათი ძილი უდრის ორ საათს 12-ის შემდეგ". კოსმეტოლოგები ასეთ ძილს „სილამაზის ელექსირს" უწოდებენ, რადგან საღამოს 10 საათის შემდეგ ორგანიზმში რეგენერაციული პროცესები მიმდინარეობს. ხდება კანის და ქსოვილების აღდგენა. ძილი – ეს არის კანის აღდგენის შესანიშნავი საშუალება ულტრაიისფერი დასხივების შემდეგ. ძილის დროს ორგანიზმი გამოიმუშავებს ცილებს, რაც ყველა უჯრედის „მშენებლობისთვის" აუცილებელია.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – თქვენ გაგიჭირდებათ მიმდინარე მოვლენების გაკონტროლება. თუმცა კვირის ბოლოსთვის მოგეცემათ შანსი, წამოიწყოთ ახალი საქმეები.

**კურო** – თქვენი პროტესტი არსებული უსამართლობისა და დრომოჭმული სტერეოტიპების მიმართ, შეიძლება სამსახურებრივი დაპირისპირების მიზეზად იქცეს.

**ტყუპები** – მოგეძალებათ სურვილი, რადიკალურად შეცვალოთ თქვენი ცხოვრება. აუცილებლად აკონტროლეთ სიტუაცია. მომგებიანი აღმოჩნდება ის საქმე, რომელიც უცხოეთთან კონტაქტს უკავშირდება.

**კირჩხიბი** – საკუთარ თავში შემოქმედებით მონაცემებს აღმოაჩენთ. შეეცდებით ყველას მიმართ სამართლიან იყოთ, რაც სერიოზულ უთანხმოებებს შეგიქმნით. თავადაც ძალიან მგრძნობიარე იქნებით, რის გამოც ადვილი იქნება თქვენი წყენინება.

**ლომი** – ეცადეთ, ხშირად გამოჩნდეთ საზოგადოებაში და მოახდინოთ საკუთარი მონაცემების დემონსტრირება. ოჯახური პრობლემები ხელს შეგიშლით დასახული მიზნების მიღწევაში.

**ქალწული** – რომანტიკული შეხვედრები იმედგაცრუებას და ზედმეტ ხარჯებს მოგიტანთ. თქვენ ძალიან დატვირთული იქნებით ამ კვირაში, რის გამოც ოჯახის წევრებთან უთანხმოება გარდაუვალი იქნება.

**სასწორი** – შეცვალეთ თქვენი გეგმები. დროა, სერიოზულად დაფიქრდეთ დასვენებაზე. საჭირო ინფორმაციას მეგობრები მოგაწვდიან.

**მორიელი** – ნუ ეცდებით, შეცვალოთ შექმნილი სიტუაცია. ეს მხოლოდ სტრესამდე მიგიყვანთ. კვირის ბოლოს მოსალოდნელია ფინანსური გართულებები.

**მშვილდოსანი** – შექმნილი პრობლემები და კონფლიქტები სასურველია დიპლომატიური გზით მოაგვაროთ. ამ უსიამოვნებების მიზეზი თქვენი წინდაუხედავი საქციელი იქნება.

**თხის რქა** – ყურადღების ცენტრში მოექცევით. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევთ ბიზნესში. მთავარია, მოინდომოთ და საქმიანი კავშირები აუცილებლად მოგიტანთ მოგებას.

**მერწყული** – თქვენით ბევრი მოიხიბლება. დაამყარეთ საქმიანი ურთიერთობები. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახს და ახლობლებს.

**თევზები** – დაიძაბება თქვენი ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, რადგან სწორედ ოჯახი დააბრკოლებს თქვენს შემოქმედებით თვითრეალიზაციას. სამწუხაროდ, ვერც საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან გექნებათ ჰარმონიული დამოკიდებულება.